საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№38 (603)
27 ოქტომბერი - 2 ნოემბერი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru




**ქართველებს სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობას უსპობენ** 16

## «იქ, სადაც პროცესების ავანგარდში «ნაციონალური მოძრაობაა», მშვიდობა იქნება?!» 8






14 **რატომ არის მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი სკეპტიკურად განწყობილი არჩევნების მიმართ**



11 **დროა, ხელისუფლება მიხვდეს, რომ ჯობია, «ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს...»**




2 **«ზომიერი კონსერვატიზმი ქვეყნის ყველაზე გონივრული ხაზია»**



3 **რუსეთი სომხეთის ეკონომიკაში 1 მლრდ დოლარს დააბანდებს**

*დიმიტრი ლორთქიფანიძე:*



4 **მკვდრადშობილი პოლიტიკა უნდა შეიცვალოს რეალურ გამოწვევებზე აგებული იმ პრაგმატული პოლიტიკით, რომლისთვისაც აუცილებელია რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება**

*გულბაათ რცხილაძე:*



5 **აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა თავისი ვიზიტით კიდევ ერთხელ შეამოწმა თავისი მოკავშირეები, უფრო ზუსტად, ვასალები**



9 **რას უქადის საქართველოს ყარსის შეთანხმების ვადის ამოწურვა?**



10 **საქართველო რეგიონში სიცოცხლისუნარიანი რომ გახდეს, რუსეთთან ურთიერთობა უნდა მოაგვაროს**

თეზისები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის პრეზიდენტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახელმწიფო აცხადებს მზადყოფნას საერთო პრობლემების მოსაგვარებლად ერთად მუშაობაზე, ეს საქმით ყოველთვის არ დასტურდება. და პანდემიამ მხოლოდ გაამძაფრა ნეგატიური ტენდენციები. მან აღნიშნა საკითხის სირთულე, რადგან პოლიტიკოსები, უწინარესად, პასუხისმგებელნი არიან თავიანთი მოქალაქეების წინაშე, რის გამოც საერთაშორისო და ტრანსნაციონალური თემები მეორე პლანზე გადადის.**

# «ზომიერი კონსერვატიზმი ქცევის ყველაზე გონივრული ხაზია»

## პუტინის გამოსვლა კლუბ «ვალდაის» სხდომაზე სახელწოდებით «გლობალური რყევები — XXI: ადამიანი, ფასეულობები, სახელმწიფო»

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სადისკუსიო კლუბ „ვალდაის“ პლენარულ სხდომაში, რომელიც 18-21 ოქტომბერს სოჭში გაიმართა. რუსეთის ლიდერმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ქვეყანაში, ისევე როგორც სრულიად მსოფლიოში, მიმდინარეობს ცვლილებები, რომლებიც სულ უფრო ღრმა და ფუნდამენტურია.**
**„ბოლო ათწლეულებში ბევრი იხსენებს ჩინურ ანდაზას: „ღმერთმა ნუ ქნას, გარდაქმნების ეპოქაში ვიცხოვროთ“, — თქვა პუტინმა. პრეზიდენტის თქმით, მსოფლიოში ახალი ბალანსის საყრდენი ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის, ყველა მიმართულებით სისტემური ცვლილებებისადმი ადაპტაციაა საჭირო, მაგრამ ასე არ მოხდა. პანდემიამ კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რა მყიფეა მსოფლიო საზოგადოებრიობა და იმისთვის, რომ გავზარდოთ გადარჩენის შანსი, უნდა გავაანალიზოთ, როგორ არის მოწყობილი ჩვენი ცხოვრება.**
**ვლადიმერ პუტინმა მსოფლიოს ახალი მოწყობის შესახებ თავისი თეზისები შემოგვთავაზა:**

### დედამიწაზე ცივილიზაციური კრიზისის შესახებ

რუსეთის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კაპიტალიზმის არსებულმა მოდელმა თავი ამოწურა. მისი დახმარებით შეუძლებელია წინააღმდეგობებით დახლართული გორგალიდან გამოსვლა. მსოფლიოში სასურსათო კრიზისი გაღრმავდება. ეს პრობლემები ღრმა საზოგადოებრივი განხეთქილების საფრთხეს ქმნის.

**რუსეთის პრეზიდენტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახელმწიფო აცხადებს მზადყოფნას საერთო პრობლემების მოსაგვარებლად ერთად მუშაობაზე, ეს საქმით ყოველთვის არ დასტურდება. პანდემიამ მხოლოდ გაამძაფრა ნეგატიური ტენდენციები. მან აღნიშნა საკითხის სირთულე, რადგან პოლიტიკოსები, უწინარესად, პასუხისმგებელნი არიან თავიანთი მოქალაქეების წინაშე, რის გამოც საერთაშორისო და ტრანსნაციონალური თემები მეორე პლანზე გადადის, რაც მთლიანობაში ნორმალური და მართებულია.**

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მსოფლიოში ამჟამად შექმნილი ვითარება „ცივი ომის“ შედეგია, რომლიდანაც გაკვეთილები უნდა გამოვიტანოთ და დიდი შეიარაღებული დაპირისპირების გარეშე შევქმნათ ახალი მსოფლიო წესრიგის პრეცედენტი.

### გაეროს შესახებ

რუსეთის სახელმწიფო მეთაურმა თავისი გამოსვლის ნაწილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიუძღვნა. მან გაეროს უწოდა ფასეულობა, რომლის შენარჩუნებაც საჭიროა და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაცია ყოველთვის ვერ ასწრებს ცვლილებებთან ადაპტაციას, არ უნდა დავუშვათ შეცდომები მისი რეფორმირებისას.

### წინააღმდეგობებზე, რომლებმაც გაამწვავა პანდემია

ყველა სახელმწიფო აცხადებს, რომ მზად არის, ყველასთან ერთად იმუშაოს საერთო პრობლემების მოგვარებაზე, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, მხოლოდ სიტყვით. საქმით კი სრულიად საწინააღმდეგო რამ ხდება, პანდემიამ კი მხოლოდ გაამწვავა ნეგატიური ტენდენციები. მიდგომა „ჩემი პერანგი ჩემს სხეულთან უფრო ახლოსაა“ საბოლოოდ იქცა ნორმად, ახლა ამის დამალვას არც ცდილობენ. **ამ პანდემიის მსხვერპლთა რაოდენობა მეტია I მსოფლიო ომის მონაწილეთა სამხედრო დანაკარგებზე. ამასთანავე, მან მიუთითა, რომ იმ ქვეყნების მიმართ, რომლებსაც ძალიან სჭირდებათ საერთაშორისო დახმარება, შენარჩუნებულია სანქციები.**

„და სად არის დასავლური პოლიტიკური აზროვნების ჰუმანური საწყისი? როგორც გაირკვა, არაფერი არ არის, მხოლოდ ლაყბობაა. აი რა ტივტივებს ზედაპირზე“, — თქვა პუტინმა. მან მოუწოდა ყველა სახელმწიფოს, დაივიწყონ უადგილო ამბიციები და ერთობლივად იმუშაონ ამ პრობლემის მოგვარებაზე. მოგვიანებით, სავალდებულო ვაქცინაციის შესახებ კითხვაზე პუტინმა განაცხადა, რომ მხარს არ უჭერს ასეთ ნაბიჯს, რადგან ნებისმიერი თავსმოხვეული გადაწყვეტილებისთვის შეიძლება გვერდის ავლა, ხოლო ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, რომ აცრა უკეთესია, ვიდრე ავადმყოფობა.

### „ზომიერი კონსერვატიზმი ქცევის ყველაზე გონივრული ხაზია“

ვლადიმერ პუტინის გამოსვლაში ცალკე თემა იყო ფასეულობები. რუსეთის სახელმწიფო მეთაურმა მათ თითოეული ეროვნების კულტურულ-ისტორიული განვითარების უნიკალური პროდუქტი უწოდა.

**„ფასეულობრივი დიქტატის მცდელობები კიდევ უფრო ართულებს ისედაც გაურკვეველ და არაორგანიზებულ პერსპექტივებს და საწინააღმდეგო რეაქციას და შედეგს იწვევს“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა და გაიხსენა მარტინ ლუთერ კინგის გამოსვლა, როცა მან თქვა: „ვოცნებობ იმაზე, რომ დადგეს დღე, როდესაც ჩემი ოთხი შვილი იცხოვრებს ქვეყანაში, სადაც მათზე იმსჯელებენ არა კანის ფერის, არამედ პირადი თვისებების მიხედვით“.**

„აი ჭეშმარიტი ფასეულობა, მაგრამ ამჟამად ყველაფერი საპირისპიროდ ხდება“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა და დასძინა, რომ მსოფლიოს ახალი მოწყობის პერიოდში, რომლის შედეგებიც ჯერ ცნობილი არ არის, ზომიერი კონსერვატიზმი ქცევის ყველაზე გონივრული ხაზია“.




**«საკუთარ თავს პატივს უნდა სცემდე — აი ეს არის მთავარი. საჭირო არ არის საკუთარი ტყავიდან გამოძვრე, რათა ვიღაცას დაუმტკიცო, რომ კარგი ხარ. პატივისცემით მოეპყარი საკუთარ თავს, საკუთარ ისტორიას, კულტურას და ადამიანები შენთან მოვლენ»**

### ქალისა და მამაკაცის უფლებების შესახებ

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, დასავლეთში ქალისა და მამაკაცის უფლებებზე დისკუსია ფანტასმაგორიად გადაიქცა იქამდე მივიდა, რომ სურთ, გააუქმონ ცნებები — „ქალი“ და „მამაკაცი“. მან საშინელება უწოდა ვითარებას, როდესაც ბავშვებს შთააგონებენ, რომ ბიჭი იოლად შეიძლება იქცეს გოგოდ და პირიქით, ამით ბავშვებს, ფაქტობრივად, აიძულებენ, მიიღონ გადაწყვეტილება, რომელმაც, შესაძლოა, ცხოვრება დაუნგრიოს მათ.

**„ე.წ. სოციალური პროგრესის ადეპტები ვარაუდობენ, რომ კაცობრიობისთვის გამზადებული აქვთ რაღაც ახალი ცნობიერება, უწინდელზე უფრო მართებული, მათ მიერ შემოთავაზებული რეცეპტები ახალი არ არის, ჩვენ ეს რუსეთში უკვე გავიარეთ“,** — განაცხადა მან.

### დადებითზე საბჭოთა კავშირში

ვლადიმერ პუტინმა, აგრეთვე, ილაპარაკა საბჭოთა პერიოდზეც. მან ყველას შეახსენა, რომ, მიუხედავად გათანაბრების პრინციპისა, ქვეყანაში იყო პრეფერენციები სოციალური მექანიზმების სახით. თვითონ, ისევე, როგორც ადამიანების დიდი უმრავლესობა, პრობლემებსაც აწყდებოდა და პოზიტივსაც, მაგალითად, მიიღო კარგი განათლება. რუსეთის პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სიტყვებმა „საბჭოთა ადამიანი“ იდეოლოგიური შეფერილობა შეიძინა, მაგრამ ყველაფრის შავი საღებავით შეღებვა მიუღებელია და ამ თეზისში ცუდი არაფერია.



### ბუნებრივი აირის კრიზისზე ევროპაში

„ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის პირველი მილი ბუნებრივი აირით აივსო. თუ ხვალ გერმანული რეგულატორი მიწოდების თანხმობას გასცემს, ზეგ დაიწყება მიწოდება, მიმდინარე წლის დეკემბრის შუა რიცხვებში დასრულდება „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მეორე მილსადენის ავსების ტექნოლოგიური სამუშაოები. ჯამში, ეს 55 მლრდ კუბური მეტრია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ევროპის ბაზარზე დეფიციტი, ჩვენი გათვლებით, 70 მლრდ კუბ მეტრია, 55 მლრდ კუბ მეტრი გვარიანი მოცულობაა, როცა აივსება მეორე მილი და რეგულატორიც დათანხმდება, მეორე დღესვე დავიწყებთ ბუნებრივი აირის მიწოდებას.

### ნატოსა და უკრაინის ურთიერთობებზე

ერთხელ გააფართოვეს ნატო, მეორედ გააფართოვეს, რა არის სამხედრო-სტრატეგიული შედეგი? გვიახლოებენ ინფრასტრუქტურას. რუმინეთში, პოლონეთში დააყენეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები გამშვები მოწყობილობებით, რომლებითაც შეიძლება გამოიყენო „ტომაჰავკები“. ხვალ რაკეტები ხარკოვთან გაჩნდება. რა უნდა გავაკეთოთ? ჩვენ ხომ არ მივძვრებით იქ ჩვენი რაკეტებით! ჩვენს ცხვირქვეშ მოცოცავენ. და, რა თქმა უნდა, ეს პრობლემაა“.

### რუსეთის გავლენის განმტკიცებაზე მსოფლიოში

„საკუთარ თავს პატივს უნდა სცემდე — აი ეს არის მთავარი, საჭირო არ არის, საკუთარი ტყავიდან გამოძვრე, რათა ვილაცას დაუმტკიცო, რომ კარგი ხარ. პატივისცემით მოეპყარი საკუთარ თავს, საკუთარ ისტორიას, კულტურას და ადამიანები შენთან მოვლენ“.

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**„რუსეთი სომხეთის ძირითადი სავაჭრო პარტნიორია, აგრეთვე, ლიდერი ინვესტიციების მიხედვით ქვეყანაში და განსაკუთრებულ როლს თამაშობს ჩვენი ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში. ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობა შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობს სამოკავშირეო ურთიერთობებიდან, თუმცა ეს სულაც არ გულისხმობს სტატიკურ ვითარებას, პირიქით, მოითხოვს გამუდმებით მუშაობას, განვითარებასა და სრულყოფას“.**

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# დასავლეთის უსაგნო დაპირებები და საქართველო

**წლებია, ჩაგვჩიჩინებენ, ევროკავშირი და ნატო საქართველოს არჩევანიაო, მაგრამ, თუ ეს ჩვენი არჩევანია და თანაც ამ ორგანიზაციების „კარი ღიაა“, გაუგებარია, რატომ ვერ შევედით ამ ღია კარში და, დასავლელი პოლიტიკოსების გულუხვი დაპირებების მიუხედავად, ჯერ „მაპის“, შემდეგ „მაპზე უკეთესისა“ და ე.წ. ასოცირებული წევრობის გარდა, რატომ ვერ მივიღეთ ის, რაც „ჩვენია“?**

საქართველო-ნატოს ურთიერთობა 1992 წლიდან იწყება, როცა საქართველო შეუერთდა ნატოს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC) და მას შემდეგ ნატოს ე.წ. სამშვიდობო მისიებში მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში — კოსოვოში, ერაყში, ავღანეთში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, მალიში. ამ სამშვიდობო მისიებში, რომლებიც მხოლოდ დასავლეთის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა, 40-მდე ქართველი სამხედრო დაიღუპა და რამდენიმე ასეული დაიჭრა, მაგრამ, მიუხედავად დასავლელი (ნატოელი) მაღალჩინოსნების განცხადებებისა და საქართველოს ხელისუფლების მონური ერთგულებისა ე.წ. დასავლური ფასეულობების მიმართ, საქართველო ნაბიჯითაც ვერ მიუახლოვდა ნატოში ინტეგრაციას და ამის არც პერსპექტივა ჩანს. ანალოგიური ვითარებაა ევროკავშირში საქართველოს სწრაფვის მიმართაც. **საქართველომ ასოცირების შეთანხმებას 2014 წელს მოაწერა ხელი. ამ შეთანხმებით საქართველოს მოქალაქეებმა მხოლოდ შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის უფლება მოიპოვეს, ხოლო დაპირება, რომ ქართული პროდუქტებისთვის ევროპის ბაზარი გაიხსნებოდა, დაპირებად დარჩა — რა აღარ მოიმიზეზეს, რა ნაკლი არ გამოუძებნეს ქართულ თაფლს, ღვინოს, მინერალურ წყალსა და სხვა პროდუქტებს, რომ ევროპის ბაზარზე არ შესულიყო და ევროპული პროდუქტისთვის კონკურენცია არ გაეწია,** ამიტომ ქართველი გლეხი და მეწარმე იძულებული შეიქნა, თავისი პროდუქტი რუსეთში გაეტანა და, რომ არა რუსეთის ბაზარი, არავინ იცის, რა ეშველებოდა საქართველოს ეკონომიკას. დასავლეთი არც საქართველოს ხელისუფლების მოურიდებლად დატუქსვასა და ქვეყნის საშინაო საქმეში უხეშად ჩარევას ერიდება. და ახლა, როცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ რამდენიმეჯერ უარი განაცხადა დასავლელი „სტრატეგიული მოკავშირეების“ აბსურდული მითითებების შესრულებაზე, წამოიწყო „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნების პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ იცის, საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას კატეგორიულად არ სურს კრიმინალებისთვის ქვეყნის მართვის სადავეების გადაცემა. ამასთანავე, **დასავლეთი, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები ყველანაირად ეწინააღმდეგება, საქართველომ თავისი ინტერესების შესაბამისად რომ იმოქმედოს და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისა და ეკონომიკის განვითარების მიზნით პირდაპირი დიალოგი აწარმოოს რუსეთთან.** არადა, გარდა იმისა, რომ ქართული პროდუქტები, ძირითადად, ამ ქვეყანაში გადის, ფულადი გზავნილის მიხედვით ყველაზე მეტი თანხაც ამ ქვეყნიდან შემოდის, ისევე როგორც ტურისტი; ამ ქვეყნიდან შემოგვაქვს, აგრეთვე, ხორბლისა და ფქვილის 99 პროცენტი, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და ა.შ.

აი ამ ქვეანასთან დიალოგს გვიკრძალავს „სტრატეგიული მეგობარი“. არადა, ორიოდე დღის წინათ რუსეთმა განაცხადა, რომ სომხეთის ეკონომიკაში 1 მლრდ დოლარს დააბანდებს...

ჩვენი ხელისუფლება კი კვლავ ხბოს აღტაცებით შესციცინებს დასავლელ პატრონებს.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# რუსეთი სომხეთის ეკონომიკაში 1 მლრდ დოლარს დააბანდებს



**სომხეთის დედაქალაქ ერევანში გაიმართა ტრადიციადქცეული მნიშვნელოვანი ღონისძიება — სომხეთ-რუსეთის VIII ფორუმი, რომელიც ამ ორი ქვეყნის სამოკავშირეო ურთიერთობებს მიეძღვნა. სომხეთისა და რუსეთის მთავრობები ფორუმს განიხილავენ, როგორც მოედანს, მიმართულს საქმიანი პარტნიორობის განმტკიცებისკენ ბიზნესის წარმომადგენლებსა და რეგიონებს შორის კავშირების გააქტიურებით. ღონისძიების მონაწილეებს მიესალმნენ რუსეთისა და სოხეთის ლიდერები — ვლადიმერ პუტინი და ნიკოლ ფაშინიანი.**

რუსეთის პრეზიდენტმა თავის მიმართვაში, უწინარესად, აღნიშნა, რომ რუსეთისა და სომხეთის ურთიერთობა ნამდვილი სამოკავშირეო ხასიათისაა:

„რუსეთისა და სომხეთის ურთიერთობა, დაფუძნებული მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისა და პატივისცემის ტრადიციებზე, ნამდვილ სამოკავშირეო ხასიათს ატარებს. ჩვენს სახელმწიფოებს შორის წარმოებს შინაარსიანი პოლიტიკური დიალოგი, პროდუქტიული თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით. რუსულ-სომხური კავშირების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს რეგიონებს შორის კოოპერაცია, რომელიც ეკონომიკურ, სოციალურ, ინფრასტრუქტურულ, ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში ურთიერთსასარგებლო პროექტების განხორციელების შესაძლებლობებს იძლევა“, — ნათქვამია მიმართვაში.

სომხეთის პრემიერმინისტრმა **ნიკოლ ფაშინიანმა,** თავის მხრივ, ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაცია არა მხოლოდ თამაშობს მნიშვნელოვან როლს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერისა და შენარჩუნების საქმეში, არამედ მას საკვანძო ადგილი უკავია სომხეთის ეკონომიკაში

**„რუსეთი სომხეთის ძირითადი სავაჭრო პარტნიორია, აგრეთვე, ლიდერი ინვესტიციების მიხედვით სომხეთში და განსაკუთრებულ როლს თამაშობს ჩვენი ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში. ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობა შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობს სამოკავშირეო ურთიერთობებიდან, თუმცა ეს სულაც არ გულისხმობს სტატიკურ ვითარებას, პირიქით, მოითხოვს გამუდმებით მუშაობას, განვითარებასა და სრულყოფას“,** — აღნიშნულია სომხეთის ლიდერის მიმართვაში. და რადგან, — განაგრძო ფაშინიანმა, — მსოფლიო სწრაფად იცვლება, სომხეთ-რუსეთის ურთიერთობა ამ ცვლილებებს უნდა შეესაბამებოდეს. „ჩვენთვის აუცილებელია, სრულვყოთ ეკონომიკური ურთიერთობები ისე, რომ მათ ხელი შეუწყონ კონკურენტუნარიანი ეკონომიკების განვითარებას ჩვენს ქვეყნებში. ამასთანავე, ვეძებოთ თანამშრომლობის სამომავლო განვითარების გზები მაღალი ტექნოლოგიების სფეროში, ეკონომიკის მეცნიერულ სექტორებსა და ინოვაციებში“, — აღნიშნა ფაშინიანმა.

## 1 მლრდ დოლარის დაბანდება – სიტყვიდან საქმეზე

ფორუმის მონაწილეებმა აჩვენეს, რომ ზემოჩამოთვლილი თეზისები მხოლოდ სიტყვები არ არის და ისინი განმტკიცებულია კონკრეტული ნაბიჯებითა და მოქმედებებით. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე **დიმიტრი ვოლვაჩმა** დააანონსა, რომ რუსეთს ახლო მომავალში განზრახული აქვს 1 მლრდ დოლარის დაბანდება სომხეთის ეკონომიკაში.

**„სომხეთსა და რუსეთს შორის საინვესტიციო თანამშრომლობა საკმაოდ დინამიკურად იზრდება — დღეს ეს 2,2 მლრდ-ზე მეტია. რუსული დაბანდებები სომხეთში საგარეო ინვესტიციების 40%-ს შეადგენს. ეს წილი, სულ ცოტა, უნდა შევინარჩუნოთ. უკვე დაგეგმილია 1 მლრდ დოლარის კონკრეტული პროექტები. ამ თანხას სომხეთი მალე მიიღებს“,** — განაცხადა ვოლვაჩმა. მისი თქმით, ეს თანხა მიმართული იქნება ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროებისკენ და სერიოზული შენატანი იქნება ორი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობების განვითარებაში. რუსეთის ეკონომიკის განვითარების მინისტრმა **მაქსიმ რეშეტნიკოვმა** კი განაცხადა, რომ რუსეთსა და სომხეთს შორის მოქმედებს 19 შეთანხმება, ეს კი თანამშრომლობის კიდევ უფრო განვითარების მტკიცე საფუძველია.

## სომხეთში რუსისტიკის ერთ-ერთი ძლიერი სკოლაა

ფორუმის ჩარჩოებში განხილული იყო არა მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის საკითხები, არამედ განათლებისაც. კერძოდ, მიღწეულია შეთანხმება სომხეთში რუსულენოვანი ლიტერატურის მიწოდების გაზრდაზე, რადგან სომხეთის უმაღლესი სასწავლებლები ამის დეფიციტს განიცდიან. სავაჭრო სფეროში რუსეთის წარმომადგენლის, **ანა დონჩენკოს,** განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია სომხეთში კულტურული და ლიტერატურული ცენტრების გახსნა. ამ კონტექსტში მან განსაკუთრებით აღნიშნა რუსული წიგნის სახლის გახსნა. რამდენიმე დღის წინათ კი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** განაცხადა, რომ სომხეთის ხელისუფლება დაინტერესებულია რესპუბლიკაში რუსული სკოლების შექმნით.

„ეს გააფართოებს განათლების მიღების შესაძლებლობებს, შრომით მოწყობას, ბიზნესის განვითარებას, ახალგაზრდების ნაკადების გაცვლებსა და ა.შ. მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ სსრკ-ის პერიოდიდან სომხეთში რუსისტიკის ერთ-ერთი ძლიერი სკოლა იყო, მაგრამ რომელიღაც ეტაპზე ეს თანამშრომლობა დაიკარგა. ვიმედოვნებ, ჩვენ მალე შევძლებთ, სომხეთში რუსული სკოლების შექმნის იდეის განახორციელებს“, — განაცხადა პუშკინის სახელობის რუსული ენის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორმა **მარგარიტა რუსეცკაიამ.**

## ტურიზმი: სომხებს აინტერესებთ რუსეთი, რუსებს – სომხეთი

2019 წელს სომხეთს ეწვია დაახლოებით 680 ათასი ტურისტი რუსეთიდან, ხოლო პოსტკოვიდურ 2021 წლის პირველ ნახევარში სომხეთში ჩავიდა დაახლოებით 143 ათასი კაცი. მიუხედავად რიგი დადებითი ასპექტებისა, „რუსი ტურისტი სომხეთში არც ისე ბევრია“, — ეს განცხადება ეკუთვნის რუსეთის ტურისტული ინდუსტრიის კავშირის ვიცეპრეზიდენტ **ალექსანდრე ოსაულენკოს.** მისი თქმით, პოსტსაბჭოთა სივრცეში არის ქვეყნები, რომლებსაც უფრო მეტი რუსი ტურისტი სტუმრობს. ფორუმის რუსმა მონაწილეებმა ურჩიეს სომხებს, იმუშაონ იმაზე, რომ ქვეყანა უფრო მეტად გააცნონ უცხოეთს.

## სომხური კულტურის დღეები რუსეთში

მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილია სომხური კულტურის დღეების ჩატარება რუსეთში. ამას გარდა, რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრ მაქსიმ რეშეტნიკოვის განცხადებით, დაგეგმილია რეალიზაცია ონლაინპროექტისა „კულტურის დღეები წინაღობების გარეშე“.

**dalma.news.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ ჩვენ ოდნავ მაინც სხვა თვალით, სალი პოზიციიდან შევხედავთ პრეზიდენტ პუტინის გზავნილებს, აშკარაა, რომ საქართველოსთვის აქ კვლავ იკვეთება უნიკალური შესაძლებლობები; შესაძლებლობები არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ მოაგვაროს ურთიერთობები და განამტკიცოს საკუთარი უსაფრთხოება, არამედ წმინდა ეკონომიკური კუთხითაც“.**

*დიმიტრი ლორთქიფანიძე:*



# მკვდრადშობილი პოლიტიკა უნდა შეიცვალოს რეალურ გამოწვევებზე აგებული იმ პრაგმატული პოლიტიკით, რომლისთვისაც აუცილებელია რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მისი მნიშვნელოვანი გზავნილების გამო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში კიდევ ერთხელ მოექცა. კრემლის მესვეური 21 ოქტომბერს სოჭში გამართულ საერთაშორისო სადისკუსიო კლუბ „ვალდაის“ პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა და მსოფლიოში არსებულ იმ ძირითად გამოწვევებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებმაც, მისივე შეფასებით, საერთაშორისო დღის წესრიგი ფუნდამენტურად შეცვალა. პანდემია, იდეოლოგიური კრიზისი, ბავშვის, ქალისა და მამაკაცის უფლებები და კონსერვატიზმი, როგორც ქცევის ყველაზე „გონივრული ხაზი“ — ეს საკითხები რუსეთის პრეზიდენტმა თანმიმდევრულად განიხილა და კონკრეტული იდეოლოგიური დისკურსით სიღრმისეულად შეაფასა.**

მსოფლიო „ლიბერალური“ ისტებლიშმენტისთვის განსაკუთრებით შემაშფოთებელი და საგანგაშო აღმოჩნდა ის, რომ გამოსვლაში პუტინმა გარკვეული გარე ძალებისგან „ფასეულებრივი დიქტატის“ მცდელობებზე ისაუბრა. მეტიც, საუბრისას მან ყურადღება ერების კულტურულ-ისტორიული განვითარების უნიკალურობაზე გაამახვილა და დასძინა, რომ „ფასეულობრივი დიქტატი“ ამ თვალსაზრისით არსებულ ისედაც გაურკვეველ პერსპექტივებს კიდევ უფრო ართულებს და „საწინააღმდეგო რეაქციას და შედეგს იწვევს...“ ლიბერალური დასავლეთისთვის კიდევ უფრო შემაშფოთებელი აღმოჩნდა ის, რაც კრემლის პირველმა პირმა ბავშვის, ქალისა და მამაკაცის უფლებებზე, გენდერულ საკითხებსა და, საზოგადოდ, თანამედროვე დასავლური ნეოლიბერალური იდეოლოგიის პოსტულატები გააცამტვერა. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა დასავლეთში ფანტასმაგორიად იქცა და საქმე იქამდეც მივიდა, რომ სურთ, გააუქმონ ცნებები „ქალი“ და „მამაკაცი“: „ე.წ. სოციალური პროგრესის ადეპტები ვარაუდობენ, რომ კაცობრიობისთვის გამზადებული აქვთ რაღაც ახალი ცნობიერება, უწინდელზე უფრო მართებული. მათ მიერ შემოთავაზებული რეცეპტები ახალი არ არის, ჩვენ ეს რუსეთში უკვე გავიარეთ,“ — განაცხადა პუტინმა.

## რეალური თანამშრომლობის მაგალითი

მიმდინარე მოვლენების ფონზე ამ დღეებში სომხეთის დედაქალაქ ერევანში გაიმართა რუსეთ-სომხეთის მე-8 ფორუმი, რომელიც ორი ქვეყნის სამოკავშირეო ურთიერთობებს ეხებოდა. ღონისძიების ფარგლებში, რომელიც წმინდა ეკონომიკურ-პოლიტიკური ხასიათის იყო, გაცხადდა, რომ რუსეთი სომხეთის ეკონომიკაში, რეალურ სექტორში მილიარდ დოლარს დააბანდებს. ეს გადაწყვეტილება სომხეთის პრემიერმა **ნიკოლ ფაშინიანმა** უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად შეაფასა და განაცხადა, რომ კრემლი უდიდეს როლს თამაშობს რეგიონში როგორც მშვიდობის განმტკიცებაში, ისე აუცილებელი ცვლილებების განხორციელებაში. მისი თქმით, რუსეთს საკვანძო ადგილი უკავია სომხეთის ეკონომიკაში და აღნიშნული როლი სულ უფრო მზარდია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე.

ეს პროცესები გლობალურ ცვლილებებს რომ მოიცავს და ამ ცვლილებებთან ერთად კავკასიის რეგიონში სრულიად ახალი დღის წესრიგის ჩამოყალიბება მიმდინარეობს, უკვე ყველასთვის ცხადია, მაგრამ ამ შემთხვევაში შეკითხვები ჩნდება საქართველოს მიმართ — არის კი ჩვენი ქვეყანა აღნიშნულ პოლიტიკურ კონიუქტურაში ადაპტირებული და შეესაბამება თუ არა მას ხელისუფლების დეკლარირებული პოლიტიკა? საკითხავია, რას მოუტანს სახელმწიფოს სრულიად უპერსპექტივო საგარეო ორიენტირების უცვლელობა, იმ დროს, როცა რეგიონში და მის ფარგლებს გარეთაც შეუქცევადი ფუნდამენტური ცვლილებები მიდის.

**რას ნიშნავს საქართველოსთვის ის ფაქტი, რომ ყარაბაღის ომის შემდეგ კრიზისში მყოფი სომხეთის ეკონომიკაში რუსეთი კოლოსალურ თანხას დებს და სწორად ეხმაურება თუ არა ქვეყანა რეგიონში მიმდინარე პროცესებს, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება იურისტი და უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, რამდენიმე დღის წინათ სოჭში, საერთაშორისო კლუბ „ვალდაის“ პლენარულ სხდომაზე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გამოსვლა მსოფლიოში ფართო განხილვის საგანი გახდა. მან ისაუბრა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა პანდემია, გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ა.შ. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, იყო ის, რაც ფასეულობებზე ითქვა. პუტინის შეფასებით, დასავლური ე.წ. ლიბერალური დემოკრატიის პრინციპები და იდეოლოგიური მოცემულობა ერთგვარ ფანტასმაგორიად იქცა, საუბარი იყო ქალისა და მამაკაცის უფლებებზეც... როგორ შეაფასებთ ამ ღონისძიებაზე გამოთქმულ გზავნილებს?**

— უწინარესად, მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ თქვენი გაზეთის მეშვეობით მეძლევა საშუალება, აზრი გამოვთქვა ისეთ მნიშვნელოვან თემაზე, როგორიცაა საერთაშორისო სადისკუსიო კლუბ „ვალდაის“ კონფერენცია, რომელიც საერთაშორისო დონის ფართო მასშტაბის ღონისძიებაა და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს არა მხოლოდ რეგიონის, არამედ მთლიანად მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის თვალსაზრისით. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს არის ღონისძიება, რომლის მიმდინარეობისას მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი, **ვლადიმერ პუტინი,** მრავალსაათიან ფორმატში დაუღალავად იძლევა ინტერვიუს, სცემს პასუხებს შეკითხვებზე, აანალიზებს უმნიშვნელოვანეს მოვლენებს და გამოთქვამს რუსეთის დამოკიდებულებას. რაც შეეხება მის კონკრეტულ გზავნილებს, სანამ უშუალოდ ვლადიმერ პუტინის კონსერვატიულ თვალსაზრისზე გავაკეთებ კომენტარს, მინდა, ერთ მნიშვნელოვან დეტალზე გავამახვილო ყურადღება: **ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ „ვალდაის“ კონფერენცია ტარდება ვალდაის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მონასტრის ტერიტორიაზე არსებულ დიდ საკონფერენციო დარბაზში... როგორ ფიქრობთ, ეს შემთხვევითია? ეს არის მართლაც ძალიან მისტიკური, საკრალური და, ამასთანავე, ძალიან მრავლისმთქმელი და ამაღელვებელი ფაქტი. ჩემი აზრით, ეს არ არის შემთხვევითი და ძალიან დიდი სიმბოლური დატვირთვის მქონეა ის, რომ ამ კონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა უკვე მერამდენედ გამოხატა თავისი შეურიგებელი პოზიცია ნეოლიბერალური დღის წესრიგის მიმართ, რომელსაც ანგლოსაქსური გეოპოლიტიკის გამტარებელი გლობალისტური დასავლეთი თავს ახვევს მსოფლიოს.** სხვათა შორის, რუსეთის პრეზიდენტმა პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მიმართა ამ ძალებს: „ჩვენს სახლში თქვენ ფეხს ვერ შემოდგამთ!“ პუტინმა თქვა, რომ მისთვის ტრადიციული მორალური ღირებულებები და ფასეულობები, რომლებსაც ემყარება მრავალსაუკუნოვანი ისტორია, უპირველესია და დაიცავს ბოლომდე. აი, ეს არის ზუსტად ის, რაც ყველაზე მეტად აღიზიანებთ ლიბერალურ ძალებს და **ამიტომაა რუსეთი ზოგიერთისთვის მიუღებელი. მათ შორის, დამეთანხმებით, რომ ამის გამოა საქართველოშიც ლიბერალებისთვის რუსეთი საძულველი და არა იმის გამო, რომ მასთან, ვთქვათ, აგერ სულ რაღაც 13 წლის წინათ ომი გვქონდა. ომი და ტერიტორიები ლიბერალებს არ აინტერესებთ, ეს ძალიან ნათლად გამოჩნდა დავითგარეჯის თემაზეც. მათთვის პრობლემაა ის, რომ დღეს რუსეთი არის მსოფლიოში ყველაზე დიდი და მძლავრი სახელმწიფო, რომელიც ლიბერალურ იდეოლოგიურ ჰეგემონიას გადაულახავ ბარიერად ექცა.**

**— მნიშვნელოვანია ისიც, რომ საუბრისას პუტინმა ახსენა ტერმინი „ფასეულობრივი დიქტატი...“ მოდი, საქართველოს ჭრილში ვისაუბროთ, ჩვენთვის რას ნიშნავს ეს ყველაფერი?**

— თავისთავად ცხადია, ამ ყველაფერს აქვს ძალიან ღრმა და კონკრეტული შინაარსობრივი დატვირთვა. ჩვენთვის ეს ნიშნავს იმ კავშირებისა და ისტორიულად ორ ქვეყანას შორის სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ჩამოყალიბებული ურთიერთდამოკიდებულების ობიექტურად არსებობას, რომელმაც საქართველოს, როგორც მუსლიმანურ რკალში არსებული ერთადერთი მართლმადიდებელი სახელმწიფოს, გადარჩენაში გადამწყვეტი როლი შეასრულა. სხვათა შორის, **მეუფე სპირიდონმა** თავის საკვირაო ქადაგებაში საკმაოდ ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა იმაზე, რომ რუსეთსა და საქართველოში, პრაქტიკულად, ერთდროულად მოხდება მონარქიის აღდგენა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ქადაგება იყო და მოვუწოდებ ყველას, რომ ნახოს ეს ქადაგება... თუმცა აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საზოგადოებას სწორად ავუხსნათ, რა იგულისხმება მონარქიაში. რა თქმა უნდა, აქ საუბარია იმ ლეგიტიმურ სახელმწიფო-პოლიტიკური მოწყობის მოდელზე, რომელსაც ჩვენ არ ვიგონებთ და რომელსაც ეფუძნებოდა 2000-წლოვანი საქართველოს ისტორია. ეს არის დაახლოებით ისეთივე რამ, როგორც, მაგალითად, დასავლეთში არსებობს მონარქიები — ბელგიაში, ნორვეგიაში, დანიაში, ბრიტანეთში და ა.შ. რატომ არ შეიძლება, ჩვენც ვიყოთ წარმატებული დემოკრატიის ქვეყანა, რომელსაც საპარლამენტო რესპუბლიკა შეუძლია გამოიყენოს ტრამპლინად, რათა განხორციელდეს ქვეყნის საბოლოო სუვერენიზაცია. ჩვენ აქ, ამ შემთხვევაში, მონარქია რაღაც არქაულ პერიოდში კი არ გვაბრუნებს, არამედ ეს არის პროგრესი, მოდერნიზმი და განვითარება... რაც შეეხება ისევ რუსეთის ფაქტორს და პრეზიდენტ პუტინის გზავნილებს, **თუ ჩვენ ოდნავ მაინც სხვა თვალით, სალი პოზიციიდან შევხედავთ ამ ყველაფერს, აშკარაა, რომ საქართველოსთვის აქ კვლავ იკვეთება უნიკალური შესაძლებლობები; შესაძლებლობები არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ მოაგვაროს ურთიერთობები და განამტკიცოს საკუთარი უსაფრთხოება, არამედ წმინდა ეკონომიკური კუთხითაც...**

**— ეკონომიკას რაც შეეხება, ამ დღეებში ერევანში რუსეთ-სომხეთის ეკონომიკური თანამშრომლობის მე-8 ფორუმი გაიმართა, რომელიც მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა. ღონისძიების ფარგლებში ითქვა, რომ რუსეთის ფედერაცია ომით გაჩანაგებულ სომხეთის ეკონომიკაში მილიარდ დოლარს დააბანდებს... თქვენი აზრით, ჩვენთვის, როგორც მრავალწლიანი უაზრო და უპერსპექტივო პროდასავლური სწრაფვის მქონე სახელმწიფოსთვის, რა დატვირთვის მქონეა ეს პროცესები?**

— ვფიქრობ, ეს არის უმნიშვნელოვანესი პრეცენდენტი ჩვენთვის და კიდევ ერთი სერიოზული ცხადყოფა ფაქტის, რომ ჩვენგან განსხვავებით აზერბაიჯანი და სომხეთი გაცილებით მოქნილად მუშაობენ. მხედველობაში მაქვს მუშაობა, როგორც დასავლეთის, ისე რუსეთის მიმართულებით. სხვათა შორის, ის, რომ ამ დღეებში მოსკოვში ჩავიდნენ ორივე ქვეყნის პირველი პირები და ვლადიმერ პუტინთან განიხილეს ომის შემდგომი დეესკალაციის საკითხები, ამ ყველაფერს კიდევ ერთხელ ცხადყოფს.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, **საქართველოში უნდა დასრულდეს მკვდრადშობილი პოლიტიკა. ის უნდა შეიცვალოს რეალურ გამოწვევებზე აგებული იმ პრაგმატული პოლიტიკით, რომლისთვისაც აუცილებელია რუსეთის ფედერაციასთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება ყველა საჭირბოროტო საკითხზე. აი, ეს არის დღეს ჩვენი უპირველესი ამოცანა და ვფიქრობ, რომ ამ კონტექსტში „3+3“ ფორმატში მონაწილეობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია; მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იქნება პირდაპირი დიალოგი რუსეთთან (დასავლეთის შუამდგომლობა-მონაწილეობის გარეშე) და ეს ყველაფერი კიდევ უფრო დააახლოებს საქართველოს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რიგი საკითხების გადაწყვეტასთან...**

**«რუსეთის პრეზიდენტმა პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მიმართა ამ ძალებს: «ჩვენს სახლში თქვენ ფეხს ვერ შემოდგამთ!» პუტინმა თქვა, რომ მისთვის ტრადიციული მორალური ღირებულებები და ფასეულობები, რომლებსაც ემყარება მრავალსაუკუნოვანი ისტორია, უპირველესია და დაიცავს ბოლომდე. აი, ეს არის ზუსტად ის, რაც ყველაზე მეტად აღიზიანებთ ლიბერალურ ძალებს და ამიტომაა რუსეთი ზოგიერთისთვის მიუღებელი. დამეთანხმებით, რომ ამის გამოა საქართველოშიც ლიბერალებისთვის რუსეთი საძულველი»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„რუსეთი აშკარად არ ითხოვს აფხაზეთისა და ოსეთის შემოერთებას ამ ფორმატში, რაც ძალიან კარგია და, ნაცვლად იმისა, რომ ამ თემაზე ყურადღება გამახვილდეს, ხმას არავინ იღებს. უფრო მეტიც, უარიც კი განაცხადეს აღნიშნულ ფორმატში მონაწილეობაზე. სირცხვილია ამ თემის მიჩქმალვა, მხოლოდ გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ წერს ასეთ მნიშვნელოვან თემაზე, სხვები დუმან, სამწუხაროდ“.

რაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გულბაათ რცხილაძე:

# აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა თავისი ვიზიტით კიდევ ერთხელ შეამოწმა თავისი მოკავშირეები, უფრო ზუსტად, ვასალები

## «ნატოში საქართველოს ინტეგრაცია დაკონსერვებული თემაა»

**18 ოქტომბერს საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ლოიდ ოსტინი ეწვია. ეს სტუმრობა ჩვენმა პოლიტიკოსებმა განსაკუთრებულ შემთხვევად და თითქმის მოვლენად აღიქვეს. იყო თუ არა მოვლენა ლოიდ ოსტინის თბილისში ჩამოსვლა, ამაზე ჩვენი გაზეთის სტუმართან ერთად ვისაუბრებთ, მაგრამ ფაქტია, რომ აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა სრულიად განსხვავებული განცხადებები გააკეთა იმასთან შედარებით, რასაც აქამდე ვისმენდით. ჯერ ერთი, რომ ნატოში ინტეგრაციაზე კრინტიც არ დაუძრავს და მეორე ის, რომ რუსეთთან ერთობლივ ფორმატებში მონაწილეობაზე ნება თუ არ დაგვრთო, არც დაგვიშალა. ფაქტია ისიც, რომ არჩევნების მეორე ტურზე გადართული ხელისუფლება ამაზე ყურადღებას არ ამახვილებს. ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე გვესაუბრება „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე:**

— ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის ვიზიტი საქართველოში, უკრაინასა და რუმინეთში გაცნობითი ხასიათის გახლდათ. ლოიდ ოსტინისთვის ეს პირველი ვიზიტი იყო და მისთვის აუცილებელია ასეთი სახის გაცნობითი შეხვედრები ამერიკული გავლენის ქვეშ ყველაზე მყარად მყოფ ქვეყნებში, ამიტომ აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ვიზიტში განსაკუთრებული ვერაფერი დავინახე.

**— ერთი შეხედვით, თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, მაგრამ საინტერესოა, რა დგას ამ ვიზიტის უკან და ამაზე ბევრს საუბრობენ პოლიტოლოგებიცა და პოლიტიკოსებიც...**

— ოსტინის საქართველოში ვიზიტი ამერიკის სტრატეგიის ნაწილია. ისინი ცდილობენ, შავი ზღვის რეგიონში შეინარჩუნონ გავლენა — ეს ამერიკის უპირველესი მიზანია. **აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა თავისი ვიზიტით კიდევ ერთხელ შეამოწმა თავისი მოკავშირეები, უფრო ზუსტად, ვასალები.** მას აინტერესებდა ვითარება საქართველოში — ხომ არ ხდება ისეთი რამ, რაც მისაღები არ არის ამერიკისთვის, განსაკუთრებით თავდაცვის სფეროში. ამერიკის თავდაცვის მინისტრი გაერკვია ყველაფერში და მოხდა ვითარების კოორდინაცია. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ვიზიტი ყოველდღიური რეალობა არ არის, კიდევ ვიმეორებ, ამაში განსაკუთრებული არაფერია, გარდამტეხი არაფერი მომხდარა და არც „მოვლენად“ არ შეიძლება ჩაითვალოს.

**— ამერიკის თავდაცვის მინისტრს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა შეკითხვა დაუსვა ნატოში საქართველოს გაწევრებაზე. ლოიდ ოსტინი კი ზოგადი ფრაზით შემოიფარგლა, მან თითქოს თავიც კი აარიდა პასუხს და ყურადღება „საქართველოში მიმდინარე რეფორმებსა და პროგრესულ განვითარებაზე“ გადაიტანა...**

— ბუნებრივია, ნატოში საქართველოს ინტერგაცია დაკონსერვებული თემაა. ეს ხელისუფლებამაც იცის. ჩვენ ვისაუბროთ იმაზე, რას ნიშნავს ნატოში ინტეგრაცია. ჩვენი ქვეყანა ნატოში ვერ გაწევრდება უახლოეს რამდენიმე წელიწადში. საქართველოსა და ნატოს შორის გრძელდება ე.წ. თანამშრომლობა, რომელსაც აქვს არააქტიური ხასიათი, მართალია, ერთობლივი წვრთნები ტარდება, მაგრამ მაინც... როდესაც ვსაუბრობ არააქტიურ ურთიერთობაზე ნატოსთან, ვგულისხმობ, პოლიტიკურ ნაწილს...

**— რატომ ფიქრობთ, რომ პოლიტიკურ ნაწილში არ არის ნატოსთან ჩვენი ურთიერთობა აქტიური, საქართველოში მიმდინარე პროცესებში ყოველთვის აქტიურად ერევიან და ჩვენც მათ გარეშე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს თითქმის არ ვიღებთ...**

— ფაქტია, რომ ნატოსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გაღრმავება არ იგეგმება, ყოველ შემთხვევაში, დღეს ეს ნამდვილად არ ჩანს და თქვენ თავადვე თქვით, რომ ამერიკის თავდაცვის მინისტრმა ამ თემაზე არც კი ისაუბრა. როგორი რიტორიკაც იყო ნატოში ინტეგრაციაზე წლების წინათ, იმ ეტაპზეა დღესაც და წინ ნაბიჯითაც არ წაწეულა. ჩვენ არ გვაქვს არანაირი ახალი შეთანხმება, ხელშეკრულება, ხელმოწერა...

**— ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრს „3+3“ ფორმატზეც დაუსვეს შეკითხვა. ამ შემთხვევაშიც გაურკვეველი იყო მისი პასუხი. მას არც დასტური უთქვამს საქართველოსთვის აღნიშნულ ფორმატში მონაწილეობაზე და არც უარი...**

— ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვაა ძალიან მნიშვნელოვან თემაზე. **ამერიკის თავდაცვის მინისტრი იმეორებს იმას, რაც არის ამერიკის ადმინისტრაციის კონსოლიდირებული პოზიცია, რასაც ამერიკის ელჩი საქართველოში, კელი დეგნანი, გამუდმებით აცხადებს, დემაგოგიას ეწევა და ეს არის: „სანამ რუსეთი არ შეასრულებს ხელმოწერილი დოკუმენტის პირობებს, არ გაიყვანს ჯარს, მანამდე არანაირ ფორმატზე რუსეთთან საუბარი არ შეიძლება“. ეს არის უხეში ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში და თანაც ერთმნიშვნელოვნად საქართველოს წინააღმდეგ.**

თუ ამერიკის შეერთებული შტატები აქამდე ნიღბავდა უარყოფით განწყობას, რომ საქართველომ რამე სახის დიალოგი აწარმოოს რუსეთთან იმ მიზნით, რომ ჩვენმა ქვეყანამ, ვაითუ, სარგებელი მიიღოს, დღეს ასე აღარ არის. ჩვენ გვახსოვს, რომ ამერიკაც და ევროპაც ყოველთვის გვეუბნებოდნენ, რომ რუსეთთან თვითონ დაგვემყარებინა ურთიერთობა და მერე დაგვეხმარებოდნენ კიდეც ამ ურთიერთობის გაღრმავებაში, მაგრამ დღეს პირიქითაა — დღეს დაუფარავად გვეუბნებიან: ჯერ რუსეთმა დაასრულოს ოკუპაცია და მერე დაელაპარაკეთო. მაგრამ, თუკი არ დაველაპარაკებით მეზობელ ქვეყანას, ოკუპაციის საკითხი როგორ უნდა მოგვარდეს, ამაზე არავინ საუბრობს.

**„3+3“ ფორმატი საქართველოსთვის ძალიან ხელსაყრელია. რუსეთის მხრიდან მსგავს ფორმატში ჩვენი მონაწილეობა ნიშნავს იმის აღიარებას, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი სინამდვილეში დამოუკიდებელი ქვეყნები არ არიან, რომ ისინი საერთაშორისო სუბიექტები არ არიან.**

„3+3“ ფორმატში კავკასიის გარედან ჩართული იქნებიან თურქეთი, ირანი და რუსეთი, ხოლო ამიერკავკასიიდან — საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. თუ რუსეთი ამ ფორმატის ლობირებას ეწევა და სურს, რეალობად აქციოს, ეს ძალიან კარგია საქართველოსთვის. გამოდის, რომ „ოკუპანტი“ არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, სხვა შემთხვევაში, ფორმატი ასე იქნებოდა — „3+5“.

**რუსეთი აშკარად არ ითხოვს აფხაზეთისა და ოსეთის შემოერთებას ამ ფორმატში, რაც ძალიან კარგია და, ნაცვლად იმისა, რომ ამ თემაზე ყურადღება გამახვილდეს, ხმას არავინ არ იღებს. უფრო მეტიც, უარიც კი განაცხადეს აღნიშნულ ფორმატში მონაწილეობაზე. სირცხვილია ამ თემის მიჩქმალვა, მარტო გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ლაპარაკობს ასეთ მნიშვნელოვან თემაზე, სხვები დუმან, სამწუხაროდ...**

უამრავ ფინანსებს იღებენ რუსეთიდან ვითომ პარტიები, მილიონები აქვთ აღებული, გამოვიდნენ, თქვან, რომ საქართველოს ბედი აქ წყდება. ჩავეჭიდოთ იმას, რასაც რუსეთი თვითონვე გვაძლევს. საქართველომ თქვას, რომ მისი მიღწევაა ეს ფორმატი, ოღონდ უარი არ თქვას მასში მონაწილეობაზე!

ყარაბაღის ომის შემდეგ ცვლილებები მიმდინარეობს რეგიონში, ცდილობენ, ახალი ომი აირიდონ თავიდან. მხარეებს შორის მოხდება პოზიციების შეჯერება. „3+3“ ფორმატი საჭირო და აუცილებელია დიალოგისთვის, ძირეულ ცვლილებებს, დიდი ალბათობით, ეს პროცესი არ მოიცავს. ფორმატი გათვლილია რეგიონში მშვიდობის დამყარებაზე.

**— თურქეთის პრემიერმა ერდოღანმა ათი ქვეყნის ელჩი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა. ამ ათ ქვეყანას შორის არის ამერიკის შეერთებული შტატებიც... ერდოღანი ირანისა და რუსეთის იმედად რჩება? ასეთ შემთხვევაში, რა საფრთხის წინაშე დადგება ჩვენი ქვეყანა?**

— ერდოღანმა ყველა გააფრთხილა, რომ მის ქვეყანასთან ურთიერთობისას წითელი ხაზები არავინ გადაკვეთოს. თურქეთი არავის იმედად არ რჩება, მას აქვს თავისი ხალხის, თავისი შეიარაღებული ჯარის იმედი. ერდოღანს მყარი პოზიციები აქვს და არ ითმენს ქვეყნის საშინაო საქმეებში მცირე ჩარევასაც კი. აშკარაა, რომ **ოსმან კავალა** პოლიტიკური დევნილია, რომელზეც ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ თურქული მართლმსაჯულება ასე არ ფიქრობს.

ზუსტად არ ვიცი, რა ხდება ამ პიროვნების გარშემო, მაგრამ, რადგან ერდოღანი თავს უფლებას აძლევს, ამდენი ქვეყნის ელჩს უნდობლობა გამოუცხადოს, ეს საყურადღებოა და მისი გადაწყვეტილება უსაფუძვლო არ იქნება. მხოლოდ ელჩების მოწოდება პატიმრის გათავისუფლების შესახებ არ იქნება მიზეზი... თურქეთის საგარეო-პოლიტიკური ვექტორი მრავალწახნაგოვანია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თურქეთი მთლიანად გაწყვეტს ურთიერთობას ათ ქვეყანასთან, მაგრამ ეს იქნება სერიოზული ხინჯი ქვეყნებს შორის, თუმცა ერდოღანის ამ საქციელს აქვს მეორე მხარეც — ამერიკაც და სხვა დანარჩენი ქვეყნებიც შეეცდებიან, მოზომილი განცხადებები აკეთონ თურქეთის მიმართ...

თურქეთს მყარი პოზიციები აქვს სირიის ჩრდილოეთ პროვინციებში, აგრეთვე, ერაყის ჩრდილოეთ პროვინციებში, ამასთანავე, ერდოღანს აქვს კოზირი — ის აკონტროლებს მიგრანტებს, რომლებიც ევროპაში შესვლას ცდილობენ. ერდოღანს შეუძლია, ევროკავშირის საზღვარს „მიაწვეს“, რაც არავის არ უნდა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული უთანხმოებები აქვს, თურქეთი რუსეთთან და ირანთან გააღრმავებს ურთიერთობას, რუსეთთან მას ენერგეტიკული პროექტები აკავშირებს.

**— პერსონა ნონ გრატად გამოცხადებულთა შორის არ არის დიდი ბრიტანეთის ელჩი.**

— ელჩებს შორის მართლაც არ არის ნახსენები დიდი ბრიტანეთის ელჩი, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ეს სახელმწიფო სხვა კრიტერიუმით ხელმძღვანელობს და ის ხშირად არ ერევა ქვეყნების საშინაო საქმეებში, ბრიტანეთის ელჩს ხელი არ მოუწერია კავალას გათავისუფლების მოთხოვნაზე. როგორც ჩანს, ბრიტანეთს არ სურს თურქეთთან ურთიერთობის დაძაბვა.

**«3+3» ფორმატში კავკასიის გარედან ჩართული იქნებიან თურქეთი, ირანი და რუსეთი, ხოლო ამიერკავკასიიდან — საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. თუ რუსეთი ამ ფორმატის ლობირებას ეწევა და სურს, რეალობად აქციოს, ეს ძალიან კარგია საქართველოსთვის. გამოდის, რომ «ოკუპანტი» არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, სხვა შემთხვევაში, ფორმატი ასე იქნებოდა — «3+5»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლოიდ ოსტინის „ახალი ინიციატივით“ საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია კი არა, ამ დაუსრულებელ გზაზე თურმე „წინ წაწევა“ მოხდება. იმას არავინ გვეუბნება, თუ რამდენით წაგვწევენ წინ და, საერთოდ, რას ნიშნავს ეს „წინ წაწევა“, მაგრამ „წინ წაწევა“ რომ მოხდება, ამას გვპირდებიან, ოღონდ... უპირობოდ და ავტომატურ რეჟიმში კი არა, ამისთვის თურმე საჭირო ყოფილა, რომ: „საქართველომ გააძლიეროს დემოკრატია, გაატაროს ფუნდამენტური რეფორმები, რომლებიც აუცილებელია დასავლეთთან საქართველოს უფრო მჭიდროდ დასაკავშირებლად“.**



# ბუმბერაზი კაცის ძღვენი
# შავი ზღვის სისხლით შეღებვის კიდევ ერთი მცდელობა

## ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### ოცდამეჩვიდმეტე გამოშვება

**„შეკარით კავშირი, ვისთანაც გსურთ,
წამოიწყეთ ნებისმიერი ომი,
ოღონდ არასოდეს შეეხოთ რუსეთს!“**
*ოტო ფონ ბისმარკი*

**საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთსა და აშშ-ს შორის ვითარება მშვიდი იყო მანამდე, სანამ რუსეთი ყველა დათმობაზე მიდიოდა. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 2000 წლის დადგომამდე, სანამ რუსეთის ხელისუფლების სათავეში ბორის ელცინი ბოგინებდა. 2000 წლის 1 იანვრიდან კი, როდესაც ელცინის გადადგომის შემდეგ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას იმხანად რუსეთის პრემიერმინისტრი პუტინი შეუდგა, ვითარება თანდათან დაიძაბა. ბოლო პერიოდში კი დაპირისპირებამ პიკს მიაღწია.**

დასავლეთს არ მოსწონს პუტინის პოლიტიკა, რომელიც რუსეთს აძლიერებს;

რუსეთის ირგვლივ ნატოს ყულფი იკვრება;

დაწყებულია ნატოს მიერ შავი ზღვის ოკუპაციის პროცესი;

ამერიკელები რუსეთზე შტურმისთვის ემზადებიან;

პენტაგონის შეფმა ლოიდ ოსტინმა მოაწყო ტურნე — საქართველო-უკრაინა-რუმინეთი.

ნატოს გენერალურმა მდივანმა **სტოლტენბერგმა** განაცხადა, რომ რუსეთს არ უნდა ეშინოდეს უკრაინისა და სხვა დემოკრატიული სახელმწიფოების ალიანსში გაერთიანების და, რომ რუსეთს არ აქვს უფლება, ვეტო დაადოს რომელიმე სახელმწიფოს მიერთების შესახებ ნატოს გადაწყვეტილებას. ჯერ ერთი, იმ დონის ჩინოსანმა, როგორიც ნატოს გენერალური მდივანია, უნდა იცოდეს, რომ ვეტოს უფლება წევრის უფლებაა და იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ ორგანიზაციის რომელიმე არაწევრ სახელმწიფოს. ასე რომ, რუსეთი ნატოს შიგნით ვერანაირი ვეტოს უფლებით ვერ ისარგებლებს. **რასაც ბატონი სტოლტენბერგი გულისხმობს, იმას ვეტო არ ჰქვია, მას სხვა სახელი აქვს. მას შეიძლება რეაქცია, გამოძახილი ან პასუხი ვუწოდოთ. ხოლო რა შეიძლება დასავლეთმა და ნატომ რუსეთისგან პასუხად მიიღონ — მოწონების ტაში თუ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის გაშვება რომელიმე მიმართულებით, ამას მოგვიანებით იხილავენ და მიხვდებიან.**

დავანებოთ თავი სტოლტენბერგის განათლების საკითხს და დავუბრუნდეთ იმას, რას ნიშნავს ეს ყველაფერი. **ნუთუ ამერიკელები რუსეთთან ფართომასშტაბიან კონფრონტაციაზე წასვლას გეგმავენ?** ეს ის შეკითხვაა, რომელიც მსოფლიოში აქტუალურია, ვინაიდან ამაზე პლანეტის მომავალია დამოკიდებული. პარალელურად სხვა შეკითხვებიც ჩნდება: **გააჩნია თუ არა რუსეთს წინააღმდეგობის გაწევისა და დასავლური აგრესიის ალაგმვა-შეკავების შესაძლებლობა? რუსეთი იძულებული ხომ არ იქნება, ნელ-ნელა დათმოს პოზიციები ან ისეთივე კრახი განიცადოს, როგორიც ოცდაათი წლის წინათ საბჭოთა კავშირმა?** ყოველი ასეთი შეკითხვა ახალ შეკითხვებს აჩენს: **რა დარჩენია და რას დაეძებს შავ ზღვაში აშშ? ან რა უნდა მას უკრაინაში, საქართველოში, ბელარუსში, საერთოდ, პოსტსაბჭოთა სივრცეში?** ბევრჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: აშშ სადაც მოქმედებს (პოსტსაბჭოთა სივრცეში, ახლო აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა თუ ავღანეთში), ყველგან რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებს; პირველ რიგში, რუსეთის წინააღმდეგ და შემდეგ ყველა დანარჩენის — ჩინეთის, ირანის, სირიის, ჩრდილოეთ კორეის და ა.შ. **ამერიკელებმა, რა თქმა უნდა, იციან, რომ მათ ფერად ოცნებას მსოფლიოში ერთპიროვნულ გაბატონებაზე, პირველ რიგში, რუსეთი ამუხრუჭებს, რომელსაც საამისო პოტენციალი აქვს, ამიტომ რუსეთის განეიტრალება მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.** როგორი პარადოქსულიც უნდა ჩანდეს, მრავალმხრივ კრიზისში ჩაფლული აშშ-ის გადარჩენის ერთადერთი გზა მსოფლიოზე გაბატონებაა. ყველა სხვა შემთხვევაში, იგი დაკარგავს პრობლემებთან და კრიზისებთან გამკლავების უნარს და საკუთარ წინააღმდეგობებში ჩაიხრჩვება. მას ბოლო ჟამი უდგას, რის გამოც რესურსების მაქსიმალურ მობილიზებას ცდილობს, რათა დააჩოქოს რუსეთი, საფუძველი შეურყიოს ჩინეთის სულ უფრო მზარდ პროგრესს და თავი მსოფლიოს მბრძანებლად გამოაცხადოს. იგი მსოფლიო ომის პროვოცირებას ცდილობს იმ იმედით, რომ ამ ბინძურ თამაშში რუსეთი არ აჰყვება და დათმობებზე წავა ისევე, როგორც ეს დღემდე ხდებოდა ნატოს უკიდეგანო გაფართოებისა და რუსეთის ირგვლივ რკალის შეკვრის პასუხად. ასე დათმო რუსეთმა პოზიციები აღმოსავლეთ ევროპაში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, საქართველოში, უკრაინაში; ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც ნატომ ამა თუ იმ ფორმით ფეხი მოიკიდა. ანტირუსული ღერძის გამაგრების მცდელობა იყო პენტაგონის შეფის, **ლოიდ ოსტინის,** მიერ რამდენიმე დღის წინათ მოწყობილი ტურნე — საქართველო-უკრაინა- რუმინეთი. აშშ-ის თავდაცვის მდივანი ამ ტურნეთი არა მხოლოდ მოკავშირეთა პოზიციების განმტკიცებას, არამედ რეგიონში მოსალოდნელი ახალი ალიანსის მცდელობას აღუდგა წინ, რომელიც აშკარად არ ჯდება მათ გეგმებში. საუბარია ექვსეულის ფორმატზე, რომლის შემადგენლობაში რუსეთი-ირანი-თურქეთი და ამიერკავკასიის სამი სახელმწიფო — საქართველო-სომხეთი-აზერბაიჯანი განიხილება. **ექვსეულის ეს ფორმატი პრინციპულად განსხვავდება იმ ხელოვნური ფორმატებისგან, როგორიც იყო, ვთქვათ, 1997 წელს შექმნილი სუუამი** (საქართველოს უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვის კავშირი). რამდენიმე წლის შემდეგ ამ კავშირიდან უზბეკეთი ამოვარდა და დარჩა — სუამი. როგორც ვთქვი, ეს იყო პოსტსაბჭოთა სივრცში ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისგან რუსეთის წინააღმდეგ ხელოვნურად შეკოწიწებული პროამერიკული კავშირი, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, სიცოცხლისუუნარო გამოდგა და შარშანდელი თოვლივით გაქრა. ამგვარი ხელოვნური კავშირებისგან განსხვავებით, ექვსეულის ფორმატი არათუ ხელოვნური არ არის, პირიქით, ძალიან ბუნებრივი და ყოველი შემავალი სახელმწიფოსთვის ეგზისტენციური მნიშვნელობის მქონეა. **რუსეთისთვის ეს ფორმატი ნატოს ალყაში მოქცევისგან თავის დაღწევის საშუალებაა, ირანისთვის — მარტო დარჩენისგან თავის არიდებისა და რეგიონულ კონტექსტში ჩაწერის საშუალება; საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის — მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის გრძელვადიანი მოწესრიგების საშუალება; თურქეთისთვის კი — მისი გაცხადებული თუ ფარული ზრახვების განხორციელების გზაზე მეზობლებთან ერთიან კონტექსტში დიალოგისა და რეგულარული კონტაქტების გზა, რომელიც მას აშშ-თან და ნატოსთან ფორმალური დისტანცირებისა და ვაჭრობის საშუალებას მისცემს. სწორედ იმიტომ, რომ ეს ფორმატი თავიდანვე სიცოცხლისუნარიანი და საინტერესო ჩანს, მოსალოდნელი იყო, რომ ამერიკელები მის დაბლოკვას შეეცდებოდნენ.**



ლოიდ ოსტინი

მართლაც ასე მოხდა. თბილისში ჩამოსულმა პენტაგონის შეფმა ამ ფორმატის შესახებ ჟურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვას ასე უპასუხა: **„რუსეთი, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიების ოცი პროცენტი, პატივს უნდა სცემდეს 2008 წლის ხელშეკრულებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, სანამ რამე ახალ პლატფორმაზე ისაუბრებდეს“**. ეს იყო ღია სიგნალი საქართველოს ხელისუფლებისთვის, რომ მან უარი უნდა განაცხადოს ფორმატში მონაწილეობაზე. საგარეო საქმეთა მინისტრი **დავით ზალკალიანი** „3+3“ ფორმატზე მანამდე ასე მსჯელობდა: **„ოკუპაციის პირობებში ძალიან ძნელია, დაჯდე ამ ფორმატში რუსეთთან ერთად, თუმცა აუცილებელია, რომ საქართველო ჩართული იყოს ყველა მნიშვნელოვან რეგიონულ პროექტში“**. ვერ დავუკარგავთ, საგარეო საქმეთა მინისტრს უგრძვნია პროექტში მონაწილეობის აუცილებლობა, მაგრამ არ იცის, როგორ შეხედავს ამ ფაქტს ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი, რის გამოც ცდილობს, ისე ილაპარაკოს, რომ არც მწვადი დაწვას და არც შამფური. ამ თემაზე ლოიდ ოსტინის მიერ თბილისში გაკეთებული განცხადების შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, როგორც ასეთ შემთხვევებში იტყვიან, ხელი დაიბანა: **„არაერთხელ განვაცხადეთ, რომ არ განვიხილავთ ე.წ. 3+3 ფორმატში მონაწილეობას რუსეთთან ერთად“**. აი, ასე, **მხოლოდ ერთი „ნამიოკით“ გადაუსვა ხაზი პენტაგონის შეფმა საქარ-** ▶

**ფორმატი «3+3»-ის ნაცვლად შედგება ფორმატი «3+2», ანუ რუსეთი, ირანი და თურქეთი სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად (საქართველოს გარეშე) ილაპარაკებენ რეგიონის პრობლემებზე და თამაშის წესებსაც ისინი შეიმუშავებენ, საქართველო კი კონტექსტიდან ამოვარდნილი და, ფეხბურთის ენით რომ ვთქვათ, თამაშგარეშე მდგომარეობაში აღმოჩნდება. საფრთხე იმისა, რომ ეს ნამდვილად ასე მოხდება, დიდია, თუმცა საქართველოს პროამერიკულ ხელისუფლებასა და ოპოზიციას ეს არაფრად მიაჩნიათ, ვინაიდან დღე-დღეზე ნატოს წევრობას ელიან**

**დასავლეთი მსოფლიოში არსებული ყველა პრობლემისა და უბედურების წყაროდ და საფუძვლად რუსეთის წარმოჩენის აღვირახსნილ კამპანიას აწარმოებს. ამ ბინძურ კამპანიაში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან განსაკუთრებით უკრაინა და საქართველო ჩაითრიეს, რასაც ამ სახელმწიფოებისთვის უბედურების გარდა არაფერი მოუტანია და, როგორც ჩანს, მომავალშიც უკეთესს არაფერს ჰპირდება. დღესაც კი, როდესაც აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავებულია, საქართველოსთვის მხოლოდ ძველი საკენკი ჩამოაქვთ და ისე უყრიან წინ, თითქოს მასში რამე ახალი ერიოს.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელები მთელ მსოფლიოში ხელებს აფათურებენ, მაგრამ ჯერ არავის უნახავს მათ სადმე კარგი საქმე გამოსვლოდეთ. ამჯერადაც ასე იქნება, საქართველოსაც და უკრაინასაც ამერიკელები საბოლოო დაშლამდე მიიყვანენ, შესაძლებელია, რომ შავი ზღვა, რომელშიც ახლა ხელებს აფათურებენ, ისე შეღებონ სისხლით, როგორც გერმანელმა ფაშისტებმა 1942 წელს ქერჩის სრუტე შეღებეს

**◀თველოს დიალოგისა და კონტაქტის ყოველგვარ პერსპექტივას არამხოლოდ რუსეთთან, არამედ, საერთოდ, მეზობელ სახელმწიფოებთან. საქართველოს ხელისუფლება პენტაგონის შეფს არამხოლოდ მიუხვდა „ნამიოკს“, არამედ ზედმიწევნით კარგადაც შეასრულა იგი, მაგრამ რას მოუტანს ეს საქართველოს?** ფორმატი „3+3“-ის ნაცვლად შედგება ფორმატი „3+2“, ანუ რუსეთი, ირანი და თურქეთი სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად (საქართველოს გარეშე) ილაპარაკებენ რეგიონის პრობლემებზე და თამაშის წესებსაც ისინი შეიმუშავებენ, საქართველო კი კონტექსტიდან ამოვარდნილი და, ფეხბურთის ენით რომ ვთქვათ, თამაშგარეშე მდგომარეობაში აღმოჩნდება. საფრთხე იმისა, რომ ეს ნამდვილად ასე მოხდება, დიდია, თუმცა საქართველოს პროამერიკულ ხელისუფლებასა და ოპოზიციას ეს არაფრად მიაჩნიათ, ვინაიდან დღე-დღეზე ნატოს წევრობას ელიან. პენტაგონის შეფის სტუმრობა თბილისში და მისი ტურნე კიევსა და ბუქარესტში ნატოს გენერალური მდივნის ბოლო განცხადებამ უკრაინის ნატოში წევრად მიღების პერსპექტივის შესახებ, ისე დააგვირგვინა, რომ პროამერიკულ ძალებს სიხარულისგან თავგზა საბოლოოდ აებნათ. მისი ნათქვამი, რომ უკრაინა სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელსაც სრული უფლება აქვს, თავისი გზა თვითონ აირჩიოს, დიდებულია. ამ მიდგომას ვერაფერში შეედავები, რომ არა მისი ერთი უაღრესად სუსტი ადგილი. აი, ისეთი, აქილევსს რომ ჰქონდა — ქუსლი. უკრაინა, ისევე, როგორც ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფო, უფლებამოსილია, საითაც მოესურვება იქით შეტრიალდეს, და რომელ ალიანსშიც მოისურვებს, იმ ალიანსის წევრი გახდეს, მაგრამ უკრაინის ამ სურვილების განხორციელებით მსოფლიო გეოპოლიტიკური ბალანსი თუ ირღვევა და პლანეტა გლობალური ომის საფრთხის წინაშე დგება, ამ შემთხვევაში რომელია უფრო მთავარი: უკრაინის ფაშისტური ხელისუფლებისა და მას აყოლილი მოსახლეობის ერთი ნაწილის სამხედრო-პოლიტიკური ხუშტურები თუ პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნება? სტოლტენბერგი ამაზე პასუხს არ გვაძლევს, ვინაიდან, როგორც ეტყობა, ამგვარი ფიქრით თავის შეწუხება არ უყვარს. **რუსეთი სტრატეგიული შეიარაღებით სერიოზულად უსწრებს აშშ-ს. ასეთ ვითარებაში რუსეთის კუთხეში მიმწყვდევა და მისთვის გადარჩენის ერთადერთ გზად ომის დატოვება მათთვისაც ხომ დამღუპველია, ვინც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საქმე სწორედ ამ მიმართულებით წაიყვანოს. იციან მათ ეს ყველაფერი, მაგრამ მაინც ამ გზას ადგანან და ამ გზიდან გადახვევას არ აპირებენ.** საქმე ის არის, რომ, როგორც უკვე ვთქვი, მათაც არ შეუძლიათ ამ პროექტზე (მსოფლიოში გაბატონება) ხელის აღება, ვინაიდან მათ კრიზისისგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა დარჩენიათ — **ომი. მათ ერთი რამის იმედი აქვთ: რუსეთმა იქნებ ვერ გაბედოს იმ პასუხის გაცემა, რომელსაც იმსახურებენ. ასეთ შემთხვევაში აშშ მოასწრებს რუსეთისთვის ნატოს ალყის შემოვლებას, შავი ზღვის აუზის ოკუპირებას, პოსტსაბჭოთა სივრცეში (ბელარუსის ჩათვლით) სრულად გაბატონებას და ამის შემდეგ რუსეთის ნებისმიერი მოძრაობა უკვე დაგვიანებული და თვითონ რუსეთისთვის საზიანო აღმოჩნდება.** რატომ ფიქრობენ ისინი, რომ რუსეთმა, შესაძლებელია, მათი უბოროტესი აგრესიისგან ღირსეულად თავის დაცვას ჩაყოლა და თავის დამცირება ამჯობინოს? საქმე ის არის, რომ **აშშ-ს თავის გადასარჩენად, ვა-ბანკზე წასვლის გარდა, სხვა გზა თუ არ რჩება, რუსეთმა პლანეტარულ კატასტროფას (მესამე მსოფლიო ომს) შეიძლება თავის დადრეკა ამჯობინოს, ვინაიდან ჩათვალოს, რომ თვითონ მას ვერც ბანდიტური ეკონომიკური სანქციებით, ვერც აღვირახსნილი საინფორმაციო ომით და ვერც ნამდვილი ომის მუქარით ვერ დააჩოქებენ.** ძნელი სათქმელია, რა გათვლებს ეყრდნობა ამერიკელთა რწმენა, რომ რუსეთი სწორედ ამ გზას აირჩევს. პუტინის ცნობილი გამონათქვამები, როგორიცაა, მაგალითად, **„ერთპოლუსიანი მსოფლიო ვერ შედგა“** (მიუნხენი); **„ახლა მაინც ხვდებით, რა ჩაიდინეთ?!“** (გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომა); **„ტაიგის ერთადერთი კანონიერი პატრონი დათვია, რომელიც თავის ტაიგას არავის არ დაუთმობს“** (პეტერბურგის ეკონომიკური ფორუმი); **„რად გვინდა ისეთი მსოფლიო, სადაც რუსეთი არ იქნება?!“** (სატელევიზიო ინტერვიუ) და სხვა მრავალი, იმის საფუძველს არ იძლევა, რა რწმენაც ამერიკელებს გასჩენიათ. ეს, რაც შეეხება გამონათქვამებს, რომლებიც საკმარისად მწვავეა, მაგრამ გაცილებით მწვავეა ვლადიმერ პუტინის მოქმედება, რომელიც რუსეთის ყველა მიმართულებით (პოლიტიკური, გეოპოლიტიკური, სოციალური, სამეცნიერო, სამხედრო) გაძლიერებაში გამოიხატა. **2000 წლიდან დღემდე რუსეთის მიერ გამოვლილი გზა ესაა გზა წაქცეული, დაქცეული და მიწასთან გასწორებული რუსეთიდან უძლიერეს რუსეთამდე.**

დასავლეთი მსოფლიოში არსებული ყველა პრობლემისა და უბედურების წყაროდ და საფუძვლად რუსეთის წარმოსაჩენად აღვირახსნილ კამპანიას აწარმოებს. ამ ბინძურ კამპანიაში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან განსაკუთრებით უკრაინა და საქართველო ჩაითრიეს, რასაც ამ სახელმწიფოებისთვის უბედურების გარდა არაფერი მოუტანია და, როგორც ჩანს, მომავალშიც უკეთესს არაფერს ჰპირდება. დღესაც კი, როდესაც აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავებულია, საქართველოსთვის მხოლოდ ძველი საკენკი ჩამოაქვთ და ისე უყრიან წინ, თითქოს მასში რამე ახალი ერიოს. აი, რა ძლვენით გვეწვია ქართველებს პენტაგონის შეფი: **„დღეს მაქვს პატივი, საქართველოს თავდაცვის მინისტრთან ერთად გამოვაცხადო საქართველოს თავდაცვისა და შეკავების ინიციატივა. ეს ინიციატივა იქნება ცენტრალური აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტსა და საქართველოს თავდაცვის ძალებს შორის თანამშრომლობისთვის“.** ხომ გვახსოვს, ჩვენს ე.წ. სტრატეგიულ პარტნიორს რამდენი ასეთი ინიციატივა ჰქონია, რომლებსაც ჩვენთვის მათთან ერთად სხვადასხვა გაუგებარ სამხედრო მისიებში მონაწილეობისას, 35 დაღუპულისა და ასეულობით დაჭრილი ქართველი ჯარისკაცის გარდა, სხვა სიკეთე არ მოუტანია; ტერიტორიული რღვევისა და ეკონომიკური კატასტროფის გარდა არაფერი მოჰყოლია. რა არის ეს „ახალი ინიციატივა“ და რას მოგვიტანს იგი იმაზე უკეთესს, ვიდრე სხვა რომელიმე ინიციატივას მოჰქონდა. თვითონ ლოიდ ოსტინი ამ „ახალ ინიციატივას“ ასე აღწერს: **„ეს აღნიშნავს მართლაც ახალ, ამაღელვებელ ფაზას ჩვენი ქვეყნების უსაფრთხოებისთვის ორმხრივ თანამშრომლობაში“. კეთილი და პატიოსანი. ავღელდეთ და გავიხაროთ ამ „ახალი ინიციატივით“,** სხვა რა გზა გვაქვს, მაგრამ ის ხომ მაინც უნდა ვკითხოთ ჩვენს უძვირფასეს სტუმარს, თუ რა არის ჩვენთვის ახალი ამ „ახალ ინიციატივაში“. თუმცა, შეკითხვა რა საჭიროა, თუკი სტუმარი შეკითხვის გარეშეც შესანიშნავად გვიხსნის ამ სიახლეს: **„ეს ხაზს უსვამს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის გრძელვადიან პოლიტიკას, დაეხმაროს საქართველოს, რომ მან წინ წაიწიოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე“.** ეს დემაგოგიის კლასიკური მაგალითია. ლოიდ ოსტინის „ახალი ინიციატივით“ საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია კი არა, ამ დაუსრულებელ გზაზე თურმე „წინ წაწევა“ მოხდება. იმას არავინ გვეუბნება, თუ რამდენით წაგვწევენ წინ და, საერთოდ, რას ნიშნავს ეს „წინ წაწევა“, მაგრამ „წინ წაწევა“ რომ მოხდება, ამას გვპირდებიან, ოღონდ... უპირობოდ და ავტომატურ რეჟიმში კი არა, ამისთვის თურმე საჭირო ყოფილა, „საქართველომ გააძლიეროს დემოკრატია, გაატაროს ფუნდამენტური რეფორმები, რომლებიც აუცილებელია დასავლეთთან საქართველოს უფრო მჭიდროდ დასაკავშირებლად“. **არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი, თუ რა ძღვენითაც წვევია საქართველოს ეს ყოველმხრივ (მხედველობაში მაქვს ფიზიკური და თანამდებობრივი) ბუმბერაზი კაცი.**

ფრიად პატივცემულმა ბატონმა ლოიდ ოსტინმა, რომელიც თბილისიდან პირდაპირ კიევში ჩაფრინდა, იქაც ანალოგიური განცხადება გააკეთა: „მე აქ ვარ, რათა დავადასტურო ჩვენი ურყევი მხარდაჭერა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი. აშშ მხარს უჭერს უკრაინის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, რათა შეაკავოს რუსეთის შემდგომი აგრესია“.

რაკი ამდენი ვდიე ბატონ ოსტინს, ბარემ რუმინეთშიც ჩავყვები, რამე რომ არ გამოგვრჩეს მისი ტურნედან. ოსტინმა ბუქარესტშიც მოკლედ ჩამოაყალიბა სათქმელი: **„რუსეთის მადესტაბილიზებელი მოქმედებები შავ ზღვაზე და მის ირგვლივ ასახავს ამ ქვეყნის ამბიციებს, აღიდგინოს დომინანტური მდგომარეობა რეგიონში და ხელი შეუშალოს ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის ჩამოყალიბებას“.**

აი, რის სათქმელად უფრენია ამდენი ამ ყოველმხრივ ბუმბერაზ ლოიდ ოსტინს. ტყუილად რომ არ გარჯილა ეს ყოველმხრივ ბუმბერაზი კაცი, ნათელია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სიცრუისა და დემაგოგიის აბლაბუდაში ხვევენ ყველა იმ სახელმწიფოს, რომელშიც ვითომ კეთილისმყოფელებად და სტრატეგიულ პარტნიორებად შედიან, ხალხის დიდ ნაწილს მაინც სჯერა მათი. **საქართველოში მოახერხეს, რომ ნატოს ფსიქოზი შეექმნათ. რამდენი ადამიანი დადის საქართველოში, რომელიც პოლიტიკურ, გეოპოლიტიკურ თუ სამხედრო სტრატეგიულ საკითხებში ისევე ერკვევა, როგორც ჩინურ ლინგვისტიკაში, მაგრამ თავგამოდებული ამტკიცებს საქართველოს ნატოს წევრობის აუცილებლობას. რამდენი დოყლაპია უკრაინელი დადის უკრაინაში, რომელმაც, რომ ჰკითხო, რუსულ-უკრაინული ფესვების ერთიანობაზე არაფერი იცის, სამაგიეროდ, უკრაინელი ხალხის მიმართ რუსეთის ისტორიულ მტრობაში „ღრმად განსწავლულია“. ეს ხალხისთვის ტვინის გამორეცხვის მიმართულებით ამერიკელთა ფილიგრანული ნამუშევარია.** შეფასებებში ობიექტურობის შენარჩუნება თუ გვსურს, **უნდა ვაღიაროთ, რომ ამერიკელები ხალხის ფსიქიკაზე ძალიან ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ. ისინი ამ საქმისთვის სამ რამეს არ იშურებენ — თანხებს, შრომას, დროს:**

*** საქართველოში მოქმედი ყველა ტელეარხი აშშ-ის პროპაგანდისტია;**

*** საქართველოში მოქმედი ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია აშშ-ის პროპაგანდისტია;**

*** საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტია აშშ-ის პროპაგანდისტია.**

*** აშშ ყველა მათგანს აფინანსებს, პატრონობს**, იცავს. შეადარეთ ამას რუსეთის მოქმედება, გნებავთ, საქართველოში და, გნებავთ, უკრაინაში. **რუსეთს არ აქვს თავისი პოზიციის გამხმოვანებელი**




**არც ტელეარხი, არც არასამთავრობო ორგანიზაცია, არც პოლიტიკური პარტია. სამაგიეროდ, ყველა ტელევიზია, არასამთავრობო ორგანიზაცია და პოლიტიკური პარტია ერთხმად გაჰყვირის, რომ საქართველო წალეკა რუსულმა პროპაგანდამ. ვიღაც, ალბათ, ფიქრობს, საქართველოში ყველა და ყველაფერი რუსეთს აგინებს და ყველაზე ვერაგ, ისტორიულ მტრად წარმოაჩენს, სად არის აქ რუსული პროპაგანდაო,** მაგრამ, როდესაც მის ირგვლივ ერთხმად ამტკიცებენ, რომ საქართველოში რუსული პროპაგანდა ისე ბობოქრობს, ყველას და ყველაფერს ფარავსო, თანდათანობით თვითონაც იჯერებს ამ აბსურდს. ამერიკელებს შესანიშნავად აქვთ შესწავლილი ადამიანის ქცევებიც, სოციალური ფსიქოლოგიაც და, რაც მთავარია, ამ ცოდნას იყენებენ პრაქტიკაში, იმ ქვეყნების საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების საქმეში, რომელ ქვეყანაშიც მუშაობენ, ამიტომ ეს საქმე (საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედება) ძალიან კარგად გამოსდით, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც უჭირთ. პუტინმა ერთხელ ასეთი რამ თქვა: **„რუსებზე ამბობენ, რა საქმესაც უნდა მოჰკიდონ ხელი, ყოველთვის კალაშნიკოვის ავტომატი გამოსდითო, მაგრამ ამერიკელებს რომ ვაკვირდები, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, მათ ყველგან ლიბია ან ერაყი გამოსდით“.** ზუსტი ნათქვამია. ამერიკელები მთელ მსოფლიოში ხელებს აფათურებენ, მაგრამ ჯერ არავის უნახავს, მათ სადმე კარგი საქმე გამოსვლოდეთ. ამჯერადაც ასე იქნება, საქართველოსაც და უკრაინასაც ამერიკელები საბოლოო დაშლამდე მიიყვანენ, შესაძლებელია, რომ შავი ზღვა, სადაც ახლა ხელებს აფათურებენ, ისე შეღებონ სისხლით, როგორც გერმანელმა ფაშისტებმა 1942 წელს ქერჩის სრუტე შეღებეს. გერმანიის თავდაცვის მინისტრ **ანეგრეტ კრამპ-კარენბაუერს,** რომელმაც თავს უფლება მისცა, განეცხადებინა, რუსეთის შესაკავებლად ნატომ ბირთვული იარაღი უნდა გამოიყენოსო, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა **სერგეი შოიგუმ** სწორედ დიდი სამამულო ომის მაგალითი შეახსენა, რომლითაც ყველაფერი იყო ნათქვამი: „მსგავსი ისტორია როგორც სრულდებოდა გერმანიისა და ევროპისთვის, გერმანიის თავდაცვის მინისტრს კარგად უნდა მოეხსენებოდეს“. შოიგუს ნათქვამს **ბისმარკის** იმ ბრძნული სენტენციით გავაძლიერებდი, ამ წერილს ეპიგრაფად რომ წარვუმძღვარე: „შეჰკარით კავშირი, ვისთანაც გსურთ, წამოიწყეთ ნებისმიერი ომი, ოღონდ არასოდეს შეეხოთ რუსეთს!“

ჩაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ ისინი დაბრუნებას შეძლებენ, მით უფრო არჩევნების გზით, რაც მე წარმოუდგენელი მგონია, ეს იქნება უკვე პირდაპირი მაჩვენებელი იმისა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ მწვანე აუნთო წარმოუდგენელ ძალადობას ქვეყანაში. ეს იქნება იმის დემონსტრირება, რომ ის ჯოჯოხეთური 9 წელი არაფერი ყოფილა. რა თქმა უნდა, რეჟიმი გაცილებით მძიმე ხასიათს მიიღებს. ვისაც ეს ვერ წარმოუდგენია და გულუბრყვილოდ სჯერა მელიას განცხადებების, რომ თურმე რევანშისთვის არ ბრუნდება, კარგად დააკვირდეს მათ სახეებს — მათგან ბოლმა, სიძულვილი და შურისძიება იფრქვევა“.



# ლალი აფციაური: იქ, სადაც პროცესების ავანგარდში «ნაციონალური მოძრაობაა», მშვიდობა იქნება?!

**არჩევნებამდე სამი დღით ადრე ქვეყანაში დაძაბულობა პიკს აღწევს. ქვეყნის №1 დესტრუქციული ძალა პოლიტიკურ ტერორსა და ობსტრუქციას წარმატებით განაგრძობს. „ნაცმოძრაობის“ ლიდერები ყოველდღიურ რეჟიმში ცდილობენ და ახერხებენ კიდეც მოსახლეობაში იმ განცდის გაჩენას, რომ 30 ოქტომბრის შემდეგ ქვეყანა უკიდურესად მძიმე კრიზისში აღმოჩნდება, მეტიც, ისინი ახერხებენ შიშისა და ტერორის დათესვას იმ თვალსაზრისით, რომ ყველაფერთან ერთად, შესაძლოა, ხელისუფლების სათავეში დაბრუნდნენ...**

სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ **ნიკანორ მელიამ** ხელისუფლებას მუქარა გაუგზავნა და მედიასთან განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ „ოცნება“ „რუბიკონს გადალახავს, პასუხი იქნება შესაბამისი...“ იმავე კომენტარში მან სააკაშვილის ცხრაწლიანი რეჟიმის ერთ-ერთი ძალოვანი მაღალჩინოსანი, ყოფილი ზონდერპოლიციელი **რუსლან შამახიაც** ახსენა და აღნიშნა, რომ სამეგრელოში ღარიბაშვილის ჩასვლამდე მისი დაკავება იგეგმებოდა. რას გულისხმობს პარლამენტზე შტურმის მიმტანი და მერე უკვე დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილი მელია „შესაბამის პასუხში“, რომელსაც ის ხელისუფლებას „რუბიკონის გადალახვის“ შემთხვევაში გასცემს, საზოგადოებამ ორი წლის წინათ, 20 ივნისს იხილა. სწორედ „რუბიკონის გადალახვა“ იყო მაშინაც მთავარი „ბრალდება“ ხელისუფლების მიმართ, რომლის საფუძველზეც დანაშაულებრივი პარტიის თავკაცმა მხარდამჭერებს ძალადობისკენ მოუწოდა და „ეროვნული ღირსების“ დაცვის ლოზუნგით პარლამენტის კარის მტვრევა დაიწყო... პარლამენტის კარს, ალბათ, არა, მაგრამ, დიდი ალბათობით, იგივე ხალხი იმავე ლოზუნგებითა და რიტორიკით 30-ში ან მერე ხელისუფლებას ქუჩიდან შეუტევს; ქუჩიდან, სადაც, სულ რაღაც, ორი კვირის წინათ ათასობით ადამიანი გამოიყვანეს და საარჩევნო ციებ-ცხელებაში მყოფი ხელისუფლების დასანახად პოლიტიკური კუნთები ათამაშეს. მელია, როგორც ჩანს, მათ დაძახებას კიდევ აპირებს და პოლიტიკური მუხტის აწევაც ამისთვის სჭირდება, ამისთვის სჭირდება დეზინფორმაციაც, რომ თურმე ზუგდიდში მათი მხარდამჭერების მასობრივად დაკავებას აპირებენ. რაც შეეხება ხელისუფლებას და მის პოზიციას, პრემიერის განცხადებებს თუ დავუჯერებთ, ქვეყანაში არანაირი დესტრუქციისა და ვითარების არევის საფრთხე არ არსებობს. მეტიც, იგი პირობას დებს, რომ არჩევნები მშვიდად ჩაივლის და დამაჯერებელ გამარჯვებას იზეიმებს, ხოლო მსჯავრდადებული და ბრალდებული სააკაშვილი სასჯელს სრულად მოიხდის. რა იქნება და როგორ, დრო გვიჩვენებს, თუმცა ერთი რამ უკვე ამთავითვე ცხადია: უახლოეს ხანში საქართველოს პოლიტიკური სიმშვიდე არ ელოდება.

**რას უნდა ველოდოთ არჩევნების მეორე ტურის შემდეგ და არსებობს თუ არა ქვეყანაში სააკაშვილის რეჟიმის რამე ფორმით დაბრუნების საფრთხე, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ცნობილი ადვოკატი და უფლებადამცველი ლალი აფციაური.**

**— ქალბატონო ლალი, არჩევნებამდე სამი დღე დარჩა და ვხედავთ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობა სულ უფრო მატულობს. „ნაცმოძრაობა“ ამ ყველაფრის ავანგარდშია, ეს მოსახლეობის ერთ ნაწილში აჩენს შიშს, რომ სააკაშვილის რეჟიმი, შესაძლოა, დაბრუნდეს. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე, არსებობს მსგავსი საფრთხე?**

— თუ საქართველოს მოსახლეობა არ გაითავისებს იმას, რაც ხდება რეალურად და რაც ხდებოდა სააკაშვილის სასტიკი რეჟიმის პერიოდში, რა თქმა უნდა, საფრთხეები იარსებებს, ამიტომ ახლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ყველამ გააცნობიეროს, რასთან გვაქვს საქმე და 30 ოქტომბერს ყველამ მოიხადოს მოქალაქეობრივი ვალი. სხვათა შორის, **ციფრები და პროცენტები, რომლებიც არჩევნების პირველმა ტურმა აჩვენა, არის ერთგვარი თვითდაიმედების შედეგი, რომ მაინც გაიმარჯვებს „ოცნება“ და რეჟიმის დაბრუნების ალბათობა ნულია, მაგრამ ასე არ არის. აქ საჭიროა სერიოზული ბრძოლა და ძალისხმევა იმისთვის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ფაქტის წინაშე არ აღმოვჩნდეთ და მერე გაოცებული სახეებით არ გვიწევდეს მსჯელობა, რა მოხდა.** მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არის სრულ პოლიტიკურ ნიჰილიზმში, რომელსაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ ელექტორატი დარაზმულია... ნიჰილიზმიც გასაგებია, დაპირებული სამართლიანობის არ თუ ვერაღდგენის გამო შექმნილი უნდობლობაც გასაგებია ხელისუფლებისადმი, მაგრამ, **ვისაც რეჟიმის დაბრუნება არ სურს, უნდა ესმოდეს, რომ ახლა შინ ჯდომით ეს არ გამოვა. შინ ჯდომით მივიღებთ საპირისპირო შედეგს — არჩევნებში გაიმარჯვებს „ნაციონალური მოძრაობა...“**

**— გამოდის, საფრთხე საკმაოდ რეალურია...**

— რა თქმა უნდა, ჩვენ რეალისტები უნდა ვიყოთ. **რეალობა კი არის ის, რომ, რაც უფრო ნაკლები ადამიანი მივა არჩევნებზე, მით მეტად გაიზრდება დანაშაულებრივი ძალის პოლიტიკური შანსი... რაც შეეხება დაძაბულობას, სხვას რას ელოდებით? იქ, სადაც პროცესების ავანგარდში „ნაციონალური მოძრაობაა“, მშვიდობა იქნება?! ხელისუფლებაში რომ იყვნენ და ერთპიროვნული ძალაუფლება ჰქონდათ, მაშინ ვერ ისვენებდნენ, ოპოზიციაში რა დააწყნარებთ?! ესენი, რა თქმა უნდა, არ გაჩერდებიან და არ გვაღირსებენ მშვიდობას, სანამ, კიდევ ვიმეორებ, ჩვენ, საზოგადოება, არ გავაკეთებთ იმას, რომ საბოლოოდ წერტილი დაესვას ამ ყველაფერს...**

«იმის გათვალისწინებით, რაც ამ ხალხმა 9 წლის განმავლობაში აკეთა, გაგიკვირდებათ, მსხვერპლზე წავიდნენ?! მე არ გამიკვირდება და, სხვათა შორის, არც ის გამიკვირდება, რომ სააკაშვილი გამოიყენონ მსხვერპლად. სააკაშვილი მათ უკვე აღარ სჭირდებათ, მათ ის სჭირდებოდათ საფრთხობელად და შემოიპარა კიდეც, როგორც საფრთხობელა»

**— სხვათა შორის, „ნაცმოძრაობის“ ლიდერები, მათ შორის მელიაც და სხვებიც, სულ უფრო ხშირად საუბრობენ ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელ რეპრესიებზე. საუბრობენ იმაზეც, რომ შეიძლება მოხდეს იმიტირებული ბუნტი და სააკაშვილის ლიკვიდაცია განხორციელდეს... ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი ერთგვარი პრევენციაა მათი მხრიდან, რათა წინდაწინვე გაამართლონ თავიანთი გეგმები?**

— ხელისუფლების მხრიდან გამოვრიცხავ რამე ძალადობრივ სცენარს, იმიტომ, რომ ეს ხელისუფლების წისქვილზე წყალს არ დაასხამს და ამას მმართველ გუნდშიც აცნობიერებენ. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, მათი მხრიდან ყველაფერი მოსალოდნელია და ხელისუფლებაც მზად უნდა იყოს ყველაფრისთვის. სხვათა შორის, მელიას განცხადება, რომ თურმე სამეგრელოში მათი მხარდამჭერი ყოფილი პოლიციელების დაკავება იგეგმება თუ იგეგმებოდა და ვიღაცეებმა თქვეს, იარაღის ჩადებასაც გვიპირებდნენო, მაფიქრებინებს, რომ **„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებისგან შეიარაღებული გადატრიალების მცდელობაც რეალურია. მათ უამრავი იარაღი აქვთ გადამალული და ამას აღარ სჭირდება ბევრი მტკიცება; ასე რომ, რა თქმა უნდა, ისინი ყველაფერს იკადრებენ.**

**— მსხვერპლზეც შეიძლება წავიდნენ ვითარების გასამწვავებლად?**

— იმის გათვალისწინებით, რაც ამ ხალხმა 9 წლის განმავლობაში აკეთა, გაგიკვირდებათ, მსხვერპლზე წავიდნენ?! მე არ გამიკვირდება და, სხვათა შორის, არც გამიკვირდება, რომ სააკაშვილიც გამოიყენონ მსხვერპლად. სააკაშვილი მათ უკვე აღარ სჭირდებათ, მათ ის სჭირდებოდათ საფრთხობელად და შემოიპარა კიდეც, როგორც საფრთხობელა. რაც შეეხება კონკრეტულად მელიას და მის განცხადებებს, შემთხვევითი არ არის, რომ ის ბოლო პერიოდში, ფაქტობრივად, აღარც ახსენებს სააკაშვილს. **საქართველოში კონტეინერით შემოსულმა სააკაშვილმა თავის ფუნქცია შეასრულა და მორჩა, დღეს აქ გაცილებით უფრო დიდ საფრთხეებზეა საუბარი. ეს არის გასაცნობიერებელი და 30 ოქტომბერი, შესაძლოა, გადამწყვეტიც აღმოჩნდეს. აქ, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსახლეობაში არის ძალიან დიდი უნდობლობა, საზოგადოდ, პროცესისადმი...**

**— ამ უნდობლობის ფონზე, მივა ხალხი არჩევნებზე და დაირაზმება მოსალოდნელი საფრთხეების წინააღმდეგ? სხვათა შორის, საზოგადოებაში ხელისუფლებისადმი უნდობლობას აჩენს ის ეჭვებიც, რომ 30 ოქტომბრის მერე, როცა მმართველი გუნდი ძალაუფლებას გაინაღდებს, სააკაშვილის გათავისუფლებაზეც შეიძლება დაიწყოს საუბარი...**

— **სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ სააკაშვილს არავინ არ გამოუშვებს ციხიდან. სააკაშვილი მოიხდის სასჯელს, რაც უკვე მისჯილი აქვს, თუ კიდევ რამე არ დაემატა, და საფრთხე იმის, რომ იგი თავისი შიმშილობით ხელისუფლებას რაღაცას აიძულებს, არ არსებობს. მათთვის ხელისუფლების სათავეში დაბრუნების ერთადერთი შანსი არის ნიჰილიზმი ხალხში და განცდა, რომ ჩვენი აქტიურობით მაინც არაფერი არ შეიცვლება. შეიცვლება და შედეგი იქნება, სულ ცოტა, ის, რომ მკვლელები, მწამებლები, ადამიანის გამაუპატიურებლები ვერ დაბრუნდებიან.** დანარჩენი, თუ აქ ძირეული ცვლილებების აუცილებლობაზე ვსაუბრობთ, კი ბატონო, ეს საჭიროება მომწიფებულია, მაგრამ ამ ეტაპზე უპირველესი ამოცანა „ნაცმოძრაობის“ რეჟიმისთვის მობრუნების ყველანაირი შანსის წართმევაა.

**— და მაინც, თუ რეჟიმი დაბრუნდება, რას უნდა ველოდოთ?**

— **თუ ისინი დაბრუნებას შეძლებენ, მით უფრო არჩევნების გზით, რაც მე წარმოუდგენელი მგონია, ეს იქნება უკვე პირდაპირი მაჩვენებელი იმისა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ მწვანე აუნთო წარმოუდგენელ ძალადობას ქვეყანაში. ეს იქნება იმის დემონსტრირება, რომ ის ჯოჯოხეთური 9 წელი არაფერი არ ყოფილა. რა თქმა უნდა, რეჟიმი გაცილებით სასტიკ ხასიათს მიიღებს. ვისაც ეს ვერ წარმოუდგენია და გულუბრყვილოდ სჯერა მელიას განცხადებების, რომ თურმე რევანშისთვის არ ბრუნდება, კარგად დააკვირდეს მათ სახეებს — მათგან ბოლმა, სიძულვილი და შურისძიება იფრქვევა. ეს ერთი და მეორე: 20 ივნისის მომწყობი და პარლამენტზე შტურმის მიმტანი კრიმინალი შეიძლება, მშვიდობისთვის აპირებდეს სათავეში მოსვლას?!** ღმერთმა ნუ ქნას მათი მობრუნება, თორემ რეპრესიებსა და სისხლს მერე ნახავთ. მონაგონი იქნება ის 9 წელიწადი, რომელიც გამოვიარეთ, და მერე კიდევ 9 წელი შეიძლება არ გვეყოს მათ მოსაშორებლად. აი, ეს არის ის, რაც გველოდება მათი დაბრუნების შემთხვევაში, თუმცა ამის არ მჯერა და არც მინდა, წარმოვიდგინო, რომ მსგავსი რამ შეიძლება მოხდეს...

«ნაციონალური მოძრაობის» წარმომადგენლებისგან შეიარაღებული გადატრიალების მცდელობაც რეალურია. მათ უამრავი იარაღი აქვთ გადამალული და ამას აღარ სჭირდება ბევრი მტკიცება; ასე რომ, რა თქმა უნდა, ისინი ყველაფერს იკადრებენ!»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**გამოექომაგება დღეს ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი ან ნატო საქართველოს? როგორ მოიქცევიან ისინი, ნათლად აჩვენა 2008 წლის აგვისტომ და მათთან საქართველოს ურთიერთობის 30-წლიანმა გამოცდილებამ. ქართული სახელმწიფოს საკუთარი ძალებით თავდაცვაზე კი ლაპარაკი, უბრალოდ, არასერიოზულია. ხვდებიან კი რუსოფობიით გაგიჟებული ქართველი პოლიტიკანები, რომ ამით ისინი მშობლიურ ქვეყანას ულობავენ გადარჩენის ერთადერთ გზას?**

SOS

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას უქადის საქართველოს ყარსის შეთანხმების ვადის ამოწურვა?

**სსრკ-ის დაშლის შემდეგ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქცნენ. მათგან ზოგიერთი მყისვე შეეჯახა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას, რაც საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვრების თვითნებურად გადაკეთების ბოლშევიკური პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო.**

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლება არ ითვალისწინებდა ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების თავისებურებებს. საბჭოთა ქვეყანაში ყველა ხალხი და ეთნიკური ჯგუფი თანასწორად ითვლებოდა, ყველა საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდა და ერთნაირი უფლებებით სარგებლობდა, ამიტომ რაღაც დისკრიმინაციაზე ან ეროვნული ნიშნით ჩაგვრაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო.

მაგრამ, თუ საბჭოთა პერიოდში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის გამწვავებას სწრაფად და გაბედულად ანეიტრალებდნენ ყველანაირი მეთოდით, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ეს შენელებული მოქმედების ნაღმები მთელი სიმძლავრით ამოქმედდა.

ამის ნათელი ილუსტრაციაა საქართველო. ანტისაბჭოთა დისიდენტები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გასვლისთვის პოლიტიკურ ბრძოლას, ნაციონალისტურ პოზიციაზე იდგნენ. პირველ ეტაპზე არაფორმალი ლიდერები შემდეგ ახალგაზრდა სახელმწიფოს ახალი ხელმძღვანელები გახდნენ. ამ ვითარებაში პარადოქსი იყო ის, რომ ახალგაზრდა რესპუბლიკის ლიდერები, რომლებიც თავს დემოკრატიის მიმდევრებად წარმოაჩენდნენ, მზად იყვნენ, თავიანთ ქვეყანაში აპარტეიდისდროინდელი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მსგავსი ქვეყანა აეშენებინათ. პირველმა პრეზიდენტმა **ზვიად გამსახურდიამ** საბჭოთა პერიოდში არსებული ავტონომიები კანონით გააუქმა და მისმა მომხრეებმა, ფაქტობრივად, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის იდეა. დღეს, როგორც ცნობილია, ცალკე არსებობს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და ის, რომ მათი არსებობა რამდენმა სახელმწიფომ აღიარა ან არ აღიარა, ვერაფერს ცვლის.

ამჟამად საგანგაშო ვითარებაა აჭარაში — კიდევ ერთ ყოფილ საბჭოთა ავტონომიურ რესპუბლიკაში. თუ ქართველები, აფხაზები და ოსები სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლები არიან, აჭარლები ისეთივე ეთნიკური ქართველები არიან, როგორც იმერლები, კახელები და ქართლელები. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თურქებმა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ბატონობის შედეგად აჭარლები აიძულეს, მიეღოთ ისლამი.

**საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში ასლან აბაშიძე მაქსიმალურად ცდილობდა თბილისისგან დისტანცირებას. ის ყურადღებას არ აქცევდა სეპარატიზმის ბრალდებას და შეძლო თავისი რეგიონისთვის აეცილებინა სამოქალაქო ომი და პოლიტიკური ვნებათაღელვა, რომლებიც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მძვინვარებდა. ამ ადამიანის უდიდესი დამსახურებაა ის, რომ არ დაუშვა, აჭარაში თურქულ კაპიტალს ფეხი მყარად მოეკიდებინა და ცდილობდა, მაქსიმალურად შეეზღუდა თურქეთის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა.**

„ვარდების რევოლუციის“ სახელით ცნობილი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად საქართველოს ხელისუფლების სათავეში **მიხეილ სააკაშვილის** მოსვლის შემდეგ აჭარაში ვითარება შეიცვალა.

**მას შემდეგ თურქეთის ეკონომიკური გავლენა გონივრულ საზღვრებს გასცდა. თურქები არა მხოლოდ ბეჭდავენ გეოგრაფიულ რუკებს, რომლებზეც აჭარა გამოსახულია თურქეთის ტერიტორიად, არამედ ისინი, უკვე კარგა ხანია, აჭარაში თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში. თურქეთის მოქალაქეები აჭარაში არ ექვემდებარებიან სასაზღვრო და საბაჟო კონტროლს. საიდუმლო არავისთვისაა, რომ აჭარაში უამრავი სასტუმრო, რესტორანი, კაფე და გასართობი დაწესებულება მეზობელი თურქეთის მოქალაქეებს ეკუთვნით.**

თურქეთის კანონმდებლობით მის ტერიტორიაზე აკრძალულია კაზინოს მუშაობა, მაგრამ იმ თურქი მოქალაქეებისთვის, რომლებსაც სურთ, ნერვები აზარტით აიშალონ, პრობლემა არ არსებობს. **თურქული სათამაშო ბიზნესი აყვავდა და აჭარაში კაზინოების გვერდით ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით აღიმართა შენობები, რომლებშიც გოგონების მთელი არმია მზად არის, მოემსახუროს მდიდარ ტურისტებს.** ეს ყველაფერი არ არის. აჭარაში კაზინოებზე, ბორდელებსა და სასტუმროებზე არანაკლებ სწრაფი ტემპით შენდება მეჩეთები. **რეჯეფ თაიფ ერდოღანი** ისლამისტებზე დიდ იმედს ტყუილუბრალოდ არ ამყარებს.





საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია



მიხეილ სააკაშვილი და ასლან აბაშიძე



ბათუმი

**აჭარაში ცხოვრობს და საქმიანობს თურქეთის უამრავი მოქალაქე, რომლებსაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბატონობის ხანაში მიენიჭათ არა მხოლოდ შეღავათები, არამედ მოქალაქეობაც — საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით ეროვნული ინტერესების პირდაპირ ღალატით აჭარაში „მეხუთე კოლონა“ შეიქმნა. დღეს აჭარაში ორმაგი მოქალაქეობა აქვს მოსახლეობის 15 პროცენტს. როგორ მოიქცევა ეს ხალხი სრულიად შესაძლო სამომავლო რეფერენდუმებისა და პლებისციტებისას, რთული მისახვედრი არ არის.**

რამდენიმე დღის წინათ 100 წელი შესრულდა ყარსის საზავო შეთანხმების დადებიდან, რომლის მიხედვით აჭარა საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა. დღეს თურქეთის ხელმძღვანელობა და პრეზიდენტი ერდოღანი აღარც მალავენ ოსმალეთის იმპერიის აღდგენის, „დიდი თურანის“ შექმნის გეგმებს. მათი აზრით, დიდი თურანი გადაჭიმული უნდა იყოს ხმელთაშუაზღვიდან წყნარ ოკეანემდე.

**გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ დასავლელი პოლიტიკოსები, რომლებიც ნებისმიერი საბაბით თუ უსაბაბოდ მზად არიან, ბღავილი ატეხონ თითქოსდა საბჭოთა კავშირის აღდგენის მცდელობაზე, ერდოღანის ოცნებაზე, რომელიც სულ უფრო ცხადი ხდება, სამარისებურ სიჩუმეს ინარჩუნებენ.**

**თურქეთის გარდა ყარსის შეთანხმებების გარანტორი უკვე რუსეთია. ის რუსეთი, რომლისგანაც ქართველი პოლიტიკანები, უკვე 30 წელია, მტრის ხატებას ქმნიან. და რა მოხდება ხვალ, თუ თურქები მოისურვებენ, ოფიციალურად მიიერთონ აჭარა? რას დაუპირისპირებს თანამედროვე საქართველო თურქეთის ამ სურვილს?** 100 წლის წინათ სტალინმა აჭარა, ფაქტობრივად, სომხეთის სურმალინის მაზრაში გაცვალა არარატის მთასთან ერთად. იმხანად მას ზურგს უმაგრებდა რუსეთის სიძლიერე, რომელსაც თურქები ითვალისწინებდნენ. გამოექომაგება დღეს ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი ან ნატო საქართველოს? როგორ მოიქცევიან ისინი, ნათლად აჩვენა 2008 წლის აგვისტომ და მათთან საქართველოს ურთიერთობის 30-წლიანმა გამოცდილებამ. ქართული სახელმწიფოს საკუთარი ძალებით თავდაცვაზე კი ლაპარაკი, უბრალოდ, არასერიოზულია. ხვდებიან კი რუსოფობიით გაგიჟებული ქართველი პოლიტიკანები, რომ ამით ისინი მშობლიურ ქვეყანას ულობავენ გადარჩენის ერთადერთ გზას? თუმცა ამ ე.წ. მოღვაწეებისთვის გაუგებარია სიტყვათა შეთანხმება „მშობლიური ქვეყანა“, სამაგიეროდ მათ მშვენივრად ესმით სიტყვათა შეთანხმება „30 ვერცხლი“.

**dalma.news.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენთან ერთად თუ უჩვენოდ რეგიონის ქვეყნები თანამშრომლობას აუცილებლად დაიწყებენ და ლოგიკურად მივლენ დასკვნამდე, რომ საქართველო მათ განვითარებასა და წინსვლას ხელს უშლის. სწორედ მერე შეიძლება ითქვას უკვე ხმამაღლა და ოფიციალურად, რომ ვიღაცას მესხეთზე მართლა აქვს პრეტენზია, აქეთ გარეჯია ისევ სადავო, იქით — სამცხე-ჯავახეთი და ვინძლო, თავში ხელის ცემა გვიანი იყოს. საქართველომ კარგად უნდა აწონ-დაწონოს, რას მიიღებს ამ ფორმატისგან და თავიდანვე რაღაც გარანტიები მოითხოვოს. სხვაგვარად, ზუსტად იმ ადგილზე დავრჩებით რეგიონში, რომელზეც ახლა ვართ — უკანასკნელზე!**

# საქართველო რეგიონში სიცოცხლისუნარიანი რომ გახდეს, რუსეთთან ურთიერთობა უნდა მოაგვაროს

**საქართველო ისევ ვერ ბედავს რუსეთთან დიალოგის დაწყებას; ვერ ბედავს, რადგან ეშინია, რომ ოპოზიცია რუსეთუმეობას დასწამებს, რომ მოსახლეობის მცირე ნაწილი ამას გააპროტესტებს. არადა, შექმნილი ვითარებიდან ერთადერთი (და არა ერთ-ერთი) გამოსავალი სწორედ რუსეთთან დიალოგია. ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაფერი ვცადეთ, რაც კი შეიძლებოდა; ვცადეთ, ბოლომდე შევტენვოდით დასავლეთს და არ შეგვიტენა; ვცადეთ, გავმხდარიყავით ნატოს წევრი და ვერ გავხდით — ამის პერსპექტივა, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ გვექნება.**

ბოლო ხანს გახშირდა საუბარი ე.წ. 3+3 ფორმატის შესახებ. ეს ფორმატი თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის ინიციატივაა და თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, ირანისა და რუსეთის თანამშრომლობას გულისხმობს. აღნიშნულ ფორმატზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა **დავით ზალკანიანმა** განაცხადა, რომ საქართველოსთვის ამ ფორმატში მონაწილეობა „ძალიან ძნელი" იქნება, რამაც კრიტიკა გამოიწვია. **დასავლელი დიპლომატები ზალკანიანს შემოსწყრნენ, აქაოდა, „ძალიან ძნელი" კი არა, შეუძლებელი უნდა გეთქვაო. სხვებზე მეტად საქართველოში ამერიკის ყოფილი ელჩი იან კელი აქტიურობდა, — პირდაპირ კატეგორიული უარი რატომ არ განაცხადეო. სანამ უშუალოდ კელიზე ვიტყოდეთ, ამ ფორმატის შესაძლებლობებსა და სიცოცხლისუნარიანობაზე ვთქვათ.**

საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი აღნიშნულ ფორმატში მხოლოდ იმიტომ მოხვდნენ, რომ რეგიონის ქვეყნები არიან, თორემ ამთავითვე ცხადია, რომ მთავარი მოთამაშეები თურქეთი, რუსეთი და ირანი იქნებიან. **ეს ფორმატის დასახელებაშიც ჩანს — „3+3" ნიშნავს, რომ მთავარი გადაწყვეტილებების მიმღებნი სწორედ სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურები იქნებიან. აზერბაიჯანი მოიქცევა ისე, როგორც ამას თურქეთი ეტყვის; სომხეთი გააკეთებს იმას, რასაც მოისურვებს რუსეთი; ირანი დიდი მოთამაშეა და შეეცდება, სათავისოდ იზრუნოს; რჩება საქართველო, რომელსაც ამ ფორმატში პატრონი არ ჰყავს. გამოდის, თურქეთი არავის დააჩაგვრინებს აზერბაიჯანს, რუსეთი — სომხეთს, ირანი თვითონ არ დაიჩაგრავს თავს და რჩება საქართველო.** ჩვენი ქვეყანა ერთადერთია ამ სახელმწიფოებს შორის, რომელიც დასავლეთის მთავარ საყრდენად ითვლება რეგიონში. **როგორი დამოკიდებულება აქვს ირანს, თურქეთსა და რუსეთს დასავლეთთან, არ გესწავლებათ და როგორ შეხედავენ ისინი დასავლეთის „მთავარ საყრდენს", ადვილი წარმოსადგენია.**

არსებობს ერთადერთი ვარიანტი, რომ საქართველო არათუ ამ ფორმატში, არამედ რეგიონში სიცოცხლისუნარიანი გახდეს და ეს არის რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება. ამ ფორმატის დაანონსებით, მისულები ვართ ზუსტად იმ მდგომარეობამდე, როცა 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი გაფორმდა. დღემდე ტრაქტატზე არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს, ოღონდ ცოტა პარადოქსული — **ყველა აღიარებს, რომ მეფე ერეკლე II საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული პატრიოტი იყო და ის არ ჩაიდენდა ქვეყნისთვის საზიანო საქმეს, ამასთანავე, საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ პატარა კახის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება მოღალატეობრივი ქმედება იყო. ამ ადამიანებს არ ახსენდებათ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი რომ არა, საქართველო დღეს, უბრალოდ, არ იარსებებდა და მთელი ტერიტორია იქნებოდა ან ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც დღეს ფერეიდანია, ან ისეთში, როგორშიც დღეს საინგილოა — აკრძალული ენით, სარწმუნოებით, ტრადიციებით...**

თვით ფრაზა — „დასავლეთის მთავარი საყრდენი რეგიონში", ცოტა არ იყოს, სასაცილოდ ისმის. იმავე თურქეთს რომ დასჭირდეს, დასავლეთს ერთ დღეში გამოაცლის საქართველოს და თავად დაეყრდნობა. თურქეთმა მსოფლიოს თავისი ძალა არც ისე დიდი ხნის წინათ დაანახვა, ყარაბაღის ომის დროს, როცა დაამარცხა სომხეთი და მთიანი რეგიონი აზერბაიჯანს ფეშქაშად მიართვა. ამით თურქეთმა ისედაც დავალებული აზერბაიჯანი საშვილიშვილოდ დაივალა და სასწაული უნდა მოხდეს, ჩვენმა მეზობლებმა ერთმანეთს უგანონ. **ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება თავს იკავებს აღნიშნულ ფორმატში მონაწილეობაზე, რუსეთის ფედერაციაა. არადა, სწორედ რუსეთის ფედერაცია უნდა იყოს მიზეზი და სტიმული იმისა, რომ ქართული მხარე ამ ფორმატში მონაწილეობას დათანხმდეს. პირველ რიგში, ეს არის შანსი, რუსეთს პირისპირ ესაუბროს და რეგიონის სხვა ქვეყნებთან ერთად მიაღწიოს კეთილმეზობლობას და მეორეც — ხუთი ქვეყანა საქართველოს გარეშე რომ შეთანხმდეს ურთიერთთანამშრომლობაზე, მაშინ რა მოხდება? რომ შეთანხმდნენ საერთო ბაზარზე, საერთო ფასებზე, შეღავათებზე ტრანზიტსა და მათ ქვეყნებში ნაწარმოებ პროდუქციაზე, მაგ დროს რა ხდება? საქართველო ისევ რჩება დასავლეთის იმედად და ეს მაშინ, როცა როგორც ენერგო, ისე ყველა სახის საკვები პროდუქტის ლამის ასი პროცენტი საქართველოში სწორედ რუსეთიდან, თურქეთიდან, ირანიდან და აზერბაიჯანიდან შემოდის.** რაღაც ნაწილი მოდის სომხეთიდანაც, მაგრამ მისი წილი ისე მცირეა, სათვალავში ჩაგდება არ ღირს.





ისიც ფაქტია, რომ ირანს, თურქეთსა და რუსეთს დასავლეთისადმი ნეგატიური განწყობა აერთიანებთ. თურქეთი კი ცდილობს, დიპლომატიური ურთიერთობა შეინარჩუნოს, არც მწვადი დაწვას და არც შამფური, მაგრამ გასულ კვირას ერდოღანმა გაბზარულის გატეხვა გადაწყვიტა. თურქეთის ლიდერმა საგარეო საქმეთა მინისტრს 10 სახელმწიფოს ელჩის პერსონა ნონ გრატად გამოცხადება დაავალა. მიზეზად ამ ელჩების განცხადება სახელდება, რომლითაც მათ 4 წლის წინათ დაკავებული ბიზნესმენის, **ოსმან კავალას,** გათავისუფლება მოითხოვეს. ერდოღანი განსაკუთრებით გაალიზიანა იმ ფაქტმა, რომ აღნიშნული სახელმწიფოების ელჩებმა საგარეო საქმეთა სამინისტროს გარკვეული მითითებები მისცეს.

„ისინი იძახიან: „კავალა, კავალა". სოროსის თურქული ფილიალი, რომელსაც თქვენ „კავალას" ეძახით. მისთვის 10 ელჩი მოდის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ეს რა უხეშობაა? როგორ ფიქრობთ, ეს რა ადგილია? ეს არის თურქეთი, ეს არ არის ტომობრივი სახელმწიფო. ეს თურქეთია, დიდებული თურქეთი. არ შეიძლება აქ ადგე, საგარეო საქმეთა სამინისტროში მიხვიდე და მითითებები გასცე. ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს ვუთხარი, რა გაეკეთებინათ: ეს 10 ელჩი დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს პერსონა ნონ გრატად, იმ დღეს, როდესაც ვერაფერს ვერ გაიგებენ, ამ ადგილის დატოვება მოუწევთ", — კი არ განაცხადა, იყვირა **ერდოღანმა.**

საქმე გერმანიის, აშშ-ის, დანიის, ფინეთის, საფრანგეთის, ნიდერლანდების, შვედეთის, კანადის, ნორვეგიისა და ახალი ზელანდიის ელჩების ერთობლივ განცხადებას ეხება, რომელშიც ოსმან კავალას საქმის საეჭვო გარემოებებზეა საუბარი და აღნიშნულია, რომ ხსენებული საქმე ჩრდილს აყენებს თურქეთის სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხს.

**ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ ერდოღანმა ღია ომი გამოუცხადა დასავლეთს? რა თქმა უნდა, ნიშნავს და ამით პირდაპირ მიანიშნა, რომ ქვეყნის საშინაო საქმეში ჩარევას არავის აპატიებს. აბა, ახლა წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქვეყნიდან აშშ-ის (დანარჩენებზე რომ არაფერი ვთქვათ) ელჩის გაძევება რომ მოითხოვოს ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის გამო?** ის, რომ ამერიკის ელჩი კი არა, ვისაც არ ეზარება, ყველა ჩვენს საქმეში ერევა, ცხადია, მაგრამ პროტესტს არავინ გამოთქვამს. ასეთ პირობებში იმის თქმა, რომ ერდოღანი დასავლეთის თხოვნას თუ მოთხოვნას გაითვალისწინებს და საქართველოს ბუზსაც ვერ აუფრენს, პოლიტიკური გულუბრყვილობა და სიბეცეა. ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც თურქეთს, შესაძლოა, ლაგამი ამოსდოს, რუსეთია. სწორედ ის რუსეთი, რომლის გამოც „3+3" ფორმატში მონაწილეობისგან საქართველო თავს იკავებს.

სამწუხაროდ, დღეს საგარეო პოლიტიკისთვის არ გვცალია, რადგან თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური კარზე მომდგარი და ნაწილი სკამების შესანარჩუნებლად იბრძვის, ნაწილი — ამ სკამების მოსაპოვებლად. ამ დროს კი რეგიონში სიტუაცია ყოველდღიურად იცვლება და, ძალთა გადანაწილებას თუ გადავხედავთ, **დღეს საქართველო ამიერკავკასიაშიც კი, როგორც ფინანსურად, ისე საერთაშორისო არენაზე, ბოლო ადგილზე დგას. ეკონომიკის მხრივ, გვისწრებს რეგიონის ყველა ქვეყანა და უკეთესის პერსპექტივა ამ მიმართულებით არც უახლოეს მომავალში არ ჩანს. ჩვენ გვაქვს რეგიონის ყველა ქვეყნის ვალი და თან უზარმაზარი ვალი; ჩვენ გვიყურებენ, როგორც ადვილად დასაჩაგრს და ერდოღანიც კი, რომელიც საკუთარ სახელმწიფო ინტერესებს კბილებით იცავს, სხვა ქვეყანას ვერ გაუბედავდა და ტერიტორიებს ღიად არ შეედავებოდა.** შეგახსენებთ პრეტენზიას ბათუმსა და მესხეთზე, თვით ერდოღანის მიერ წაკითხულ ლექსს, რომელშიც პირდაპირ ამბობს, რომ მესხეთი მალე დაუბრუნდება ისტორიულ სამშობლო თურქეთს. ქართულ მხარეს მაშინ ეს არ გაუპროტესტებია — მეზობელი არ გააღიზიანა (უფრო სწორად, საამისო შნო არა აქვთ), „ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებიც" მაინცდამაინც მაშინ დაყრუვდნენ და დაბრმავდნენ და მათაც ხმა არ ამოუღიათ.

**ჩვენთან ერთად თუ უჩვენოდ რეგიონის ქვეყნები თანამშრომლობას აუცილებლად დაიწყებენ და ლოგიკურად მივლენ დასკვნამდე, რომ საქართველო მათ განვითარებასა და წინსვლას ხელს უშლის. სწორედ მერე შეიძლება ითქვას უკვე ხმამაღლა და ოფიციალურად, რომ ვიღაცას მესხეთზე მართლა აქვს პრეტენზია, აქეთ გარეჯია ისევ სადავო, იქით — სამცხე-ჯავახეთი და ვინძლო, თავში ხელის ცემა გვიანი იყოს. საქართველომ კარგად უნდა აწონ-დაწონოს, რას მიიღებს ამ ფორმატისგან და თავიდანვე რაღაც გარანტიები მოითხოვოს. სხვაგვარად, ზუსტად იმ ადგილზე დავრჩებით რეგიონში, რომელზეც ახლა ვართ — უკანასკნელზე!**

**ბესო ბარბაქაძე**

ყველამ დაინახა, რომ ევროპარლამენტარების კრიტიკით, მათი მოთხოვნების იგნორირებით, აპოკალიფსი არ დაწყებულა და ისევ ცოცხლები ვართ. მათი რჩევებისა და ყოველდღიური „ზრუნვის“ გარეშეც ვახერხებთ რაღაცებს და ეს იგრძნო ყველამ, ამიტომ მოსალოდნელია, რომ მომავალში საშინაო საქმეებში ნებისმიერი ჩარევა მკაცრად აილაგმება. არ ვამბობთ იმას, რომ ევროპას არასდროს არ მოვუსმინოთ, მაგრამ მოსმენა არ ნიშნავს უსიტყვო მორჩილებას. არც ერთი ქვეყნის ელჩს არ აქვს უფლება, ჩაერიოს ჩვენს საშინაო საქმეებში და მიგვითითოს, ვინ უნდა იჯდეს ციხეში და ვინ — მის გარეთ...

კურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დროა, ხელისუფლება მიხვდეს, რომ ჯობია, «ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს...»

## გვიან, მაგრამ, საბედნიეროდ, მაინც გაიღვიძეს საქართველოს ლიდერებმა

**არაერთხელ დაგვიწერია, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნები ღიად თუ ფარულად მუდმივად ცდილობენ ე.წ. განვითარებადი სახელმწიფოების განვითარების შეფერხებას, რადგან ისინი ყოველთვის მათზე იყვნენ დამოკიდებულნი თუ ჩამოკიდებულნი. სწორედ ამის ბრალია, თუნდაც პოლონეთი ჯერჯერობით რომ ვერ მიუახლოვდა იმას, რასაც ევროპის განვითარებული სახელმწიფო ჰქვია და, სამწუხაროდ, ჩვენ ნახევარი საუკუნე მაინც დაგვჭირდება, რათა პოლონეთის დღევანდელ მდგომარეობამდე მივიდეთ. ეს სახელმწიფოები ნელ-ნელა ხვდებიან, რომ მათი დამუხრუჭების მიზეზი ევროპაში უნდა ეძებონ და რიგრიგობით აპროტესტებენ იმას, რასაც ევროპის ზესახელმწიფოები თავს ახვევენ. ასე იყო ზაფხულში უნგრეთში, რომელმაც ლგბტ თემის წინააღმდეგ ძალუმად გაილაშქრა და, ევროპის წამყვანი ქვეყნების წინააღმდეგობის მიუხედავად, დააკანონა ის, რომ ოჯახი მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კავშირის შედეგად იქმნება. მანამდე ანალოგიური რამ რუმინეთმა გააპროტესტა, უფრო ადრე ბულგარეთის პრემიერმა არ მოიწონა „მეგობრების“ მითითებები, ახლა კი...**

„ზოგიერთი ევროპული ინსტიტუტი უფლებას იღებს, ისეთ საკითხებზე მიიღოს გადაწყვეტილება, რომლებიც მის კომპეტენციაში არ შედის. ჩვენ არ ვიმოქმედებთ შანტაჟის ქვეშ, ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის, ჩვენ არ ვეთანხმებით ევროკავშირის ინსტიტუტების უფლებამოსილების მუდმივ გაფართოებას, თუმცა, რა თქმა უნდა, ვისაუბრებთ იმაზე, როგორ უნდა მოგვარდეს არსებული დავები დიალოგის გზით. ევროკავშირის კომპეტენციას მკაფიო საზღვრები აქვს. ჩვენ არ უნდა ვიყოთ ჩუმად, როდესაც ეს საზღვრები ირღვევა. ჩვენ ვამბობთ: კი ევროპულ უნივერსალიზმს, მაგრამ არა ევროპულ ცენტრალიზმს“, — განაცხადა პოლონეთის პრემიერმა **მატეუშ მორავეცკიმ.**

ყველაფერი დაიწყო 7 ოქტომბერს, როცა პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ქვეყნის კონსტიტუციის ევროკავშირის კანონმდებლობის მიმართ უპირატესობა დაადასტურა. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის განჩინებაში ასევე განაცხადა, რომ ის უფლებამოსილია არა მხოლოდ ევროკავშირის კანონის კონსტიტუციურობა, არამედ ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობაც შეამოწმოს. სამაგიეროდ, ევროკომისიის პრეზიდენტმა **ურსულა ფონ დერ ლაიენმა** განაცხადა, რომ ევროკომისია ყველაფერს გააკეთებს ევროკავშირის კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად. ხომ ხვდებით, ეს ყველაფერი როგორ ჰგავს ქართულ რეალობას? ევროკავშირმა გადაწყვიტა, საქართველოს გარდა კანონები სხვა ქვეყნებსაც დაუწეროს და შესწორებები შეიტანოს, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ბევრი ქვეყნისთვის. **გვიან, მაგრამ, საბედნიეროდ, მაინც გაიღვიძეს საქართველოს ლიდერებმა და...**

ევროპარლამენტის რამდენიმე წევრმა საჯაროდ განაცხადა, რომ, სანამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ განიხილავს მიხეილ სააკაშვილის საქმეს, ექსპრეზიდენტი ციხიდან უნდა გათავისუფლდეს. ამით ევროპარლამენტარებმა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს ქართული სასამართლო სისტემა და საქართველოს ხელისუფლებას, პრაქტიკულად, უნდობლობა გამოუცხადეს. ეს იმის ფონზე, როცა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ სააკაშვილის სასჯელი შესაბამისი არ არის და 6 წელი ცოტაა იმისთვის, რაც მან ჩაიდინა. **ევროპარლამენტარების განცხადებას საქართველოს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გამოეხმაურა.**

„არც **ფოტიგა,** არც **კუბილიუსი** (ევროპარლამენტარები — ბ.ბ.) და არც არავინ ჩემთვის და ჩვენი ქვეყნისთვის არაფერს არ წარმოადგენენ. ევროპარლამენტში არის 700 დეპუტატი, ჩვენ ვერც ფოტიგას ჭკუით ვივლით და ვერც კუბილიუსის. ყველამ მიხედოს თავის ქვეყანას. ამ ქვეყანაში კანონის აღსრულებასა და მართლმსაჯულების აღსრულებას წინ ვერავინ აღუდგება. ეს გაითვალისწინოს ყველამ. მინდა, ასევე შევახსენო თქვენს მიერ ჩამოთვლილ რამდენიმე ევროპარლამენტარს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ყველამ კარგად ვიცით, რომ პირადი ნაცნობობა აქვთ სააკაშვილთან, მათ შორის მთავარი, ვინც აქტიურობს, ბატონი **გლუქსმანი** იყო, **ეკა ზღულაძის** მეუღლე — **ვანო მერაბიშვილის** მოადგილის მეუღლე. სააკაშვილის მრჩეველი იყო და ჩართული გახლდათ ამ დიქტატორული რეჟიმის მშენებლობაში. დღეს ეს ადამიანი ჩვენ ჭკუას გვასწავლის. ვინ არის, საერთოდ, ფოტიგა, რატომ ბედავენ ამდენს?!“ — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ბატონო ირაკლი, ჯერ იმას გეტყვით, რატომ ბედავენ ამდენს: იმიტომ, რომ სულ ბოლო დრომდე თქვენ (საქართველოს ხელისუფლება) აძლევდით ამის უფლებას, თქვენ აუნთეთ მწვანე შუქი არა მხოლოდ ევროპარლამენტარებს, არამედ ყველა ევროპული ქვეყნის ელჩს და ყველა ჯურის გადამთიელს და ავანტიურისტს, ისინიც ჭკუას გვარიგებდნენ, ქართულ სამართალსა და, რაც მთავარია, საქართველოს კონსტიტუციას საკუთარ ნებაზე ჭრიდნენ, ტანზე ირგებდნენ (ჰო, თავიანთ ტანზე) და ხელების გადაგრეხვით გაიძულებდნენ, ეს ყველაფერი მიგეღოთ. სანაცვლოდ კი ქვეყანას იმით ატერორებდნენ, რომ სესხს აღარ მოგცემდნენ. როცა სესხი არ აიღეთ და მიხვდით, რომ ამით ქვეყანა არ დაიქცა, მხრებშიც გაიშალეთ და საკუთარ უფლებებზე დაიწყეთ ფიქრი. **სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ახლა თქვენ, ქვეყნის პრემიერმა, გააპროტესტეთ ის, რასაც ჩვენი გაზეთის, პრაქტიკულად, ყველა ნომერში ვაპროტესტებდით. თქვენამდე სწორედ ჩვენ წლებია, ვწერდით „რატომ ბედავენ ამდენს“ და პასუხი არ გვქონდა.**



**ბატონო ირაკლი, ჯერ იმას გეტყვით, რატომ ბედავენ ამდენს — იმიტომ, რომ ამის უფლება თქვენ მიეცით. თქვენ აუნთეთ მწვანე შუქი არა მხოლოდ ევროპარლამენტარებს, არამედ ყველა ევროპული ქვეყნის ელჩს და ისინიც ჭკუას გვარიგებდნენ, ქართულ სამართალსა და, რაც მთავარია, საქართველოს კონსტიტუციას საკუთარ ნებაზე ჭრიდნენ, ტანზე ირგებდნენ და ხელების გადაგრეხვით გაიძულებდნენ, ეს ყველაფერი მიგეღოთ. სანაცვლოდ კი ქვეყანას იმით ატერორებდნენ, რომ სესხს აღარ მოგცემდნენ. როცა სესხი არ აიღეთ და მიხვდით, რომ ამით ქვეყანა არ დაიქცა, მხრებშიც გაიშალეთ და საკუთარ უფლებებზე დაიწყეთ ფიქრი. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ახლა თქვენ, ქვეყნის პრემიერმა, გააპროტესტეთ ის, რასაც ჩვენი გაზეთის, პრაქტიკულად, ყველა ნომერში ვაპროტესტებდით. წლებია, სწორედ ჩვენ ვწერთ, «რატომ ბედავენ ამდენს» და პასუხი არ გვქონდა**

„ერთი და იგივე სახეები, ერთი და იგივე ლობისტები მუდმივად, 2012 წლიდან მოყოლებული, საუბრობენ იმაზე, რომ არ შეიძლება ვიღაცის დაჭერა, ვიღაცის ციხეში გაშვება. ასეთი განცხადებები ხელს უწყობს პოლარიზაციას ამ ქვეყანაში, ეს ძალიან ცუდია, გარდა ამისა, საერთო ეფექტიც ძალიან ცუდი აქვს — ეს აჩენს დაუსჯელობის განცდას და ა.შ. აქედან გამომდინარე, ყველას მოვუწოდებთ, პატივი სცენ ამ ქვეყანაში კანონისა და სამართლის უზენაესობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იქნებიან გარკვეული წვლილის შემტანი პოლარიზაციაში, რომელიც ქვეყნისთვის დამაზიანებელია. ნუ დააზიანებენ ჩვენს ქვეყანას“, — ეს განცხადება კი **ირაკლი კობახიძეს** ეკუთვნის.

ალალად გეტყვით, არ მეგონა, თუ ოდესმე კობახიძეს შევაქებდი, რადგან ისე შესციცინებდა ხოლმე ევროპელ ელჩებს თვალებში, გვეგონა, ვერასდროს გაბედავდა მათ წინააღმდეგ წასვლას, მაგრამ ახლა ისიც მიხვდა, რომ ასე, შესაძლოა, ქვეყანა უფსკრულში გადაიჩეხოს და ამას, ევროპა კი არა, ქართველი ხალხი არ აპატიებს. რაც მთავარია, **ყველამ დაინახა, რომ ევროპარლამენტარების კრიტიკით, მათი მოთხოვნების იგნორირებით აპოკალიფსი არ დაწყებულა და ისევ ცოცხლები ვართ. მათი რჩევებისა და ყოველდღიური „ზრუნვის“ გარეშეც ვახერხებთ რაღაცებს და ეს იგრძნო ყველამ. ამიტომ მოსალოდნელია, რომ მომავალში საშინაო საქმეებში ნებისმიერი ჩარევა მკაცრად აილაგმება. არ ვამბობთ იმას, რომ ევროპას არასდროს არ მოვუსმინოთ, მაგრამ მოსმენა არ ნიშნავს უსიტყვო მორჩილებას. არც ერთი ქვეყნის ელჩს არ აქვს უფლება, ჩაერიოს ჩვენს საშინაო საქმეებში და მიგვითითოს, ვინ უნდა იჯდეს ციხეში და ვინ — მის გარეთ...**

**„სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილს ჰყავს მეგობრები ვაშინგტონსა და ბრიუსელში, რომლებიც ამაყად ამბობენ, რომ ის პოლიტიკური პატიმარია. როდესაც ის პრეზიდენტი იყო, მან ასეთ ადამიანებს დახმარება გაუწია. დააფინანსა მათი კვლევითი ცენტრები და გააკეთა ყველაფერი, რათა მათთვის ესიამოვნებინა. მე არ მაქვს სააკაშვილის მიმართ სიმპათია. ის არ იყო კარგი პატრიოტი. ის დამნაშავედ არის ცნობილი საქართველოს სასამართლოს მიერ. მან იცოდა, რომ, როცა საქართველოში დაბრუნდებოდა, დაიჭერდნენ, თუმცა ამის არ სჯეროდა. ის დააპატიმრეს და წაუყენეს ახალი ბრალიც. მან ყველა არჩევანი თავად გააკეთა და ის აქ მსხვერპლი არ არის. ქართველებმა ახლა უნდა გააკეთონ საკუთარი არჩევანი და გააგრძელონ სვლა წინ. ბატონი სააკაშვილი წარსულია და ის ციხიდან ექვს წელიწადში გამოვა. იმედი მაქვს, ის ამის შემდეგ მშვიდად წავა პოლიტიკიდან ან, თუ სურვილი ექნება, იყოს პოლიტიკოსი, დარჩება პოლიტიკაში“**, — განაცხადა „რადიო თავისუფლების“ ყოფილმა ხელმძღვანელმა და ამერიკული საგარეო პოლიტიკის საბჭოს მკვლევარმა **ენდერს ვიმბუშმა** „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში.

ამაზე მაინც ვერ იტყვის დასავლეთი, მოსყიდულიაო, კაცი „რადიო თავისუფლების“ შეფი იყო და „ამერიკის ხმასთან“ საუბრობდა. ანუ, ვისაც რეალობის დანახვა სურს — ხედავს; ხოლო, ვისაც ფინანსური ვალდებულებები აქვს წინა ხელისუფლების წინაშე — ისინი ცდილობენ, აღებული ფული გაამართლონ. იმის იმედიც აქვთ, რომ მომავალში, თუ საწადელს მიაღწევენ, „ნაციონალური მოძრაობა“ მათ მორიგ ტრანშს არ დაამადლის. ისე, საინტერესო იქნება, ოფიციალურად გამოქვეყნდეს ინფორმაცია იმ თანხების შესახებ, რომლებიც ე.წ. ლობისტებს გადაუხადა წინა თუ მოქმედმა ხელისუფლებამ. რა მოუტანა ამ თანხებმა ქვეყანას, ეგეც ავწონოთ და შევაფასოთ. ეჭვი გვაქვს, წყალში გადაყრილ მილიონებთან გვექნება საქმე, თუმცა **ახლა მთავარი ის არის, რომ ხელისუფლებამ აღებული კურსი არ შეცვალოს და საბოლოოდ მიხვდეს, რომ ის დრო სჯობია, როცა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნის...“**

**ბესო ბარბაქაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რა იყო გამსახურდიას მიმართ ესეოდენ დიდი ნდობის ფაქტორი? — მეჩვენება, რომ „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც ხალხმა სახარებად მიიღო და ზვიადი იმ უფლისწულად წარმოიდგინა, რომელსაც ახალი სვეტიცხოველი უნდა აეგო.**

# სტალინის შემდგომი საქართველო

## საქართველოში აღარ უნდა ისმოდეს ბრბოს ყიჟინა და სააკაშვილის გამყინავი ხმა — «ყველა ციხეში, ყველა ციხეში!»

**ჩრდილოეთ კავკასიაში ჩემი მუშაობის პერიოდში მოხდა ასეთი შემთხვევა: მლეთის თავზე, ალპური ზონის ქარაფებში მწყემსი ფარას აძოვებდა. ყველაზე მიუვალ კლდის ქიმზე ფარის მეთაურ ვაცს ფეხი დაუსხლტა და, სანამ უფსრკულში გადაიჩეხებოდა, ჰაერში შეიკუნტრუშა და ხევში შთაინთქა. ფარაში მყოფმა 300 სულმა ცხვარმაც იგივე გაიმეორა და იმავე კლდის ქიმიდან უფსკრულში გადაიჩეხა. რატომ განადგურდა ფარა, როდესაც მას მწყემსიც ჰყავდა და ფარის მეთაურიც? ცხოველები ინსტინქტით გაჰყვნენ მეთაურის გზას, ხოლო მწყემსი მოწყვეტილი აღმოჩნდა ფარის მეთაურისგან, რასაც მოჰყვა უსკრულში ცხვრის მასობრივი გადაჩეხვა. ფარასთან ურთიერთობა მაშინ არის შედეგიანი, როდესაც მწყემსი ცხვრის ფარასთან მუდმივადაა მიბმული...**

პოლიტბიუროზე სტალინს ერთ-ერთი საკითხის გადაწყვეტისას მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დასჭირდა და მყისვე დაურეკა **ალექსანდრე ფადეევს,** იმხანად მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს:

— სად არის ამხანაგი ფადეევი? — იკითხა სტალინმა.

— არ მოსულა სამსახურში. ორ დღეს არ იქნება, — უპასუხა მდივანმა ქალმა.

სტალინმა ფადეევის პირველ მოადგილეს დაურეკა; იქაც მდივანმა ქალმა უპასუხა:

— არ გახლავთ.

სტალინი საქმეს ბოლომდე მიჰყვა. ფადეევის ყველა მოადგილის მდივანს ერთი პასუხი ჰქონდა:

— არ გახლავთ.

სტალინი პოლიტბიუროს წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს მიუბრუნდა და უთხრა:

— იცით, რამ დაღუპა რომის იმპერია? — ცოტა ხნის შემდეგ პასუხი თვითონვე გასცა: რომის ყველა ხელისუფალი ორგიებით იყო გართული, იმპერიას კი მათი პირადი მდივნები განაგებდნენ“, — თქვა და სხდომა განაგრძო. დღეს არათუ მინისტრთანაა შეუძლებელი საჭირბოტორო საკითხის მოგვარება, არამედ გამგებელთანაც, რადგან იქვე, კარში მდგარი დაცვა ცივად გეტყვის, რომ უფროსი არ არის. კითხვის გამეორების შემთხვევაში, აღარ გიპასუხებს, რადგან პასუხი უკვე გაგცათ.

**1955 წელს გამართული კომპარტიის მე-20 ყრილობა, რომლის მიმდინარეობისას დარბაზში 1700 დელეგატი იჯდა, არ უნდა შევადაროთ ცხვრის ფარას, რომელსაც არც მწყემსი ჰყავს და არც მეთაური?! ნუთუ ყრილობის დარბაზში არ იჯდა ერთი მეთაური, ერთი გენერალი ან მარშალი, რომ ნიკიტა ხრუშჩოვისთვის ეთქვა: სტალინმა კარგად იცოდა ოპერატიულ რუკებზე მუშაობა და ოპერაციების დაგეგმვისას გლოსბუსს საერთოდ არ იყენებდაო. არა! სიტყვა არავის დაუძრავს.**

ამერიკელი ისტორიკოსი და მწერალი **გროვერ ფერი** საბჭოთა კავშირის არქივებში 10 წლის განმავლობაში იკვლევდა ხრუშჩოვის მიერ სტალინისთვის წაყენებული 61 ბრალდებიდან თუნდაც ერთის ნამდვილობის დამადასტურებელ დოკუმენტებს და 1990-იან წლებში გამოსცა წიგნი „ანტისტალინური სისაძაგლეები“, რომელშიც წერს: „ხრუშჩოვის მიერ პარტიის მე-20 ყრილობაზე წაყენებული 61 ბრალდებიდან, ათი წლის კვლევის შედეგად, დავადგინე, რომ არც ერთი მათგანი სიმართლეს არ შეეფერება. ვიმეორებ — არც ერთი!“

ანტიკურ სპარტაში (ჩვ. წ. აღ-მდე XI საუკუნიდან ჩვ. წ. აღ-მდე 146 წ.) მეფესაც კი სიკვდილით სჯიდნენ, თუ ის ასეთ სასჯელს დაიმსახურებდა. ერთ-ერთ მეფეს, **აგის IV**-ს, სიკვდილი მიუსაჯეს, რადგან მან ოლიგარქების ნაწილს მიწის ჩამორთმევა დაუპირა, ჩამორთმეული მიწის გადაცემა კი სურდა მათთვის, ვინც უფულობის გამო აღარ იყო არისტოკრატთა სიაში. სასამართლომ მეფეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, მაგრამ მან თავს გაქცევით უშველა.

**ანტიკური ხანის სპარტაში ერთი გადაცდომისთვის მეფეს სიკვდილით თუ სჯიდნენ, დღეს კანონის უზენაესობაზე, სამართლიანობასა და მის აღდგენაზე განუწყვეტლივ რომ ვსაუბრობთ, რატომ არ შეიძლება, კანონის შესაბამისად დაისაჯოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც რამდენიმე მძიმე დანაშაულში ედება ბრალი?** სპარტას თავი რომ დავანებოთ, კოლექტიური გადაწყვეტილების ნიმუშად სვანეთში **ფუთა დადეშქელიანის** მკვლელობაც გამოდგება. უშგულში, ლამარიას ეკლესიაში ასულ ფუთა დადეშქელიანს, რომელიც სვანი ხალხის ჯალათად იყო ცნობილი, კოშკის ხელოვნურად გამოჭრილ ხვრელში კაჟიანი თოფი დაუმონტაჟეს, შემდეგ სასხლეტს თოკი გამოაბეს, რომელიც სოფლის მოსახლეობამ ერთობლივად გამოსწია და ჯალათი სიცოცხლეს გამოასალმა... ეს იყო ხალხის სამართლიანი გულისწყრომის კოლექტიური გამოძახილი. იქ არავინ იყო მოსყიდვითა და ანგარებით მისული. იქ ყველა საკუთარ თავთან იყო მართალი.

1956 წლის 9 მარტიდან ქვეყნის ცხოვრებაში აქტიურად ვარ ჩართული. 1937-38 და 1941-45-წლებგამოვლილ ადამიანებს ვერ წარმოედგინათ საბჭოთა წყობის წინააღმდეგ ოდნავი გაბრძოლებაც კი. იმხანად, 1956 წლის 9 მარტს, ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი იყო გამოსული თბილისის ქუჩებში. პარალიზებული იყო ყველა საწარმო, უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო დაწესებულება. სტუდენტებმა კოლმეურნეობის მოედანზე ორვაგონიანი ტრამვაი გადაავაბრუნეთ. საზოგადოებრივი ძალა ისეთი ძლიერი იყო, რომ ძალოვანები ძლივს იცავდნენ თავიანთ უწყებებს და, აბა, ხალხისთვის ვის ეცალა?! ვხედავდით, კავშირგაბმულობის შენობის პირველი სართული როგორ იყო გავსებული სხვადასხვა საბრძოლო იარაღით. სწორედ სტალინის სახელისა და საქართველოს პრესტიჟის დასაცავად გამოსულ ქართველ ახალგაზრდობას შემოუერთდა ზოგიერთი მოდისიდენტო პირი, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო, რადგან მათი ოჯახები კომუნისტურ წყობაში იყვნენ გაზულუქებულნი. დიდი **კონსტანტინე გამსახურდიას** შვილმა ზვიადმა, რომელსაც მამა საქართველოს პრეზიდენტად ზრდიდა, დაიამხანაგა შვიდგზის ლენინის ორდენის კავალრის, მახარაძის რაიონის რაიკომის პირველი მდივნის, **ვასილ სიხარულიძის,** შვილი — **ვოვა სიხარულიძე,** რომელსაც პირადად ვეხმარებოდი — სტუდქალაქის ტერიტორიაზე ვავრცელებდით პროკლამაციებს, რომლებსაც ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ, კარს ჩაგვდგომია მტერიო“, დიაგონალზე კი ეწერა: „ბრძოლის ხმა სააკაძისა“. მოგვიანებით პროფესორი **ნოდარ ნათაძე** თავის წიგნში „1956 წლის 9 მარტი“ დაწერს, რომ **9 მარტი იყო ქართული ეროვნული მოძრაობის დასაწყისი, რომელმაც ბიძგი მისცა მთელი კავშირის მასშტაბით ეროვნული მოძრაობის დასაწყისს. მე მაშინაც ვუპასუხე, მერეც და ახლაც ვუპასუხებ მას, რომ 1956 წლის 9 მარტს არანაირი კავშირი არ აქვს ეროვნულ მოძრაობასთან.** 1956 წლის მარტის დღეებში გაისმოდა მხოლოდ შემდეგი სიტყვები: „გაუმარჯოს ლენინს, სტალინს!“ და ეს იყო სტალინური მოძრაობის ცეცხლი, რომელიც 1956 წლის 4 მარტს აინთო მშრალ ხიდთან, სტალინის მონუმენტის წინ და არ ჩამქრალა. 1961 წელს კი საქართველოში ხრუშჩოვის მოსალოდნელი ჩამოსვლის გამო მის წინააღმდეგ დიდი ტერორისტული აქტი მზადდებოდა, რომელიც საკავშირო „კა-გე-ბე“-მ გაანეიტრალა. სწორედ სტალინურმა მოძრაობამ შეუწყო ხელი ეროვნული მოძრაობის (მე შეგნებულად არ ვამბობ განმათავისუფლებელს, რადგან არაფრისგან განთავისუფლებულნი ჩვენ არ ვართ) აზვირთებას... **დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან პირველივე არჩევნებზე უშუალოდ ზვიად გამსახურდიას ძალისხმევით, პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“ საარჩევნო სიიდან ამოიღეს, ხოლო პარლამენტში შესული კომუნისტური პარტიის 76 დეპუტატი კანონგარეშედ გამოაცხადეს და საკანონმდებლო ორგანოდან დაითხოვეს.** „რაც ვერ უქნია მამაშენს, ვერც შენ ვერ გახევ მარმაშებს“, — წერს **შალვა დადიანი** თავის პიესაში „არსენა“. ზვიად გამსახურდია ქართველ ხალხს გამუდმებით უკიჟინებდა ქართული გავლენების გაძლიერებას აფხაზეთში, მაგრამ გამოუცდელობის გამო აფხაზურ საქმეს აკეთებდა. სვანი ახალგაზრდების ბრიგადები, კერძოდ, ორგანიზაცია „ლემის“ წევრები, რეგულარულად დადიოდნენ აფხაზურ სოფლებში და თითქოს გასაღიზიანებლად ჩასჩიჩინებდნენ აფხაზებს: ესა თუ ის სახელწოდება თქვენი სოფლისა სვანური წარმოშობისაა, ეს სოფლები სვანთა ნასახლარიაო და ა.შ. მთავ- ▶



**ჩირქი და ბალღამი, რომელიც დღეს საქართველოს სდის, შევარდნაძის მიერ საქართველოში შემოთრეული იმ ლეშის ლპობის შედეგია, რომელიც მან XXI საუკუნეში საქართველოს აჩუქა, როგორც ავხორცობის, ბოროტებისა და საქართველოს მუდმივი მტრის სიმბოლო. შევარდნაძემ საქართველოში შექმნა ანტიეროვნული, ანტიტრადიციული, ანტიადამიანური, ანტიქრისტიანული სექტები, რომელთა განდევნა ჩვენი ქვეყნიდან მხოლოდ ქართველთა ძალისხმევით შეუძლებელია. გლობალური ძალისხმევის გარეშე, მსოფლიო რევოლუციის ხანძრის გარეშე, შეუძლებელია, ჩაკვდეს და დაინაცროს ის, რაც მასონთა ლოჟების დახმარებით შევარდნაძემ დანერგა საქართველოში, რომელიც ახლა უფრო ხელშესახებია, ვიდრე ადრე იყო**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შევარდნაძე მოსკოვში გავუშვით, როგორც პატიოსნების შარავანდედით შემკული გაბედული რაინდი, იქიდან კი დაგვიბრუნდა თავკერძა, მეუღლესა და ოჯახს დამორჩილებული, დამლაშეპარული, პატიოსნებაშებღალული, ხელისუფლების შესანარჩუნებლად ბევრ რამეზე ხელისმომწერი კაცი. მისი გარემოცვა, ჩემი ჩათვლით, წალმის ერთი დიდი კონაა, რომელიც ცეცხლზე უნდა დაიწვას. ჩვენმა თაობამ შევარდნაძის ძალისხმევით დაღუპა მსოფლიოს მომავალი.


ზვიად გამსახურდია

◀რობის მაღალ წრეებში კი განიხილებოდა საკითხი, რომ თანამედროვე აფხაზები არა ძველი აფხაზების შთამომავალნი, არამედ აფსუები არიან. სწორედ კონფლიქტის შედეგების შეუფასებლობა და საკანონმდებლო ლაფსუსები იყო მიზეზი აფხაზებთან კიდევ უფრო გაუცხოებისა და შედეგად საქართველოს ძირძველი ტერიტორიული ერთეული მოწყდა. ეს შეიქნა მიზეზი იმისა, რომ ანალოგიური რამ განმეორებულიყო სამაჩაბლოში... მიუხედავად მოსახლეობის მხრიდან ზვიად გამსახურდიას მიმართ დიდი ნდობისა და თვითონ ზვიად გამსახურდიას მაღალი რეპუტაციის, ცოდნისა და განსწავლულობისა, ქვეყნის დაშლა-გაპარტახება სწორედ საქართველოს პირველი პრეზიდენტის მოღვაწეობისას დაიწყო. **რა იყო გამსახურდიას მიმართ ესოდენ დიდი ნდობის ფაქტორი? — მეჩვენება, რომ „დიდოსტატის მარჯვენა," რომელიც ხალხმა სახარებად მიიღო და ზვიადი იმ უფლისწულად წარმოიდგინა, რომელსაც ახალი სვეტიცხოველი უნდა აეგო.** და რა იყო ზვიადის მარცხის მიზეზი? სოფლის შენებას რა უნდა?! ამ საქმეს მხოლოდ **დომუხოვსკი, მურმან ომანიძე** და **გოგი ხოშტარია** რომ არ ეყოფოდა, პრეზიდენტს უნდა სცოდნოდა, ხოლო ინტელიგენციის წითლად შეღებვა და ყოველ წუთს იმის ძაგება, რაც მანამდე თითქმის საუკუნის განმავლობაში წარმატებული იყო ქვეყანაში, დამაჯერებლობას უკარგავდა როგორც ხელისუფლებას, ასევე თვითონ ზვიად გამსახურდიას. **რესპუბლიკიდან წასვლის შემდეგ ნაჩქარევად და მოუმზადებლად უკან დაბრუნება, არა მხოლოდ ზვიად გამსახურდიას, არამედ სრულიად საქართველოს ტრაგედიად იქცა.** დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზაზე გასვლისკენ უბიძგა მამის შემოქმედებამ. სახელმწიფოს კი იგი აშენებდა და მართავდა მეოცნებე რომანტიკოსის იდეებით...

**ზვიად გამსახურდია**

წარმოსადეგი, მორალურად სპეტაკი, მაღალი ინტელექტით, ნაციონალისტი, გარდასახვის ოსტატი, თავმოყვარე, დისტანციური, ზედმეტად თვითდაჯერებული, ფრთხილი, აუღელვებელი, თანამებძოლეებისადმი ნაკლებად კონტაქტური, ამაყი, ინდივიდუალისტი, მონარქისტული იდეების მქონე, ცვალებადი ხასიათის, ენის ადვილად ამყოლი. არ ჰქონდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ქვეყნის პირველი პირი თავის „ორეულებად" საგარეო პოლიტიკაში **გოგი ხოშტარიასა** და **მურმან ომანიძეს** რომ აირჩევს, იქ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე საუბარი ზედმეტია, ხოლო მრავალეროვან საქართველოში ისეთი ნაციონალური კოცონის აგიზგიზება, როგორიც გამსახურდიამ დაანთო, მიუღებელი და საქართველოსთვის უცხოა. საქართველო ათეულობით საუკუნეების განმავლობაში პირველი იყო ტოლერანტობაში. თუმცა ზვიად გამსახურდიას პატივს უნდა ვცემდეთ, როგორც ეროვნულ გმირს.

სახალხო მთქმელმა **ივანე წიკლაურმა** თავის ლექსში „რამ დამაბერა?" ჩაწერა: „ცუდი ცხოვრების წასვლამ და არ მოსვლამ უკეთესამან". დიახ, პუტჩისტების მიერ ზვიადის დამხობის შემდეგ მოსულმა შევარდნაძემ ვერ „მოიყვანა" უკეთესი ცხოვრება.

**ედუარდ შევარდნაძე**

ძლიერი, მომთმენი, ცივი, გარდასახვის დიდოსტატი, „უშიში, ვითარცა უხორცო", ეჭვიანი, სიტყვის ამყოლი, ყველაფრის დამმახსოვრებელი და სამაგიეროს გადამხდელი. ადამიანი, რომელმაც გიგანტური ხვლიკივით იარა და გაძვრა ყველა ხვრელში, აძვრა უძველეს ციხის კედლებზე და მოინახულა ცივილიზაციების ყველა სასწაული. იცხოვრა ორი ცხოვრებით — სპარტულად, ოფლით, შრომით, უძილობით, თმენით, არა მეგობრებით, არა ქალებით, არა დროსტარებით; სიტყვაძუნწი, გაუშინაურებელი (ასე თუ ისე, ვიცნობ სტალინის ცხოვრების სტილსა და მოქმედების მეთოდებს, მეჩვენება, რომ შევარდნაძე სტალინის აჩრდილი იყო). შევარდნაძემ სრულიად ახალი საქართველო შექმნა, მაგრამ შექმნა **მჟავანაძის, მეტრეველისა** და სხვათა მიმართ ჩადენილი მიუტევებელი შეცდომებით. **საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტსი მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ უცხოეთის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს მეთაურს სტუმრობისას ვერცხლის ხანჯალი აჩუქა: „ჩვენ ამის მეტი საბრძოლო იარაღი აღარ დაგვრჩა და ამასაც თქვენ გიძღვნით"-ო. ამ სიტყვებმა კარდინალურად შეცვალა შევარდნაძის ცხოვრება და მალე ის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად მოევლინა მსოფლიოს.**

## შევარდნაძის მეორე ცხოვრება

ნდობის, მეგობრობის, პეტრეს პავლედ ქცევის, დემოკრატიის მანტიის მორგების დიდოსტატმა საქართველოს ადგილი მოუნახა მსოფლიო პოლიტიკაში. ის იქცა იმად, რაც არ იყო. **სტალინი** რუსეთში წავიდა, როგორც პოეტი, და დაგვიბრუნდა, როგორც დიქტატორი. **შევარდნაძე მოსკოვში გავუშვით, როგორც პატიოსნების შარავანდედით შემკული გაბედული რაინდი, იქიდან კი დაგვიბრუნდა თავკერძა, მეუღლესა და ოჯახს დამორჩილებული, დამლაშეპარული, პატიოსნებაშებღალული, ხელისუფლების შესანარჩუნებლად ბევრ რამეზე ხელისმომწერი კაცი. მისი გარემოცვა, ჩემი ჩათვლით, წალმის ერთი დიდი კონაა, რომელიც ცეცხლზე უნდა დაიწვას. ჩვენმა თაობამ, შევარდნაძის ძალისხმევით დაღუპა მსოფლიოს მომავალი.** შევარდნაძეს შეეძლო, გამგრძელებელი ყოფილიყო იმ ქვეყნის მშენებლობისა, რომლის შენებას მისმა დიდმა წინაპარმა ჩაუყარა საფუძველი. ზოგი გამაკრიტიკებს და იტყვის — „რა ექნა პატარა ქვეყნის შვილს?". შევარდნაძე პასუხს აგებს არა მხოლოდ ქართველი, არამედ მსოფლიოს ხალხების წინაშე. **საქართველოდან წასულმა სტალინმა მსოფლიოს უდიდეს იმპერიას სახე უცვალა. დაიპყრო დიპლომატიისა და პოლიტიკის ყველა მწვერვალი, შექმნა სრულიად ახალი მიმდინარეობა — სტალინიზმი. „მიიღო კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური ბომბით შეიარაღებული". შევარდნაძე საქართველოდან გავუშვით უზარმაზარი წარმატებითა და უდიდესი გამოცდილებით. ის გახდა საბჭოთა იმპერიის უდიდესი პოლიტიკოსი და დიპლომატი, რომელმაც იმპერია კი არ გააძლიერა, არამედ ძირი გამოუთხარა და 300 მილიონი ადამიანი შიმშილის ზღვარზე მიიყვანა.** ქვეყანას მოუსპო როგორც პოლიტიკური, ისევე ეკონომიკური განვითარების გზა. ბოლოს კი მისივე ინიციატივით გადაღებული ფილმის მთავარი გმირის პერსონაჟის ბედი გაიზიარა. **შევარდნაძეს, რა თქმა უნდა, აქვს წვლილი საქართველოს სახელმწიფოებრივი მოდელის შექმნაში, მაგრამ ეს წვლილი სრულიად შეუმჩნეველია მის მიერ ჩადენილ ბოროტებასთან.** ჩირქი და ბალღამი, რომელიც დღეს საქართველოს სდის, შევარდნაძის მიერ საქართველოში შემოთრეული იმ ლეშის ლპობის შედეგია, რომელიც მან XXI საუკუნეში საქართველოს აჩუქა, როგორც ავხორცობის, ბოროტებისა და საქართველოს მუდმივი მტრის სიმბოლო. შევარდნაძემ საქრთველოში შექმნა ანტიეროვნული, ანტიტრადიციული, ანტიადამიანური, ანტიქრისტიანული სექტები, რომელთა განდევნა ჩვენი ქვეყნიდან მხოლოდ ქარველთა ძალისხმევით შეუძლებელია. გლობლური ძალისხმევის გარეშე, მსოფლიო რევოლუციის ხანძრის გარეშე შეუძლებელია, ჩაკვდეს და დაინაცროს ის, რაც მასონთა ლოჟების დახმარებით შევარდნაძემ დანერგა საქართველოში, რომელიც ახლა უფრო ხელშესახებია, ვიდრე ადრე იყო.

**შევარდნაძის ხელდასხმით პრეზიდენტად არჩეული მიხეილ სააკაშვილის საქართველო „გაკრასკული" სინდიოფალა იყო, რომელშიც არ არის არც სულიერება, არც ტრადიცია, არც ისტორია, არც წინაპარი. მასში აბსოლუტურად არ არის ილიას ხატება. ესე იგი, მასში არ არის ეროვნული ცნობიერება.** დღეს წართმეული გვაქვს ენა — დედაქალაქი ინგლისური წარწერებით არის აჭრელებული; ახალგაზრდობამ არ იცის ქართული. წაგვართვეს მამული, რომლის 20 % ოკუპირებულია და გვართმევენ სარწმუნოებას, რომელსაც თავგამოდებით ებრძვის ევროპა, აზია თუ ამერიკა.

ო, როგორი სირცხვილია ყოვლად სინდისგარცხილი კაცი სტალინის მშობლიურ ქალაქში მის ძეგლს იღებდეს და თავს მეფე დავით აღმაშენებლად აცხადებდეს. არ არის კაცი საქართველოში, რომელიც ხმამაღლა იტყვის „რად არ მეშლება ეს სხეული, ესრეთ მაგარი..." საქართველოში არ არის ღირსება, გამბედაობა, არ არის ინდივიდი, რომელიც ბრბოს გამოეყოფა და იტყვის: „სახელმწიფო — ეს მე ვარ". ამას ხომ **ლუდოვიკო XIV** ან **სტალინი** სჭირდება.

ხელისუფლების ხელში ჩაგდების მოსურნე ყველა ავანტიურისტი, წინ ფარად ადამიანთა ბრბოს იყენებს და დემოკრატიის სახელით მათ ზურგს ამოფარებული მუშტებს იქნევს. სად არიან ქვეყნისთვის შეწირული ადამიანები? რატომ არ ვსწავლობთ მათ ისტორიას? — იქ თავგანწირვაზე წერია, იქ სამშობლოსათვის სიკვდილზეა საუბარი. იქ ერისშვილებზეა საუბარი. სწორედ ეს მოკლა სააკაშვილმა საქართველოში და თვითონ დაიჩემა დიდი დავითის საპატიო სახელი, არასაპატიო მიზეზით დაბადებულმა არაადამიანმა, ვნებებს აყოლილმა, 10 ათასობით ქართული ოჯახის დამანგრეველმა და ამწიოკებელმა...

**საქართველოში აღარ უნდა ისმოდეს ბრბოს ყიჟინა და სააკაშვილის გამყინავი ხმა — „ყველა ციხეში, ყველა ციხეში!"**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)


ედუარდ შევარდნაძე


მიხეილ სააკაშვილი




# ყურადღება!

„ბიბლუსის" მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის" მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

ხალხის აზრით
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუკი ქვეყანაში არ მოხდება ძირეული ცვლილებები, თუკი ეკონომიკური საფუძველი არ დაედება ხალხის ბედნიერებას, არაფერი გვეშველება. ჩვენთან კარგად ცხოვრობს მოსახლეობის ათი პროცენტი. რა, დანარჩენი უსაქმურები ვართ? მხოლოდ ათ პროცენტს აქვს შრომის უნარი?! — ეს ტყუილია, უბრალოდ, სისტემაა ისეთი, რომ ათი პროცენტი მდიდრდება და მდიდრდება უმრავლესობის გალატაკების ხარჯზე“.**

# რატომ არის მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი სკეპტიკურად განწყობილი არჩევნების მიმართ

**ქვეყანა თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის მოლოდინშია. პოლიტიკოსები მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდებენ; არწმუნებენ, უფრო ზუსტად, ცდილობენ, დაარწმუნონ, რომ მათი არჩევის შემთხვევაში უკეთესად იცხოვრებენ. ბევრი დაპირება არარეალურია, თანაც ხშირად იმ ადამიანებისგან ისმის, რომლებმაც, შესაძლოა, საერთოდ ვერ მიაღწიონ ამ არჩევნებში ვერაფერს. კარდაკარ დაიწყეს სიარული მაღალი თანამდებობის პირებმა, ამით იმის თქმა სურთ, თითქოს მოსახლეობასთან ახლოს არიან...**
**მიუხედავად პოლიტიკოსების უდიდესი ძალისხმევისა, მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილი არჩევნებს სკეპტიკურად უყურებს. ისინი არ მონაწილეობენ არჩევნებში ან, თუ მონაწილეობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ხმა არ დაიკარგოს და, არჩევნებზე მისულნი, თითქმის უცნობ პარტიას შემოხაზავენ ხოლმე — ერთი ხმა მაინც ჰქონდესო...**
**გაზეთის ფორმატი ვერ დაიტევს იმ ადამიანების მოსაზრებას, რომლებსაც არჩევნები არ აინტერესებთ, მაგრამ შევეცადეთ, რამდენიმე მათგანის აზრი მაინც მიგვეტანა მკითხველამდე.**



## „არჩევნებში არ ვმონაწილეობ, რადგან ვთვლი, რომ ეს ხალხის გაბრიყვებაა. ვინც არჩევნებს ატარებს, ის დებს იმ შედეგს, რომლის მიღებაც სურს“

**მერაბ ზურაბაშვილი, სამოქალაქო აქტივისტი, გურჯაანის მცხოვრები:**

— თუკი ქვეყანაში არ მოხდება ძირეული ცვლილებები, თუკი ეკონომიკური საფუძველი არ დაედება ხალხის ბედნიერებას, არაფერი არ გვეშველება. ჩვენთან კარგად ცხოვრობს მოსახლეობის ათი პროცენტი. რა, დანარჩენი უსაქმურები ვართ? მხოლოდ ათ პროცენტს აქვს შრომის უნარი?! — ეს ტყუილია, უბრალოდ, სისტემაა ისეთი, რომ ათი პროცენტი მდიდრდება და მდიდრდება უმრავლესობის გალატაკების ხარჯზე.

შრომის უფლება, შრომის გარანტია გვჭირდება ღირსეული ანაზღაურებით. სოციალიზმის დროს იყო პრინციპი „თითოეულს შრომისა და უნარის მიხედვით“.

**1990-იანი წლებიდან მოყოლებული ვატარებთ არჩევნებს, მაგრამ რომელი არჩევნები ჩატარდა ისე, რომ აყალმაყალი არ ყოფილიყო — მოგვატყუეს, გაგვიყალბეს და ა.შ. ასე რომ, არჩევნები სანდო არ არის.**

ამ და წინა არჩევნებზე მისული ხალხის რაოდენობა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არავის აღარ ენდობა. არჩევნები რომ რამეს ნიშნავდეს, ხელისუფლებები მიხვდებოდნენ, ხალხს რა სურს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ეს არ აინტერესებთ. არჩევნებში არ ვმონაწილეობ, რადგან ვთვლი, რომ ეს ხალხის გაბრიყვებაა. ვინც არჩევნებს ატარებს, ის დებს იმ შედეგს, რომლის მიღებაც სურს. თუ არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ, მერე პოლიტიკოსები მეტყვიან, ნდობის მანდატი ხომ შენ მომეციო... ამიტომ თავს არავის გავაბრიყვებინებ. საზოგადოება ახალ ძალას ელოდება, ისეთს, რომელიც ხალხს მოუსმენს და არ იცრუებს. შეიქმნება კიდეც ასეთი ძალა, მოიფიქრებს ხალხი რამეს. უნდა გამოინახოს ფორმაცია, რომელშიც მშრომელი ადამიანის ინტერესები იქნება დაცული, შრომა ავითარებს ადამიანსაც და სახელმწიფოსაც, ამაზე არავინ არ ფიქრობს. გადასახედია ქვეყნის საგარეო კურსიც. ჩვენ დასავლეთმა დაგვიმონა, შრომას გადაგვაჩვია, ფაბრიკა-ქარხნის აშენების საშუალებას არ გვაძლევენ. ჩვენ გვჭირდება ურთიერთობა ისეთ სახელმწიფოებთან, რომლებთანაც თანასწორნი ვიქნებით, აღებმიცემობა გვექნება.



## „ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი ქართველისთვის, დღეს ქვეყანაში მოქმედი ყველა პარტია მიუღებელია“

**ტარიელ სუხიაშვილი, სამოქალაქო აქტივისტი:**

— მეორე ტურის ალბათობა დადგა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ორი პარტია დარჩა. ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი ქართველისთვის, დღეს ქვეყანაში მოქმედი ყველა პარტია მიუღებელია.

არ მიმაჩნია, რომ საქართველოში რამდენიმე პარტია დომინირებს, არა მგონია, რომ „ოცნებასა“ და „ნაცმოს“ შორის რამე სხვაობაა, ეს ორი პარტია ერთმანეთის იდენტურია.

**— ვინ უნდა იყოს ასარჩევი, ვის და როგორ ძალას ისურვებდით, რომ ხმის მისაცემად დიდი ენთუზიაზმით წახვიდეთ?**

— სიტყვა დემოკრატია ძალიან დააკნინეს და გააუბრალოეს, მაგრამ მინდა, გითხრათ, რომ ვისურვებდი დემოკრატიულ არჩევნებს, რომელშიც ხალხის ნება იქნებოდა გამოხატული და არჩევნებში წარმოდგენილი იქნებოდა რამდენიმე ძალა განსხვავებული იდეოლოგიებითა და განსხვავებული პროგრამებით. ახლა მხოლოდ ერთი ძალაა სხვადასხვა სახელწოდებით, ერთმანეთს ლანძღავენ და ამბობენ: ახლა მე მიმიშვით ხელისუფლებაში, ახლა მე უნდა მოვიპარო მილიონებიო... ის, რაც ჩვენში ხდება, რასაც არჩევნებს უწოდებენ, არის ფარსი და ამიტომ ვფიქრობ, ამ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს.

**ძალიან მინდა, გამოჩნდეს მართლაც ახალი, სრულიად განსხვავებული ძალა, რომელსაც ექნება ქვეყნის განვითარებისკენ მიმართული პროგრამა.**

**— საქართველოში ყველა არჩევნებში კენჭს რამდენიმე ათეული პარტია იყრის. ნუთუ თქვენი მოსაწონი არც ერთი არ არის?**

— მერწმუნეთ, ეს რამდენიმე ათეული პარტია ორი დომინანტი პარტიის განშტოებებს წარმოადგენს. ყველა მათგანი „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ სატელიტები არიან. ზოგი მათგანი თავისი ნებით არის სატელიტი, ზოგი კი — ძალით. ეს ხდება იმისთვის, რომ ხალხი დაიქსაქსოს, დაიბნეს და დომინანტმა პარტიებმა თავისი მიიღონ.

**ვისურვებდი პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოჩენილიყო და არჩევნებში მონაწილეობა მიეღო ნამდვილ, ეროვნულ, კონსერვატიული ღირებულებების პარტიას, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ხალხის, ქვეყნისა და ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენაზე. ქვეყნის ხელისუფლების სათავეში ვისურვებდი პარტიას, რომელიც იზრუნებდა ეკონომიკის განვითარებაზე და უმძიმესი სოციალური პრობლემების მოგვარებაზე.**

დღეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ საზოგადოება გარდაიქმნას ისეთ საზოგადოებად, რომელიც კუჭზე იქნება ორიენტირებული, **ცდილობენ, ქვენა გრძნობებს აყოლილ ინდივიდებად აქციონ მოსახლეობა. არადა, ჯანსაღი საზოგადოების არსებობა აუცილებელი პირობაა ქვეყნის განვითარებისთვის. საქართველოში, სამწუხაროდ, მივიღეთ რეალობა, სადაც ადამიანთა ერთობაა, ოღონდ ყოველგვარი ღირებულებების გარეშე.**

**— არჩევნებში არ მონაწილეობს მოსახლეობის დიდი ნაწილი...**

— დიახ, ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს და პროტესტს ამ ფორმით გამოხატავენ.

არა და არ დაადგა ახალი ძალის ჩამოყალიბებას საშველი. ყველა თავის თავს ახალ ძალას უწოდებს, მაგრამ ყველა ერთია, ყველას ერთი აზრი აქვს — „მე რომ ვიყო ბიძინასთან, უფრო უკეთ გავაიმასქნებდი საქმეს“, მეორე კი ამბობს, ამერიკას მე უკეთ დაველაპარაკებოდიო. ერთმა პროფესორმა მითხრა: ბიძინამ არ იცის, როგორ დაელაპარაკოს ამერიკას, მე ვიცი და, თუ ამერიკასთან დალაპარაკების საშუალება მომეცემა, ფინანსების ზღვა წამოვაო... ასე რომ, **ყველას ერთი მიზანი აქვს — ფული და პირადი კეთილდღეობა. საქვეყნოდ არავინ არ აზროვნებს, საქართველოსა და ქართველ ხალხზე არავინ არ ფიქრობს.**

**«გული მწყდება, რომ ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია არ არის საქართველოში, არ ხელმძღვანელობს პარტიას და არჩევნებში ვერ მონაწილეობს. არადა, როგორ სჭირდება ქართველ საზოგადოებას ალექსანდრე ჭაჭიასნაირი პოლიტიკოსი, პოლიტიკოსი სწორი ხედვით და ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამით»**

**«ვისურვებდი დემოკრატიულ არჩევნებს, რომელშიც ხალხის ნება იქნებოდა გამოხატული და არჩევნებში წარმოდგენილი იქნებოდა რამდენიმე ძალა განსხვავებული იდეოლოგიებითა და განსხვავებული პროგრამებით. ახლა მხოლოდ ერთი ძალაა სხვადასხვა სახელწოდებით, ერთმანეთს ლანძღავენ და ამბობენ: ახლა მე მიმიშვით ხელისუფლებაში, ახლა მე უნდა მოვიპარო მილიონებიო... ის, რაც ჩვენში ხდება, რასაც არჩევნებს უწოდებენ, არის ფარსი და ამიტომ ვფიქრობ, ამ არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს»**



## „ყველა პარტია, რომელიც არჩევნებში კენჭს იყრის, დასავლეთის „სტრატეგიულ პარტნიორ“ ქვეყნებს ეტმასნებიან და არც ერთი არ ვარგა ქართველი ხალხისთვის, სამშობლოსთვის, ერისთვის“

**ბორის კაკაბაძე, სამოქალაქო აქტივისტი:**

— ყველა პარტია, რომელიც არჩევნებში კენჭს იყრის, დასავლეთის „სტრატეგიულ პარტნიორ“ ქვეყნებს ეტმასნებიან და არც ერთი არ ვარგა ქართველი ხალხისთვის, სამშობლოსთვის, ერისთვის.

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ნაციონალები ასე „აღორძინდებოდნენ“, ველოდი, რაღაცას „მიიღებდნენ“, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მეორე ტურში გავიდოდნენ და თავიანთი უკან მობრუნებით საფრთხის წინაშე დააყენებდნენ საზოგადოებას. ეს ხომ კოაბიტაციის ბრალია, ეს ხომ დაუსჯელობის სინდრომით არის გამოწვეული, და ახლა, ხმა მომეცითო, იხვეწება კოაბიტირებული მთავრობა.

ყველა პარტია და ლიდერი თავისი მუცლის ამოყორვაზე ფიქრობენ, ლამაზი სიტყვებით ხალხს ატყუებენ იმ მიზეზით, რომ ხალხი ქუჩაში არ გამოვიდეს და „ბუნტი“ არ იყოს...

სიმართლე გითხრათ, **გული მწყდება, რომ ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია არ არის საქართველოში, არ ხელმძღვანელობს პარტიას და არჩევნებში ვერ მონაწილეობს. არადა, როგორ სჭირდება ქართველ საზოგადოებას ალექსანდრე ჭაჭიასნაირი პოლიტიკოსი, პოლიტიკოსი სწორი ხედვით და ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამით.**

ამ ქვეყანაში მგზნებარე სახალხო მოძრაობაა საჭირო, ხალხი თავისით უნდა მიდიოდეს არჩევნებზე, სიხარულით უნდა გავრბოდეთ. ვოცნებობ, წავიდე ისეთ არჩევნებზე, როცა მეცოდინება, რომ ჩემი ხმა ღირსეულს ხვდება წილად.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი მესიას ელის. ეს არ მომწონს, მესია არ მოვა. ჩვენ, ხალხმა, უნდა გამოვუტანოთ განაჩენი პოლიტიკოსებს, ჩვენ უნდა ვაგრძნობინოთ მათ, რომ არარაობანი არიან. ჩვენ უნდა ვაგრძნობინოთ, რომ სამშობლოსათვის თავგანწირულ პოლიტიკოსს ველოდებით და არ გვინდა პოლიტიკოსი, რომელიც იტყვის: „მერე მე არაფერი მამივა?“...

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**მეუფე ყანდური და თქვენი მონამორჩილი ბავშვობაში კლასელები ვიყავით და ამიტომ კარგად ვიცი, რას ვწერ და ვისზე. ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, სახარე ხბოს სასკორეზე ეტყობაო, „სახელოვან, საამაყო გვარიშვილს“ თვალებში (კოჭებშიც) ეტყობოდა, რა ჩიტიც ბრძანდებოდა. თუმცა, რა შუაშია თვალები, ბერბიჭაშვილები ადამის მოდგმის იმ მცირერიცხოვან კატეგორიას განეკუთვნებიან, რომლებსაც, მუდამ თავდახრილთ, რომ იტყვიან, თვალი თვალში ვერავისთვის გაუყრიათ და თვალებში ვინ რას შეატყობდა?!**



ავი მუსაიფი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როდემდე უნდა გვეხვეწოთ, რომ კიდევ ერთხელ მოგცეთ ხმა? მეუფე ყანდურებს მაინც მიხედეთ, თუ მეტის თავი არ გაქვთ!

**ჩემი ბოლო „ავი მუსაიფის“ პოსტკრიპტუმში მკითხველს პირობა მივეცი, რომ მორიგი წერილის მთავარი თემა ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენცია და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იქნებოდა. „შემოქმედებითი ინტელიგენციისა და იმ მეუფე ყანდურებისთვის მოვიცლი, რომლებიც მიშას გათავისუფლებას მოითხოვენ“, — ამ ფრაზით მთავრდება გაზეთის 37-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატია სათაურით: „ყველაფერი შენი ბრალია, ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ“.**



მეუფე გრიგოლი



მეუფეები მელქისედეკი და ნიკოლოზი

წერილის სათაურის მთავარი პერსონაჟი **ბიძინა ივანიშვილი** რომ არის, ამის მიხვედრას, აბა, რა დიდი ჭკუა სჭირდება, მაგრამ წინამდებარე წერილში იმის ხაზგასმაც მინდა, რომ მართალია, ყველაფერი ბიძინას ბრალია, მაგრამ ის „ყველაფერში დამნაშავის“ საპატიო ტიტულს ვერ მოიპოვებდა ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის უპირობო მხარდაჭერისა და საქართველოს დედაეკლესიაში სხვადასხვა პერიოდში ჩანერგილი ე.წ. გავლენის აგენტების, მეუფე ყანდურების, „კურთხევის“ გარეშე. ასე რომ, **ბატონი ბიძინა იმით მინდა ვანუგეშო, რომ დაშვებულ შეცდომებსა თუ ჩადენილ დანაშაულებში იგი მარტო არ არის, თავიანთი წილი პასუხისმგებლობისა საქართველოს ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის უმრავლესობასა და მეუფე ყანდურებსაც ეკუთვნით.** „მეუფე ყანდური“ — ეს ტერმინი პირველად მე გამოვიყენე ქართულ ჟურნალისტიკაში 9 წლის წინათ, 2012 წლის 19 სექტემბერს, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით **„მეუფე ყანდური“**, რომელსაც ასეთი ქვესათაური ჰქონდა: **„გიგლა ბერბიჭაშვილმა ილია ჭავჭავაძეს ტყვია დაახალა, ხოლო „მეუფე ყანდური“ (ერისკაცობაში გურამ ბერბიჭაშვილი) ილია მეორეს უთხრის ორმოს“.** ვისაც სურვილი გაუჩნდება, ამ სტატიას ადვილად იპოვის „დალოცვილ“ ინტერნეტში. ახლა კი აღნიშნული მასალიდან მხოლოდ რამდენიმე „უმნიშვნელო“ ფაქტს გავიხსენებ იმ მკითხველის საყურადღებოდ, რომელიც ინტერნეტში „ქექვას“ არ აპირებს.

პირველი და უმთავრესი — მეუფე ყანდური და თქვენი მონამორჩილი ბავშვობაში კლასელები ვიყავით და ამიტომ კარგად ვიცი, რას ვწერ და ვისზე. ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, სახარე ხბოს სასკორეზე ეტყობაო, „სახელოვან, საამაყო გვარიშვილს“ თვალებში (კოჭებშიც) ეტყობოდა, რა ჩიტიც ბრძანდებოდა. თუმცა, რა შუაშია თვალები, ბერბიჭაშვილები ადამის მოდგმის იმ მცირერიცხოვან კატეგორიას განეკუთვნებიან, რომლებსაც, მუდამ თავდახრილთ, რომ იტყვიან, „თვალი თვალში ვერავისთვის გაუყრიათ“ და თვალებში ვინ რას შეატყობდა?! მოკლედ, თვალებით იყო თუ სასკორეთი, **გურამ ბერბიჭაშვილმა** საეკლესიო იერარქიაში პატრიარქის შემდეგ უმაღლეს საფეხურს მიაღწია და, აჰა, ბატონო, ნაცების ყურმოჭრილი მონა, **მეუფე გრიგოლი** (წაიკითხე, ყანდური), ერთ-ერთი პირველია სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნის პეტიციაზე ხელმომწერ მეუფე ყანდურთა შორის. ამ პასაჟის ბოლოს ცოტა წატრაბახების უფლებას მივცემ თავს: მოხარული ვარ, რომ ჩემ მიერ ნათქვამი „მეუფე ყანდური“ ისეთი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ 9 წლის შემდეგაც **ჭაბუა ამირეჯიბის** უკვდავი რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი მეუფე ყანდური ყველა ცრუ სასულიერო დაბალ-მაღალი იერარქის სინონიმია. ამ „სახელს“, რომელიც (ყალბი თავმდაბლობის გარეშე) ქართულ მედიაში თქვენი მონამორჩილის დამკვიდრებულია, ხშირად იყენებენ პრესასა თუ ტელევიზიებში პირველწყაროს მინიშნება-მითითების გარეშე, მაგრამ საავტორო უფლების დარღვევის გამო სტრასბურგის სასამართლოში ჩივილს არ ვაპირებ. თუმცა, **რა დროს ხუმრობაა, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი სავსეა მეუფე ყანდურებით, რომლებიც ძირს უთხრიან არა მხოლოდ პატრიარქს, არამედ ახლა მის თანამოსაყდრე მეუფე შიოსაც და საქართველოს დედაეკლესიას, რომელიც მის**

## ბატონი ბიძინა იმით მინდა ვანუგეშო, რომ დაშვებულ შეცდომებსა თუ ჩადენილ დანაშაულებში იგი მარტო არ არის, თავიანთი წილი პასუხისმგებლობისა საქართველოს ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის უმრავლესობასა და მეუფე ყანდურებსაც ეკუთვნით

**გარშემო გავრცელებული ათასი ჭორ-მართლისა, გნებავთ, ატეხილი ე.წ.საინფორმაციო ომისა, ერთადერთი მებრძოლი ინსტიტუტია ყოველივე ქართულის, ზნეობის, ტრადიციების, საზოგადოებრივი მორალის, ბოლოს და ბოლოს, ელემენტარული ადამიანობის შესანარჩუნებლად...**

სწორედ ამის გამო მიიტანეს მეუფე ყანდურებმა ტელეშეტევა საქართველოს პატრიარქის მოსაყდრე **მეუფე შიოზე.** ტელეკომპანია „მთავარის“ თოქშოუ „მთავარ აქცენტებში“ ამ თემის სიუჟეტის „თეოლოგად“ ცნობილი „ქათამი“ **ნიკა გვარამია** მოგვევლინა. გვარამიამ სააკაშვილის ადვოკატობა იკისრა და, ალბათ, იმიტომ, რომ ახალ „თანამდებობას“ მისი ცნობილი „შარვალ-ფოხანი“ აშკარად არ შეესაბამებოდა, ვილაცის რჩევით, ეს აშკარად ლგბტ-პედერასტული სამოსი დროებით „ნაფტალინში“ შეინახა და მეუფე შიოს მიერ სახარების ინტერპრეტაციასა და ეგზარქოსსზე სჯა-ბაასში ისე არ გამოიყურებოდა, ნორმალურ ადამიანს მისი უმიზეზოდ ცემა მოგდომებოდა... 1986 წლის 24 მაისს თბილისის სემინარიის იმჟამინდელი რექტორი **პავლე ჩუდეცკი** ამავე სემინარიის სტუდენტმა **იოსებ ლაღიაშვილმა** ხანჯლით აკუწა. სემინარიის რექტორის დაკრძალვაზე ქართველთმოძულე ეგზარქოსმა **პავლემ (ლებედევი)** ქართველი ერი დაწყევლა, რაც პირადად მისთვის გაგზავნილ წერილში გააპროტესტა **დიმიტრი ყიფიანმა** და მისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოითხოვა. შემდეგ რაც მოხდა, ცნობილია — დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლეს და გაურკვეველ ვითარებაში ვერაგულად მოკლეს (მეფის ოხრანკამ თუ სოცდეკებმა). იმხანად ქართველი საზოგადოების აზრი ლაღიაშვილის მხარეს იყოო, — „ამერიკა აღმოაჩინა“ გვარამიამ და შენც რუსეთის მიერ დანიშნული ეგზარქოსი ხარო, ჰკადრა ამ „ქათამმა“ საქართველოს ეკლესიის სინოდში მეუფე ყანდურებით ალყაშემორტყმულ მეუფე შიოს. ის კი არ გაიხსენა მეუფე ყანდურთა ამხანაგმა ნიკა გვარამიამ, რა წერილი მისწერა დიდმა **ილიამ** ზემოთ მოთხრობილი ამბებიდან 10 წლის შემდეგ თბილისის სემინარიის იმჟამინდელ რექტორს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

**„რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული,** — წერდა ილია თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმეს 1898 წელს, — **ჩვენთვის უფროა საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდ, თვალუწვდენელ რუსეთისათვის კი, ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი; ვიმეორებ, ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საკითხთან. .. დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისთვის“.**

„დიმიტრი იყო ჩვენი ხუროთმოძღვარი, ჩვენ კი — მისი კალატოზები“, — იტყვის დიდი ილია დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე... ახლა კი ისეთ ამონარიდს გაგაცნობთ ნიკა გვარამიას იმღამინდელი „შემოქმედებიდან“, მეშინია, გული არ გაგისკდეთ, ყოველი შემთხვევისთვის ენის ქვეშ ვალიდოლი ამოიდეთ: **„ისტორიულ ჭრილში მიხეილ სააკაშვილი თუ უფრო მეტი არა, არანაკლებად მნიშვნელოვანი ფიგურაა ქვეყნის ისტორიისთვის, ვიდრე დიმიტრი ყიფიანი იყო!“**



გურამ ბერბიჭაშვილი ახალგაზრდობაში

## თვალებით იყო თუ სასკორეთი, გურამ ბერბიჭაშვილმა საეკლესიო იერარქიაში პატრიარქის შემდეგ უმაღლეს საფეხურს მიაღწია და, აჰა, ბატონო, ნაცების ყურმოჭრილი მონა, მეუფე გრიგოლი (წაიკითხე, ყანდური) ერთ-ერთი პირველია სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნის პეტიციაზე ხელმომწერ მეუფე ყანდურთა შორის

**დავით მხეიძე**

**P.S ჰოდა, იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობის “კრიმინალურ რეჟიმს თავის დროზე პასუხი არ აგებინეთ და მისი წევრები, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულები, ახლა ხელისუფლების სათავეში დაბრუნებითა და შურისძიებით გვემუქრებიან, „ქართულ ოცნებას“ ვეკითხები: როდემდე უნდა გვეხვეწოთ, კიდევ ერთხელ მოგვეცით ხმაო? მეუფე ყანდურებს მაინც მიხედეთ, თუ მეტის თავი არ გაქვთ!**

საშინაო პრობლემები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთში ლუკმაპურის საშოვნელად წასული საქართველოს მილიონი მოქალაქიდან ნახევარს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა აქვს, რათა ამ ქვეყანაში ოფიციალურად ცხოვრებისა და მუშაობის შესაძლებლობა ჰქონდეს. ნახევარზე მეტმა, იქ რომ საქმე დაეწყო და აეწყო, საქართველოში ყველაფერი გაყიდა და ახლა ცდილობს, ისტორიულ სამშობლოში კვლავ ჰქონდეს სახლ-კარი თუ ბიზნესი. ე.ი., ეს ადამიანები რეალურად საქართველოს მოქალაქეები არიან, აქ დაბადებულ-გაზრდილები, რომლებმაც თავისა და ოჯახის გადასარჩენად რუსეთს მიაშურეს, იქაური მოქალაქეობა მიიღეს და იქ ნაშოვნი ფულით საქართველოში ცდილობენ ბუდის მოწყობას. ჰოდა, ამის აკრძალვას აპირებენ.**

# ქართველებს სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობას უსპობენ

# საწვავი 25 თეთრით გაძვირდება. რას გამოიწვევს ეს?

**საქართველოს მოქალაქემ, ვინმე მამუკა გვაძაბიამ პარლამენტში წარადგინა კანონპროექტი, რომლის მიხედვით, რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში უძრავი ქონების შეძენა ოფიციალურად, საკანონმდებლო დონეზე უნდა აეკრძალოთ. პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტს დაევალა აღნიშნული საკანონმდებლო წინადადების განხილვა, გადაწყვეტილების შესახებ კი ბიუროს უნდა აცნობოს. აქვე გეტყვით, რომ უცნობია ბოლო წლების ზუსტი მონაცემები, რა უძრავი ქონებაა რეგისტრირებული რუსეთის მოქალაქეებზე საქართველოში, თუმცა მიგრაციის სამთავრობო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ 2019 წლის მიგრაციის პროფილში აღნიშნულია, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების 40% რუსეთის მოქალაქეებზე მოდის. კერძოდ, 2015-2018 წლებში რუსეთის მოქალაქეების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი ქონების რაოდენობა 15 133-ს შეადგენდა. ჰოდა, ახლა ამის აკრძალვა იგეგმება.**

დავიწყოთ იმით, რომ მიგრაციის სამთავრობო კომისიას არ გამოუქვეყნებია მონაცემი იმ 40%-დან, რომლებმაც საქართველოში უძრავი ქონება შეიძინეს, რამდენს ჰქონდა ქართული გვარი?! ხომ ძალიან მარტივია იმის მიხვედრა და გაგება, რომ **რუსეთში ლუკმაპურის საშოვნელად წასული საქართველოს მილიონი მოქალაქიდან ნახევარს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა აქვს, რათა ამ ქვეყანაში ოფიციალურად ცხოვრებისა და მუშაობის შესაძლებლობა ჰქონდეს. ნახევარზე მეტმა იქ რომ საქმე დაეწყო და აეწყო, საქართველოში ყველაფერი გაყიდა და ახლა ცდილობს, ისტორიულ სამშობლოში კვლავ ჰქონდეს სახლ-კარი თუ ბიზნესი. ე.ი., ეს ადამიანები რეალურად საქართველოს მოქალაქეები არიან, აქ დაბადებულ-გაზრდილები, რომლებმაც თავისა და ოჯახის გადასარჩენად რუსეთს მიაშურეს, იქაური მოქალაქეობა მიიღეს და იქ ნაშოვნი ფულით საქართველოში ცდილობენ ბუდის მოწყობას.** ჰოდა, ამის აკრძალვას აპირებენ, ამის გაუქმება უნდათ, ქართველებს უკან დაბრუნების შესაძლებლობას უკლავენ და ეს სწორედ ისაა, რაც წლების წინათ ითქვა: მავანს ძლიერი საქართველო ქართველებითურთ კი არ აინტერესებს, არამედ მხოლოდ ტერიტორია უნდა და, რაც ნაკლები იქნება ამ ტერიტორიაზე ქართველი, მით უკეთესიო. **ვერ გეტყვით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს პარლამენტი, მაგრამ ამის დაკანონება საქართველოს მოქალაქეებისთვის სამშობლოს წართმევის ტოლფასია. ხომ არაფერს ვამბობთ, როცა საუბარია უცხოტომელებზე მიწების მიყიდვასა და დაკანონებაზე, მაგრამ როცა საქმე ქართველს ეხება...**

საფრანგეთშია დაბადებულ-გაზრდილი **სალომე ზურაბიშვილი** და პრეზიდენტად ავირჩიეთ. მაშინ წავართვათ ყველაფერი და გავუშვათ უკან, უცხო გამოდის ისიც. ვინ იცის, იქნებ მომავალი პრეზიდენტი სწორედ რუსეთში იზრდება ახლა, ან პრეზიდენტი თუ არა, რიგითი ქართველი, რომელიც ჩვენს ქვეყანას წაადგება, თავის წილ აგურს დადებს სახელმწიფოს მშენებლობაში და ჩვენ ამას ვუკრძალავათ...

პანდემიის გამო მსოფლიო მასშტაბით ნავთობის მოპოვება შემცირდა. ზამთრის მოახლოებასთან ერთად საწვავის ფასი ისედაც მატულობდა ხოლმე და ახლა, როცა ამ ყველაფერს პანდემიაც დაერთო, ადვილი მისახვედრია, რატომ გაიქცა კატასტროფულად ფასები. როგორც გვეუბნებიან, **ერთ კვირაში საწვავი 25 თეთრით გაძვირდება. რას ნიშნავს ეს? უწინარესად იმას, რომ გაძვირდება ტრანსპორტით გადაადგილება. ავტომატურად გაძვირდება საკვები პროდუქტების დისტრიბუცია, ანუ ერთი ადგილიდან მეორეზე პროდუქტის მიტანა, რაც თავისთავად გამოიწვევს ფასების მატებას და ყველა პროდუქტზე 25-თეთრიანი მატება თუ არ იქნება, ქართველი ბიზნესმენების მადა რომ ვიცით, 20 თეთრს მაინც მოუმატებენ.** ჯამში კი, ეს თვის ბოლოს დიდ რიცხვს „აარტყამს“. დიდს რიგითი ადამიანებისთვის, თორემ ძლიერთა ამა ქვეყნისათა ნაკლებად აინტერესებთ, ზეთი 3-დან 7 ლარამდე რომ გაძვირდა, მაინც არ ითვლიან ფულს და არც იმას ფიქრობენ, თვიდან თვემდე საკვების თანხა როგორ გადაანაწილონ.

როგორც ექსპერტები ამბობენ, **საწვავის გაიაფების ერთადერთი გზა არსებობს და ეს გზა აქციზზე გადის. თუ ხელისუფლება მოინდომებს და საწვავზე აქციზს გააუქმებს, ერთი ლიტრი ბენზინის ფასი ერთბაშად 70 თეთრით გაიაფდება. ჰო, სწორედ ამდენს ვიხდით აქციზში და ეს თანხა ჩვენი ჯიბიდან მიდის.** აბა, როგორ არ გავიხსენოთ **დიმიტრი ქუმსიშვილის** განცხადება, საწვავსა და სიგარეტზე აქციზს რომ გავზრდით, ამით ბიუჯეტი დამატებით მილიარდს მიიღებს და ეს მილიარდი მოსახლეობას მოხმარდებაო. მაშინ ბატონ დიმიტრის პირადად ვკითხე, ეს ფული ხომ ისევ მოსახლეობის ჯიბიდან უნდა ამოიღოთ-მეთქი და შეიცხადა: რას ამბობ, ბიზნესს დავავალდებულებთ, მოგების მარჟა დააკლონო. ვერ დაავალდებულეს, არც მოგების მარჟას დააკლო ვინმემ და აქციზის მომატებული გადასახადი მოსახლეობას დააწვა მძიმე ტვირთად. ახლა კი ამ აქციზის გაუქმება შეუძლებელია, რადგან ბიუჯეტი 2 მილიარდ ლარამდე იზარალებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელფასებსა და პენსიებს, უბრალოდ, ვერ დაარიგებს.

**პენსიების ზრდა დაანონსებულია — 1 იანვრიდან პენსიონერები 20 ლარით მეტს მიიღებენ, მაგრამ უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ შვებას ვერ იგრძნობენ, რადგან მომატებული ფასების გამო, ეს 20-ლარიანი ნამატი საკმარისი აშკარად არ იქნება. ამასთანავე, პრემიერმა ისიც გვითხრა: დიდი ხანია, საჯარო მოხელეების ჯამაგირი არ გაზრდილა და იანვრიდან ხელფასები მათაც გაეზრდებათო. ეს ყველაფერი კარგი ერთი შეხედვით არის, რადგან საჯარო მოხელეების რაოდენობა არც ისე დიდია, პენსიონერები კიდევ... მართლა თუ არ მიკვირდეს, თვიდან თვემდე როგორ გააქვთ ამ ადამიანებს თავი...**




**გაძვირდება ტრანსპორტით გადაადგილება. ავტომატურად გაძვირდება საკვები პროდუქტების დისტრიბუცია, ანუ ერთი ადგილიდან მეორეზე პროდუქტის მიტანა, რაც თავისთავად გამოიწვევს ფასების მატებას და ყველა პროდუქტზე 25-თეთრიანი მატება თუ არ იქნება, ქართველი ბიზნესმენების მადა რომ ვიცით, 20 თეთრს მაინც მოუმატებენ**

ექიმებმა მეხუთე ტალღის დაწყება ისე დაგვიანონსეს, ჯერ მეოთხე არ დასრულებულა. მიუხედავად იმისა, რომ ინფიცირებულთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება და მას გარდაცვლილთა რაოდენობაც ფეხდაფეხ მიჰყვება, ხელისუფლება ვერ ბედავს, რთული გადაწყვეტილება მიიღოს და ყველაფერი ჩაკეტოს. ამას ქვეყნის ეკონომიკა ვერ გაუძლებს და ამიტომ **ჩვენი სიცოცხლის ხარჯზე ვრისკავთ და შესაძლოა, ხვალ ჩვენ აღმოვჩნდეთ საწოლს მიჯაჭვულნი. ანტივაქსერებსაც ვერაფერი მოუხერხა მთავრობამ, ვერ გახადა სავალდებულო აცრა და 4 ოქტომბერს ზარ-ზეიმით გახსნილი სკოლები და ბაღები ერთი-მეორის მიყოლებით იხურება. ხმამაღლა არავინ ამბობს, რომ ანტივაქსერები პედაგოგებშიც არიან და სწორედ მათი წყალობით არის, ვირუსი მომავალ თაობას რომ არ ინდობს.**

უფრო ცუდი კი ის არის, რომ რუსეთში აქამდე უცნობი შტამი გამოჩნდა. რუსეთის ფედერაციაში ბოლო 10 დღის განმავლობაში, ინფიცირებისა და გარდაცვალების რეკორდული რაოდენობის შემთხვევებია. არიან ადამიანები, რომლებსაც ეს ყველაფერი ახარებს, აქაოდა, ჩვენი მტერი ნადგურდებაო, მაგრამ იმას კი არ ფიქრობენ, რომ რუსეთში საქართველოს მოქალაქეებიც კვდებიან და, **თუ ჩრდილოელ მეზობელს მართლაც სერიოზული საფრთხე დაემუქრება, ეს ავტომატურად იმოქმედებს ჩვენზე და ვირუსი ჩვენც წაგვლეკს. რაც შეეხება რუსეთში გამოვლენილ ახალ შტამს, რომელსაც ანალოგი მსოფლიოში არ აქვს. არსებობს ვარაუდი, რომ მიმდინარე მოვლენებით კარგად ისარგებლა დასავლეთმა და ახალი ვირუსი კორონას საფარქვეშ შეგნებულად გაავრცელა და რუსეთს ბიოლოგიური ომი გამოუცხადა.**

„შტამი, რომელიც რუსეთში აღმოჩნდა, პრინციპულად ახალი შტამი არ არის, ქვეშტამია, ქვესახეობა. რამდენად მეტად აგრესიულია, ჯერ დადგენილი არ არის. რუსეთში ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ჩვენზე გაცილებით ცუდი, არა რაოდენობის, არამედ გარდაცვალების შემთხვევების მხრივ. სიკვდილიანობა ჩვენზე გაცილებით მეტია. პუტინი დიქტატორია თუ დემოკრატი, არც იმას უნდა, თავისი ხალხი გააღიზიანოს და „ლოკდაუნი“ გამოაცხადოს, მაგრამ იძულებული შეიქნა, გამოეცხადებინა. ვაქცინა ჯერჯერობით ყველა შტამზე მოქმედებს. შეიძლება, ადამიანი ვერ დაიცვას დაინფიცირებისგან, მაგრამ მძიმე შემთხვევებისა და სიკვდილისგან იცავს. ვაქცინა სიკვდილს ამცირებს 80-90%-ით“, — განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

**რუსეთში გამოცხადებული „ლოკდაუნი“, რომელიც ძალაში 28 ოქტომბრიდან შევიდა, ქვეყნის ეკონომიკას მძიმე ტვირთად დააწვება, მაგრამ ზამთარი ის პერიოდია, როცა რუსეთს ეკონომიკის აღმავლობა ეწყება, რადგან იზრდება ნავთობპროდუქტების მოხმარება და ფასები, ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოელი მეზობელი ამასაც გაუძლებს, ამასაც გადაიტანს, ჩვენ კი...**

„ეპიდსიტუაცია ძალიან სერიოზულია, საგანგაშოა. მიმაჩნია, რომ მთავრობა არ უნდა წავიდეს შეზღუდვებზე, ძლივს გაიხსნა ეკონომიკა და ძლივს მოსახლეობამ ამოისუნთქა და უბრუნდება ნორმალურ ცხოვრებას. არამედ უნდა წავიდეს არსებული რეგულაციების კონტროლის გაძლიერებაზე“, — ესეც თენგიზ ცერცვაძის განცხადებაა. ბატონმა თენგიზმა კარგად იცის, რომ სიტუაცია უმძიმესია, მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ, თუ „ლოკდაუნი“ გამოცხადდება, შიმშილით სიკვდილი დაგვემუქრება, ამიტომ განცხადებებში ფრთხილობს. დაკეტვას გამორიცხავს ჯანდაცვის მინისტრი **ეკატერინე ტიკარაძეც** და ახლა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, რეგულაციებს დავიცავთ, ავიცრებით თუ ყველაფერს ცალ ფეხზე დავიკიდებთ და ქვეყანას განადგურებისთვის გავწირავთ. საქართველოს ახლა ყოფნა-არყოფნის საკითხი უდგას.

**საფრანგეთშია დაბადებულ-გაზრდილი სალომე ზურაბიშვილი და პრეზიდენტად ავირჩიეთ. მაშინ წავართვათ ყველაფერი და გავუშვათ უკან, უცხო გამოდის ისიც. ვინ იცის, იქნებ მომავალი პრეზიდენტი სწორედ რუსეთში იზრდება ახლა, ან პრეზიდენტი თუ არა, რიგითი ქართველი, რომელიც ჩვენს ქვეყანას წაადგება, თავის წილ აგურს დადებს სახელმწიფოს მშენებლობაში და ჩვენ ამას ვუკრძალავათ**

**ბესო ბარბაქაძე**

„უშიშროების საბჭოს თხუთმეტი წევრიდან დასავლეთი წარმოდგენილია ექვსით (სამ მუდმივ წევრს პლუს სამი ევროპიდან). იმის გათვალისწინებით, რომ იაპონიას ყველაზე ხშირად ირჩევენ უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრად, გამოდის, რომ ატლანტისტები (წყნარ ოკეანეში მდებარეობის მიუხედავად, იაპონია უდავოდ მათი გავლენის სფეროშია) აკონტროლებენ ადგილების თითქმის ნახევარს მსოფლიო მთავრობაში“ შეესაბამება თუ არა ეს ძალთა გლობალურ ბალანსს და სახელმწიფოთა უმეტესობის თვალსაზრისს სამართლიანი წარმომადგენლობის შესახებ? — არა.

გეოპოლიტიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ჩიხში მოვამწყვდევთ!» — ერდოღანი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს დაემუქრა

**„დღეს იმის განცხადებით, რომ „მსოფლიო ხუთ სახელმწიფოზე მეტია“, გლობალური სისტემის უსამართლობას ვუპირისპირდებით. მიგვაჩნია, რომ არ შეიძლება, კაცობრიობის ბედს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული ერთი მუჭა ქვეყნები წყვეტდნენ“, — თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმირებისკენ მოუწოდა და დასძინა, რომ უკვე აქვს გარკვეული საგზაო რუკა გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების „ჩიხში მოსამწყვდევად“.**

ერდოღანი, დიდი ხანია, ებრძვის გლობალური პოლიტიკური სისტემის „უსამართლობას“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დამყარდა. აქ საქმე კონკრეტულ რიტორიკაში კი არა, პრობლემის არსშია. სიტყვები „ერთი მუჭა ქვეყნები“ ნამდვილად უადგილოა და კრემლმაც მართებულად უპასუხა, რომ ფაშიზმზე გამარჯვებულებს ასე არ უნდა ეწოდოს, ხოლო ბირთვული სახელმწიფოების „ჩიხში მომწყვდევის“ დაპირება სასაცილოა, თუმცა გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმირების აუცილებლობა ნამდვილად მომწიფებულია: ახლა მსოფლიო საერთოდ არ ჰგავს იმას, 1945 წელს რომ იყო. დღეს მთავარი პრობლემა არის ის, რომ მსოფლიო წესრიგი ღრმა ტრანსფორმაციის პროცესშია და საჭირო არ არის (და მართლაც შეუძლებელია) სწრაფად ცვალებადი სურათის დახატვა. აუცილებელია მომავლის ფორმულაზე შეთანხმება — იმაზე, რაც მრავალი ათწლეულის განმავლობაში იმუშავებს. **გაეროს უშიშროების საბჭოს შემადგენლობაზე მუშაობა არ არის მხოლოდ გლობალური ცვლილებების შედეგი — ის ხდება ახალი მსოფლიო წესრიგის მშენებლობის სამუშაოს ნაწილი, მსოფლიო სახელმწიფოებისა და ცივილიზაციების ინტერესთა და ძალთა ახალი ბალანსის პოვნაში.** გასაკვირი არ არის, რომ **სერგეი ლავროვმა** არსებითად მხარი დაუჭირა **ერდოღანს,** მნიშვნელოვანი დათქმით — და არა მხოლოდ იმის შესახებ, რომ „ხუთეულს“ ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მსოფლიოში არსებულ მდგომარეობაზე“.

„აუცილებელია გაეროსა და უშიშროების საბჭოს ადაპტაცია ახალ რეალიებთან. მსოფლიოში აღარ არის 50 ქვეყანა, როგორც ეს იყო ორგანიზაციის შექმნისას, და არც 70, როგორც ეს იყო გაეროს უშიშროების საბჭოს 12-დან 15 წევრამდე გაფართოებისას; გაცილებით მეტია — 193 წევრი. განვითარებადი ქვეყნები სამართლიანად მოითხოვენ, რომ მათი წარმომადგენლობა გაეროს მთავარ ორგანოში გაიზარდოს. თუ გადავხედავთ უშიშროების საბჭოს შემადგენლობას, ახლა დასავლეთს 15 წევრიდან ექვსი მაინც ჰყავს. როდესაც იაპონია ირჩევა უშიშროების საბჭოში აზიიდან, ეს არის მეშვიდე ხმა დასავლური პოლიტიკის ყულაბაში, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს ძალისხმევით ემატება. დასავლეთს აღარ სჭირდება ამ ორგანოში ადგილების დამატება, ხოლო აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებადი ქვეყნები აუცილებლად უნდა დაემატონ“.

მართლაც, ახლა **„უშიშროების საბჭოს თხუთმეტი წევრიდან დასავლეთი წარმოდგენილია ექვსით (სამ მუდმივ წევრს პლუს სამი ევროპიდან). იმის გათვალისწინებით, რომ იაპონიას ყველაზე ხშირად ირჩევენ უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრად, გამოდის, რომ ატლანტისტები (წყნარ ოკეანეში მდებარეობის მიუხედავად, იაპონია უდავოდ მათი გავლენის სფეროშია) აკონტროლებენ ადგილების თითქმის ნახევარს მსოფლიო მთავრობაში“.** შეესაბამება თუ არა ეს ძალთა გლობალურ ბალანსს და სახელმწიფოთა უმეტესობის თვალსაზრისს სამართლიანი წარმომადგენლობის შესახებ? — არა. ეს უფსკრული კი ყოველწლიურად უფრო ფართოვდება. მიუხედავად იმისა, რომ, უკვე ოცი წელია, უშიშროების საბჭოს წევრობის გაფართოებაზე საუბრობენ, სწორედ 2020-იან წლებში ეს გარდაუვალი ჩანდა — საკითხი მომწიფებულია და გადამწიფებულიც, მაგრამ, ამასთანავე, საჭიროა, დაუყოვნებლივ განისაზღვროს ერთი პრინციპული საკითხი — **საუბარი არ არის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების რაოდენობის გაფართოებაზე ვეტოს უფლებით, რადგან „დიდი ხუთეულის“ შემადგენლობა ჩამოყალიბდა მიზეზთა გამო — ეს ის დიდი ძალებია, რომლებმაც გაერო შექმნეს.** გასაგებია, რომ მათ შორის საფრანგეთი შემთხვევით მოხვდა; გასაგებია, რომ სამი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში სხვა დიდი სახელმწიფოებიც გაჩნდნენ, მაგრამ „ხუთეულიდან“ არც ერთი ნებაყოფლობით არ დათმობს ვეტოს უფლებას, ისევე, როგორც არ მოისურვებს სხვა ქვეყნებისთვის იმავე უფლების მინიჭებას (აქაც ხომ ხუთივეს თანხმობაა საჭირო), ხოლო მათი იძულება, იმავე გაეროს წესდების მიხედვით, შეუძლებელია. რა თქმა უნდა, მომავალში უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლების მქონე სხვა სახელმწიფოებიც (ან გაერთიანებები) გამოჩნდებიან, მაგრამ ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი, შეიქმნება საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა. სწორედ ამ გზაზეა საჭირო უშიშროების საბჭოს რეფორმა, რომელიც მის შემადგენლობას გააფართოებს, და არა ვეტოს უფლების მქონე ქვეყნების სიის შეცვლა.

**გაფართოებას აქვს ორი შემადგენელი: უშიშროების საბჭოს ახალი მუდმივი წევრების ჩართვა და მისი საერთო შემადგენლობის გაფართოება. მეორე პუნქტი უფრო ადვილია — 15-დან 24-მდე ან 25 წევრამდე გაზრდა, ამასთანავე, რეგიონული კვოტების გადახედვა. ლავროვი საუბრობს სამხრეთისა და აღმოსავლეთისთვის დამატებაზე, რომ დღეს აზიას, აფრიკასა და ლათინურ ამერიკას უშიშროების საბჭოში რვა ადგილი აქვს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ერთ-ერთი მათგანი (აზიიდან) ძალიან ხშირად ერგება „დასავლურ“ იაპონიას, გამოდის შვიდი — ე.წ. მესამე ქვეყნების წილიდან, დასავლეთის შვიდი ადგილის საპირწონედ (მე-15 ევრაზიული რუსეთია).** საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ გეოპოლიტიკის სიმძიმის ცენტრი აზიაში გადაინაცვლებს, ხოლო მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, მარტო აფრიკა, უკვე დიდი ხანია, აღემატება დასავლურ „ოქროს მილიარდს“. საქმე ის არის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ცივილიზაციები არ არიან წარმოდგენილნი გაეროში.

არ არსებობს მილიარდნახევრიანი ისლამური სამყარო და ასეთივე ინდოეთი, ანუ ცალკეული მუსლიმანური ქვეყნები, როგორც ინდოეთი, შეიძლება აირჩიონ არამუდმივ წევრებად. რეგიონული კვოტებისა და უშიშროების საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის გადიდება პრობლემას ვერ გადაჭრის, საჭიროა ახალი მუდმივი წევრები და სწორედ აქ იწყება ყველაზე დიდი პრობლემა.

**ვინ უნდა წარმოადგენდეს აფრიკას და ვინ — ლათინურ ამერიკას? ვინ იქნება მუსლიმანებისგან? როგორ იქნებიან წარმოდგენილნი არაბები?** თითქმის ორი ათეული წელია, არსებობს „ოთხთა ჯგუფი“ ინდოეთის, გერმანიის, ბრაზილიისა და იაპონიის შემადგენლობით, ქვეყნებისა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ უშიშროების საბჭოში მუდმივ ადგილებზე. **მათ პირობა დადეს, რომ ერთმანეთს მხარს დაუჭერენ ამ ბრძოლაში,** მაგრამ თითოეული მათგანის წინააღმდეგ ყალიბდება კოალიცია: **მექსიკასა და არგენტინას არ სურთ ბრაზილიის ხილვა ლათინური ამერიკის წარმომადგენლად (ისინი თავად აცხადებენ პრეტენზიას ამ ადგილზე), ინდოეთი არ მოსწონთ პაკისტანელებს (რომელთა უკანაც ისლამური სამყარო დგას), იაპონია მიუღებელია ჩინეთისა და რუსეთისთვის. ამასთანავე, ის, ისევე როგორც გერმანია, დამნაშავე იყო მეორე მსოფლიო ომში,** გაერო კი შეიქმნა მათ მიერ, ვინც ეს ქვეყნები დაამარცხა. დიახ, 75 წელი გავიდა, დიახ, ახლა იაპონია და გერმანია გაეროს ბიუჯეტის მთავარ კონტრიბუტორებს შორის არიან, მაგრამ რატომ უნდა მიენიჭოთ მათ მუდმივი წევრობა? Gგერმანია, საერთოდ, თავის მომავალს ევროკავშირის წევრობაში ხედავს — მაშინ ეგებ უკეთესი იყოს, ევროკავშირს მიენიჭოს მუდმივი ადგილი უშიშროების საბჭოში, თანაც საფრანგეთის ხარჯზე — ისიც ხომ „ერთიანი ევროპის“ ნაწილია?

საზოგადოდ, **როგორც კი საქმე შეეხება გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი მუდმივი წევრების კანდიდატთა კონკრეტულ სიას, ყველაფერი მუხრუჭდება. ახლა საუკეთესო შანსი ინდოეთს აქვს, მაგრამ მხოლოდ მისი გულისთვის არავინ წამოიწყებს ასეთ რთულ ოპერაციას, ხოლო იმაზე კამათი, აფრიკას ნიგერია უნდა წარმოადგენდეს თუ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ვინ იქნება არაბების წარმომადგენელი — საუდის არაბეთი თუ ეგვიპტე, რატომ დაივიწყეს ინდონეზია და სად არის თურქეთი, დაუსრულებლად შეიძლება.** ამასთანავე, უშიშროების საბჭოს წარმომადგენლობის გაზრდის უფრო სწორი ვარიანტია მისი შევსება რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანებებით, იმ ორგანიზაციებით, რომლებსაც უფრო და უფრო ემატებათ წონა მსოფლიოს თვალში.

**აფრიკის კავშირი, არაბული ქვეყნების ლიგა, ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების თანამეგობრობა, ASEAN (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია) — ეს ორგანიზაციები მუდმივად უნდა იყოს წარმოდგენილი გაეროს უშიშროების საბჭოში. ამ ალიანსების ყველა სირთულისა და არასრულყოფილების მიუხედავად, მომავალი მათ ეკუთვნის. ისინი უდავოდ გაძლიერდებიან და ნებისმიერ შემთხვევაში უკვე შეუძლიათ, ერთდროულად წარმოადგინონ რამდენიმე მსოფლიო ცივილიზაციის ინტერესები.** მათ უნდა დაემატოს ინდოეთი (რომელიც თავისთავად სახელმწიფო-ცივილიზაციაა) და თუნდაც ევროკავშირი (ანუ, არსობრივად, გერმანია), რადგან ამ შემთხვევაში დასავლეთის სასარგებლოდ მიკერძოებას ადგილი არ ექნება.

მნიშვნელოვანია, რომ ასეთი რეფორმა სწრაფად განხორციელდეს. ასეთ უშიშროების საბჭოში სამხრეთი უკეთ იქნება წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ვეტოს უფლება უწინდებურად ჩრდილოეთის სახელმწიფოებს დარჩება, ახალი შემადგენლობა უფრო ახლოს იქნება რეალობასთან, ვიდრე ახლაა, ამიტომ ძალთა და ინტერესების ახალი ბალანსის შემდგომი ძიება, მომავალი მსოფლიო წესრიგის რუკაზე მუშაობა შეიძლება განხორციელდეს მართალც წარმომადგენლობითი შემადგენლობით და სამართლიანადაც. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი მომავლის პროექტის ლეგიტიმურობისთვის.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნინო ბერიძემ**


გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა

**როგორც კი საქმე გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი მუდმივი წევრების კანდიდატთა კონკრეტულ სიას შეეხება, ყველაფერი მუხრუჭდება. ახლა საუკეთესო შანსი ინდოეთს აქვს, მაგრამ მხოლოდ მისი გულისთვის არავინ წამოიწყებს ასეთ რთულ ოპერაციას, ხოლო იმაზე კამათი, აფრიკას ნიგერია უნდა წარმოადგენდეს თუ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ვინ იქნება არაბების წარმომადგენელი — საუდის არაბეთი თუ ეგვიპტე, რატომ დაივიწყეს ინდონეზია და სად არის თურქეთი, დაუსრულებლად შეიძლება**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა ძალა უნდა ჰქონდეს სიცრუესო, — იტყვის, ალბათ, ბევრი ჩვენგანი, მაგრამ დიდი ძალა ჰქონია და ეს არჩევნების პირველ ტურშივე გახდა ნათელი — ნაციონალებმა მათთვის ნაცადი იარაღი „ხალხის დასაბოლებლად“ ამჯერადაც წარმატებით გამოიყენეს.

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

**რამდენიმე დღეში, 30 ოქტომბერს საქართველოს 20 ქალაქში თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური გაიმართება, მათგან 17-ში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები. მანამდე კი იფრქვევა ათასი ტყუილ-მართალი, არ წყდება ერთმანეთის გაკიცხვა, ლანძღვა, ლაფში ამოსვრა. არადა, ერის მამას თუ დავუჯერებთ, „გაკიცხვა წუნის დადების საზღვარს არ უნდა გადასცილდეს. წუნის დადება და ლანძღვა-თრევა, შორის-შორია, შუა დიდი მანძილი უდევთ. განა ცუდს – ცუდი, ავს – ავი არ დაერქმის ადამიანის ღირსების შეულახებლად, ადამიანის გაულანძღველად, თავლაფ-დაუსხმელად? ამ შემთხვევაში ავის მომქმედი არ უნდა გააბოროტო ლანძღვითა და თრევითა, იმიტომ, რომ გაბოროტება, ვით ძლიერ თავდაუჭერელი ვნებათა-ღელვა, გულის-ყურის კარს დაუხშობს და იმ ზნეობით ძალს, რომელსაც ნამუსს ეძახიან და რომელიც ჭეშმარიტი გამკითხავია და მწურთვნელი კაცისა, ხმას აღარ ამოაღებინებს. ავის საქციელის მდევნელი ზრდილობიანი, მართებული გონება-გახსნილი პატიოსანი კაცი რისთვის აღიძვრის ხოლმე დევნად? იმისთვის ხომ არა, რომ ზოგიერთებსავით სიხარულით ქუდი ჭერსა ჰკარს, ჩემს მოძმეს ძლივს ცუდი ვუპოვნეო და ძლივს ჩემს ლანძღვით სავსე გუდას პირს მოვუხსნიო, არამედ იმისთვის, რომ ან ავის მომქმედს ავი მოაშლევინოს, ან ავზედ სხვას აუხილოს თვალი“.**

## «ვინ უნდა უპატრონოს ტფილისს ამ ოთხს წელიწადს და ვინ უნდა იზრუნოს და ისაქმოს ადამიანურის გულისტკივილითა და გულმოდგინებით ჩვენის კეთილდღეობისათვის?»



**«ეს სახუმარი საქმე არ არის. ერთი გულმრუდობით აქედ თუ იქით წასული კენჭი შემძლებელია იმისთანა კაცები დასვას საბჭოში, რომ მერე თქვენი მშობელი ქალაქი, თქვენ თვითონ, თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლ-შვილი თავსა და პირს იხოკდეს, — ეს რა ღმერთი გაგვიწყრა, როგორ ამოვირჩიეთ ეს ჩვენი წამწყმედელნი და დამღუპავნიო?»**




**«იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ — ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა»**

რა ძალა უნდა ჰქონდეს სიცრუესო, — იტყვის, ალბათ, ბევრი ჩვენგანი, მაგრამ დიდი ძალა ჰქონია და ეს არჩევნების პირველ ტურშივე გახდა ნათელი — ნაციონალებმა მათთვის ნაცადი იარაღი „ხალხის დასაბოლებლად“ ამჯერადაც წარმატებით გამოიყენეს.

საინტერესოა დიდი ილია ჭავჭავაძე რას ამბობს სიცრუის ძალაზე: „აუღია ურცხვად თავი და ქურდულად იკბინება გესლიან მორიელსავით და რომელიც ასე საზიზღარია და სამართლიანად დევნული ყოველ პატიოსან კაცისაგან“. სწორედ ეს სიცრუე დღეს „კრუხადა ზის და სჩეკს ტყუილების წიწილებს“ და გამოჰყავს თავყრილობებზე. იგი „სწამლავს და ჰშხამავს ადამიანს“, მაგრამ, საბედნიეროდ, „სიცრუის მთქმელს უფრო სთხრის და აუწმინდურებს, ვიდრე სხვას“.

ამიტომ განკითხვის დღეს, როგორც დიდი ილია უწოდებს არჩევნების დღეს, **„მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინიდისი არ გეუბნებათ“ და კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით ილიას წერილს „საგაზეთო შენიშვნები თფილისის ქალაქის გამგეობის მიმდინარე საქმეებზე“, რომელიც, იმედია, კარგ სამსახურს გაუწევს თითოეულ გულმართალ ადამიანს გადაწყვეტილების მიღებაში:**

„ხვალ, 18 მაისს, განკითხვის დღეა. განკითხვის დღეა იმისი თუ, — ვინ უნდა მოუაროს, **ვინ უნდა უპატრონოს ტფილისს ამ ოთხს წელიწადს და ვინ უნდა იზრუნოს და ისაქმოს ადამიანურის გულისტკივილითა და გულმოდგინებით ჩვენის კეთილდღეობისათვის, ჩვენის ავკარგიანობისათვის**.

აქამდე თუ ხმოსნების ამორჩევას საბჭოსათვის ყურს არ ვათხოვებდით და გულგრილად ვეკიდებოდით, დიდი შეცოდება იყო ჩვენ მიერ ტფილისისა და მისთა მკვიდრთა წინაშე. ეხლა სულ სხვა დროა. ტფილისი ჩვენი მშობელი ქალაქია, ყველანი, ვინც აქა ვშობილვართ, აქა ვცხოვრობთ, აქა ვტრიალებთ, — რა მილეთისაც გინდ იყოს კაცი, — მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გავუწიოთ ერთნაირის გულისცემითა, ერთნაირის ნატვრითა, რომ ჩვენი დედაქალაქი გამოკეთდეს, გამოფაქიზდეს, მოჯობინდეს, მოჯამრთელდეს. ღმერთმა არა დაიშურა რა ჩვენის დედაქალაქისათვის. ჰაერი, წყალი, ადგილი — ყველაფერი, რითაც ბუნება მოსაწონებლად ჰქმნის ადამიანის საცხოვრებელს, იმოდენად კარგი გვაქვს, რომ ბევრი უცხოელი შემოგვნატრის. თუ რამ ცუდია აქ, და ბევრი რამაც არის ცუდი, სულ იმისი ბრალია, რომ დედაქალაქს შვილობას არ ვუწევთ, გულდადებით არ ვექცევით, სიყვარულით, სიყვარულით არ ვპატრონობთ.

კანონმა ნება მოგვცა, ჩვენს დედაქალაქს ჩვენვე მოვუაროთ, ჩვენვე ვუპატრონოთ ამ მხრით. ჩვენც საკმაო ხარჯს ვიხდით, რომ ეს პატრონობა, ეს მოვლა ყინულზე დაწერილი თამასუქი არ იყოს, ხარჯიც ტყუილუბრალოდ არ იქსაქსებოდეს, საქმე ჩვენდა საკეთილოდ კეთდებოდეს და კეთილი დღედადღე ემატებოდეს ჩვენს მშობელს ქალაქსა.

ყველამ ერთად რომ პატრონობა და მოვლა მოვინდომოთ, შეუძლებელია. კანონმა ეს კარგად იცოდა და დაგვიწესა უკეთესნი კაცნი რიცხვით ოთხმოცი ამოირჩიეთ თქვენ შორის და იმათ მიანდეთ ეგ პატრონობა და მოვლაო. და აი ხვალ ამისი განკითხვაა. რომ ჩაუფიქრდეთ, თქვენვე იტყვით ჩვენთან ერთად, რომ **ეს სახუმარი საქმე არ არის. ერთი გულმრუდობით აქედ თუ იქით წასული კენჭი შემძლებელია იმისთანა კაცები დასვას საბჭოში, რომ მერე თქვენი მშობელი ქალაქი, თქვენ თვითონ, თქვენი ოჯახი, თქვენი ცოლ-შვილი თავსა და პირს იხოკდეს, — ეს რა ღმერთი გაგვიწყრა, როგორ ამოვირჩიეთ ეს ჩვენი წამწყმედელნი და დამღუპავნიო? იცოდეთ, დიდი ცოდვა-მადლი თანა სდევს არჩევანსა და ვიდრე ხელი კენჭის ჩასაგდებად დაიძროდეს, თქვენს ნამუსს, თქვენს სინდისს, თქვენს გულს, თქვენს ჭკუას რამდენჯერმე დაეკითხეთ — ვინ არის ღირსეული და ვინ არა, განურჩევლად დიდისა და პატარისა.**

იცოდეთ, თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც თქვენი სიკეთე, თქვენი სიყვარული, თქვენთვის გულშემატკივრობა სულელობად არ მიაჩნია.

თქვენ გინდათ კაცი, რომელსაც უნდა ებრალებოდეს თქვენი თავი, თქვენი ცოლ-შვილი და თქვენის ოფლით მონაგარს ფულს, ხარჯად თქვენს მიერ გაცემულს, თქვენს კეთილად ცხოვრებას, თქვენს მშვიდობით და უშიშრად ყოფნას ახმარებდეს, რამოდენადაც ყოველივე ეს შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ მდიდარს განგებ არ აკლებდეს ქალაქის ხარჯსა და ხმაამოუღებელს შეუძლებელს განგებვე არ უმატებდეს, და რაც მდიდარს დააკლეს, ღარიბს არ ახდევინონ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენი მიყრუებული უბნები ტალახისა და ტყლაპოებისაგან არა ჰყარდეს და მარტო მდიდართა ქუჩები არა ჰლაპლაპებდეს სიფაქიზითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ხორაგი, საჭმელ-სასმელი, ქალაქის ბაზარში კარგი და საღი იყოს და თქვენ არ გახდენდნენ, არ გაფუჭებდნენ და ამ მხრით უშიშარ იყვნეთ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ პურს, ღვინოს, საჭმელ-სასმელს ჩარჩები თუ სხვა ვინმე განგებ მამასისხლად არა ჰხდიდნენ და ამით თქვენ და თქვენს ცოლ-შვილს არ უძვირებდნენ საჭირო საზრდოს და საკვებსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ქალაქის მოხელეებს ხელსა და კალთას არ აფარებდნენ, როცა იგინი არ ვარგანან და ტყუილუბრალოდ სჭამენ თქვენის ოფლით მონაგარს ფულსა ჯამაგირების სახითა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ ბუნებითად კეთილი ჰაერი თქვენის დედაქალაქისა არ იშხამებოდეს უწმინდურების სიყრალითა და არა გშხამვიდეს თქვენ, თქვენს ოჯახს, თქვენს წვრილშვილსა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ წყალი უვნებელი და მოუწყვეტელი გქონდეთ და ამასთანაც, რაც შეიძლება იეფი.

თქვენ გინდათ კაცი, რომ რაკი ხორაგს თუ სასმელს ბაზარში ჰყიდულობთ, დახათრიჯამებული იყვნეთ, რომ წამხდარს და მოწამლულს არ შემოგაპარებენ.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თქვენს წვრილშვილებს სწავლა-განათლების გზა და სახსარი მისცეს, გული კეთილს შეუჩვიოს, ჭკუა სჯასა და მოსაზრებასა, რამდენადაც შესაძლოა.

თქვენ გინდათ კაცი, რომ თითმის ორ მილიონამდე ყოველწლივ შემოსავალი ქალაქისა, თქვენგანვე ხარჯად აღებული, თქვენვე და თქვენს ქალაქს საერთოდ ჰხმარდებოდეს გამოზოგვითა და ცოდნითა და არა აქეთ-იქით იქსაქსებოდეს გულდაუდებლობით და უთავდარიგობითა.

ერთის სიტყვით, ბევრი სხვაც არის, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ესეც საკმაოა, თუ ღმერთმა გვაგონა, და ამაებს მაინც ხვალ შესაფერი კაცები ამოვურჩიეთ.

ამიტომა ვთქვით ზევით, რომ **ხვალინდელი დღე სახუმარი დღე არ არის. სიმძიმე და სიდიდე იმ მოვალეობისა, რომელსაც ხვალ კისრად ვღებულობთ და ასე თუ ისე ავასრულებთ, წინ უნდა წაიმძღვაროს ყველამ და ისე მივიდეს კენჭის მისაცემად. აქ ვინც უმტყუვნებს და უღალატებს იმას, რასაც სინიდისი, ნამუსი, კაცური კაცობა ამხელს, იგი უმტყუვნებს, იგი უღალატებს თავისს თავს, თავისის ცოლ-შვილის, ოჯახის ბედნიერებას და კეთილდღეობას.**

ვისაც ხელი მიგიწვდებათ, ყველანი უნდა მიხვიდეთ არჩევანზე და თქვენი მოქალაქური, კაცადკაცური მოვალეობა გადაუხადოთ თქვენს მშობელს ქალაქსა.

იცოდეთ, რომ ვისაც ხვალ ჩააბარებთ საბჭოში ხმოსნობას, იმას აბარებთ მთელის ოთხის წლის თქვენს საერთო სვე-ბედსა, თქვენის ოჯახობის საერთო კეთილსა და ბოროტსა. ოთხი წელიწადი ბევრის რისამეა შემძლებელი, ავიც შეიძლება ბევრი მოგვაყენოს კარს და კარგიც.

გულს ნუ გაიმრუდებთ, სულს ნუ წაიწყმედავთ! იცოდეთ, ეს დიდი საქმე თქვენს ნამუსს, თქვენს სინიდისს, თქვენს პატიოსნებას აბარია. ახსენეთ ღმერთი, და ღვთისა და მართლის სახელით, შეუდექით არჩევანის დიდს საქმეს და **მარჯვენას თქვენსას ის არ აქმნევინოთ, რასაც გული და სინიდისი არ გეუბნებათ“** (ტფილისი, 16 მაისი. 1897 წ.).

წმინდანი საკუთარი ხელით ამუშავებდა ვენახს და მოსავლის
უმეტეს ნაწილს ღარიბებს ურიგებდა. იმ მხარეში ძალიან ხშირია
გვალვები და სეტყვა, რომელიც ხშირად თითქმის მთელ მოსავალს
ანადგურებდა. წმიდა იოსების იქ მოღვაწეობის დროს „არცა
მოლების წვიმა ვენახთა და არცა მისრულ არს სეტყვა მავნებელი“.
იგი ლოცვით კურნავდა ავადმყოფებს და ბრმებს თვალთა
სინათლეს ანიჭებდა. ამის გამო იქაურებს ძალიან უყვარდათ.

სჯულიერება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წმიდა იოსებ I

## ღვთისგან სასწაულთქმედების ნიჭით მომადლებული კათოლიკოს-პატრიარქი

**კათოლიკოს-პატრიარქი იოსებ I საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანია. მისი ხსენების დღე ახალი სტილით 30 ოქტომბერია.**

წმიდა იოსებ კათოლიკოს-პატრიარქი (ჯანდიერიშვილი) მოღვაწეობდა დოდოს მონასტერში. „მრავალთა მისთა სათნოებათათვის“ იგი მღვდელმთავრად იქნა დადგენილი რუსთავის კათედრაზე.

წმიდა იოსებს სასწაულთქმედების ნიჭი ჰქონია მიმადლებული ღვთისგან. ერთხელ მისი დიაკონი მუცლის სიმსივნით დაავადდა. ავადმყოფობა ისე გაურთულდა, რომ სიკვდილი გარდაუვალი იყო. როდესაც მღვდელმთავარი სნეულთან შევიდა, ავადმყოფი ვეღარც სუნთქავდა და აღარც ლაპარაკი შეეძლო. **წმიდა იოსებმა „იხილა სენი და შეელმა გულსა მის ლმობიერსა“, დაუტევა სნეული და სამლოცველოში განმარტოვდა ლოცვად. მხურვალე ლოცვის შემდეგ ის ავადმყოფთან დაბრუნდა და, რადგან კაცთაგან განდიდებას ერიდებოდა, ჩვეულებრივად თქვა, რომ ასეთი სნეულების დროს წამლად თხილის ჯოხის ნახშირის მიღება იყო საჭირო. ცეცხლში შეაგდო თავისი თხილის ჯოხიდან გამოთლილი კვერთხი, წყალში გალესა, ჯვარი გადასახა და სნეულს დაალევინა. სიმსივნე იმ წუთსვე დაუცხრა, მესამე დღეს კი ავადმყოფი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა.** ასეთი სიმდაბლითა და სასწაულთქმედებით გამორჩეული მღვდელმთავარი 1755 წელს კათოლიკოსად აირჩიეს ანტონ I-ის მაგივრად.

წმიდა იოსები, კათოლიკოსობის ტვირთისა და პატივის მიუხედავად, მაინც უდიდეს ასკეტ ბერად რჩებოდა: „მამამთავრობასა შინა რაოდენ დაუგებდნენ ცხედარსა, ნიშანსა დასდებინ იდუმალ და იხილონ ხვალისად, რომელ ყოვლადვე არა დაწოლილ იყვის ცხედარსა, არამედ ღამე ყოველ ილოცვის მარტოებით ლმობიერად“. **მან, როგორც იოანე ბატონიშვილი წერს, „კეთილად დამწყსო ეკლესია თვისი და მერმე დაუტევა საყდარი თვისი“.**

1764 წელს წმიდა იოსებ კათოლიკოსმა, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის მსგავსად, ეკლესიის მშვიდობისათვის სიმდაბლით დაუტევა კათოლიკოსის ტახტი, ახმეტაში წავიდა და „ცხოვრობდა ჭეშმარიტისა მონაზონებითა“. **წმინდანი საკუთარი ხელით ამუშავებდა ვენახს და მოსავლის უმეტეს ნაწილს ღარიბებს ურიგებდა. იმ მხარეში ძალიან ხშირია გვალვები და სეტყვა, რომელიც ხშირად თითქმის მთელ მოსავალს ანადგურებდა. წმიდა იოსების იქ მოღვაწეობის დროს „არცა მოლების წვიმა ვენახთა და არცა მისრულ არს სეტყვა მავნებელი“. იგი ლოცვით კურნავდა ავადმყოფებს და ბრმებს თვალთა სინათლეს ანიჭებდა, რის გამოც იქაურებს ძალიან უყვარდათ.**

წმიდა გაბრიელი მცირე სიხარულით წერს, რომ მან „ერთგზის იხილა“ და „ორგზის ამბორს უყო ხელსა მას წმიდასა“.

1770 წელს წმინდანმა „ესრეთ სიწმიდით მოხუცებულმან სული თვისი შეჰვედრა ღმერთსა“.

**მომზადდა წიგნიდან „ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი“, თბილისი, 2004 წ.**



წმიდა იოსებმა დაუტევა სნეული და სამლოცველოში განმარტოვდა ლოცვად. მხურვალე
ლოცვის შემდეგ ის ავადმყოფთან დაბრუნდა და, რადგან კაცთაგან განდიდებას
ერიდებოდა, ჩვეულებრივად თქვა, რომ ასეთი სნეულების დროს წამლად თხილის ჯოხის
ნახშირის მიღება იყო საჭირო. ცეცხლში შეაგდო თავისი თხილის ჯოხიდან გამოთლილი
კვერთხი, წყალში გალესა, ჯვარი გადასახა და სნეულს დაალევინა. სიმსივნე
იმ წუთსვე დაუცხრა, მესამე დღეს კი ავადმყოფი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა

# წმიდა ოსე წინასწარმეტყველი








**წინასწარმეტყველი ოსე მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანია, რომლის ხსენების დრედ ასევე დაწესებულია 30 ოქტომბერი.**

წინასწარმეტყველი ოსე ქრისტეს შობამდე IX საუკუნეში ისრაელის სამეფოში ცხოვრობდა და წმიდა წინასწარმეტყველთა: ესაიას, მიქიასა და ამოსის თანამედროვე იყო. იმ დროისთვის მრავალ მის თანატომელს ზურგი ექცია ჭეშმარიტი ღვთისთვის და კერპებს სცემდა თაყვანს. წმიდა წინასწარმეტყველი თავისი ბრძნული შეგონებებით კეთილმსახურებისკენ მოუწოდებდა გზაშეცდომილებს.

მან იწინასწარმეტყველა ასურეთის ტყვეობაში ებრაელების გადასახლების შესახებაც. **მაცხოვრის განკაცებამდე თითქმის ათასი წლით ადრე წმიდა ოსემ სულიწმიდის მადლით განჭვრიტა, რომ შეწყდებოდა ძველი აღთქმის მსხვერპლშეწირვა და ჭეშმარიტი ღვთის შემეცნება მთელ სამყაროში გავრცელდებოდა (ოსე; 2,20). ოსემ იწინასწარმეტყველა მაცხოვრის ეგვიპტიდან დაბრუნება (ოსე; 11,1), მესამე დღეს მკვდრეთით აღდგომა (ოსე; 6) და სიკვდილის დათრგუნვა (ოსე; 13,14). წმიდანის წინასწარმეტყველებანი ძველი აღთქმის წიგნებშია ჩართული.**

ნეტარი ოსეს საწინასწარმეტყველო მსახურება სამოც წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. მან ღრმა მოხუცებულობაში შეჰვედრა სული უფალს.

**მომზადდა წიგნიდან „წმიდანთა ცხოვრება“, ტომი IV, თბილისი, 2003 წ.**

მაცხოვრის განკაცებამდე თითქმის
ათასი წლით ადრე წმიდა ოსემ
სულიწმიდის მადლით განჭვრიტა,
რომ შეწყდებოდა ძველი აღთქმის
მსხვერპლშეწირვა და ჭეშმარიტი
ღვთის შემეცნება მთელ
სამყაროში გავრცელდებოდა

ოსემ იწინასწარმეტყველა მაცხოვრის ეგვიპტიდან
დაბრუნება (ოსე; 11,1), მესამე დღეს მკვდრეთით აღდგომა
(ოსე; 6) და სიკვდილის დათრგუნვა (ოსე; 13,14). წმინდანის
წინასწარმეტყველებანი ძველი აღთქმის წიგნებშია ჩართული

თანადგომა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ყველაზე უკეთ იცოდა, რა შავ ძალას დაუპირისპირდა. საკრალურ განზომილებაში ადამიანის ერთგვარ გადასვლას ჰგავდა მისი საპროტესტო დემარში — ცოტნე დადიანობის ვარიაციას XXI საუკუნეში.**

# «და აჰა ესერა, ხვალისა დღე იყო...»

## ნამდვილი ამბავი მოლანდებებით

— ბატონო ნიკა!

— ნიკა ექიმი დამიძახეთ...

ასე დაიწყო ჩვენი საუბარი ნიკა ქურიძესთან, აკადემიკოს გულიკო ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიური ცენტრის ექიმთან, მედიცინის დოქტორთან, კარდიოლოგთან, ელექტროფიზიოლოგთან, რომელმაც ორი თვის წინათ გულის სტიმულატორი ჩამინერგა.

სასიკვდილოდ გადადებულ პაციენტს.

პულსი — 31, შენელების უეჭველი პერსპექტივით, დანარჩენი პარამეტრები — სიცოცხლესთან შეუთავსებელი.

ინტერვიუ ოპერაციიდან მეორე დღეს ჩამოვართვი. ან — მესამე დღეს.

სასწაული, თუ გნებავთ, ესაა!

დანარჩენს ამ პუბლიკაციის ბოლოსკენ მოგიყვებით, თუ, რა თქმა უნდა, გეყოფათ მოთმინება და საკუთარ ძვირფას დროს ამ წერილის წაკითხვაზე გაფლანგავთ.



ნიკა ქურიძე, მანანა როსტიაშვილი, ბექა რუხაძე, ნათია ხინჩაგაშვილი ოპერაციის დამთავრებისთანავე

### ერობის ექიმობის კვალზე

**ლეგენდარული გულიკო ჩაფიძის სახელობის კლინიკა, რომელსაც ოფიციალურად ეწოდება ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის კლინიკა, სუპერპროფესიონალი კარდიოლოგების, სახელგანთქმული ექიმებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების უნიკალური შენადნობი რომ არის, საყოველთაოდ ცნობილია.**

ჩვენც დაგვიწერია. სხვებსაც ჰქონიათ საინტერესო პუბლიკაციები — რეპორტაჟები, სიუჟეტები. ახალ თაობებს ქალბატონ გულიკოსგან უსწავლიათ პროფესიის საიდუმლოებანი, მას გაუკვალავს ახალგაზრდებისთვის მოულოდნელობებით დანაღმულ ასპარეზზე უსაფრთხოდ სავალი მარშრუტები.

მასწავლებელთა მასწავლებელი!

დღეს შევეცდები „ციხის შიგნიდან გატეხვას“, ისეთ თემებზე საუბარს, რომელთა შესახებ მაინცდამაინც არ დავხარჯულვართ. თუნდაც, გაჭირვებული ხალხისთვის სრულიად უსასყიდლოდ დახმარების აღმოჩენის პრაქტიკას და ემსახურება ერობის ექიმობის კეთილშობილური პრინციპის აღორძინებასა და დამკვიდრებას.

რაინდები!

**კარდიოლოგი ბონდო მაკარაძე კლინიკაში რეგიონების ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელია.**

ლაპარაკობს ბატონი ბონდო:

— ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ვეტერანების სახელმწიფო დეპარტამენტთან, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე კარდიოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა ბრიგადა ყოველკვირეულად გადის რაიონებში ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების ადგილზე გასასინჯად და შესაბამისი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. კარდიოლოგიას ვგულისხმობ.

ვისაც დასჭირდა, ჩვენს კლინიკაში ჩავუტარეთ უფრო ღრმა და დეტალური გამოკვლევები.

5 წლის განმავლობაში 30 ათასამდე ვეტერანსა და მათ ოჯახებს დავეხმარეთ.

**— კლინიკის ხელმძღვანელობა თქვენს „სახალხო მოძრაობაში“ არის ჩართული?**

— სული და გულია ამ საქმის ბატონი **ავთო ჯორბენაძე, კარდიოლოგიის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; ბატონი რეზო ჯორბენაძე... ბატონი ავთო თვითონ არის ვეტარანი. ეს — ცნობისთვის.**

### ჩანართი თემაში: ღირსების რაინდი

თბილისში, მასობრივი გამოსვლების სისხლიანი დარბევის ავადსახსენებელი დღეებია: ზონდერები, აკუსტიკური იარაღი, რეზინის ტყვიები, წყლის ჭავლი, ცრემლსადენი გაზი და ა.შ. ყველა საშუალება დემონსტრანტების წინააღმდეგ არის ამოქმედებული.

რეზინის ხელკეტებით ნადირობენ ადამიანებზე დაგეშილი აფთრები.

ყვითელლაბადიანი დაქირავებული ზონდერების გაწვრთნილი ლეგიონი თავს დაესხმება ავთანდილ ჯორბენაძეს, რეზინის ხელკეტებს გამეტებით ურტყამენ — რიგრიგობით და ყველანი ერთად.

ნაბიჯს არ აუჩქარებს, მხოლოდ სახეზე აიფარებს ხელებს.

სრული იგნორირება ამ შავი ძალის, რაც არა მხოლოდ პერსონალური პროტესტის დემონსტრაცია იყო მაშინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ საერთო-სახალხო აღშფოთების გამოხატვის აქტიური ფორმა.

საქართველოს ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ყველაზე უკეთ იცოდა, რა შავ ძალას დაუპირისპირდა. საკრალურ განზომილებაში ადამიანის ერთგვარ გადასვლას ჰგავდა მისი საპროტესტო დემარში — ცოტნე დადიანობის ვარიაციას XXI საუკუნეში.

ამ ამბავს პირველად ვყვები. არც კი ვიცი, მქონდა თუ არა საჯაროდ გამოტანის უფლება ავთო ჯორბენაძესთან შეუთანხმებლად...

მეკითხა? უარს მეტყოდა. არ უყვარს თავის გამოჩენა, მით უფრო გმირის ამპლუაში. არც მაშინ ცდილობდა, პირველ პლანზე ყოფილიყო, როცა საქართველოს მთავრობას მეთაურობდა.

მაგრამ მოსახდენი უნდა მოხდეს.

**„მე გავიგონე, მთვარეში**
**როგორ ყიოდა მეტივე**
**— თბილისისაკენ დავეშვი,**
**ველარ კი შემოვეტიე“.**
(გოგლა)

ვერც მე შემოვეტეოდი ამგვარი ამბებით დატვირთული ჩემი ზარმაცი ტივით, მიუხედავად იმისა, რომ „თბილისს გაჰქონდა მცხეთამდე თავისი მხარგაშლილობა“. ცოტა უადგილოდ კი არის მოხმობილი გიორგი ლეონიძის ლექსის ეს წამლეკავი მასშტაბის სტრიქონი, მაგრამ ძალიან მომეწონა და ვერ შეველიე.

**ბონდო მაკარიძე კი მიყვება:**

— რაიონებში გასვლის იდეა რომ გაჩნდა, ლიცენზია ერთი კვირის მიღებული მქონდა. გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტში მორიგეობის დაწყებისთანავე ბატონი რეზო ჯორბენაძე ამომიდგა მხარში და მომცა საშუალება, შუახევის რაიონში განმეხორციელებინა ადგილობრივი მოსახლეობის დიაგნოსტიკა. ჩემს მშობლიურ მარათის ხეობაში. ეს იყო სასწაული საჩუქარი და დიდი სიკეთე ადგილობრივი მოსახლეობისთვის. სამასი კაცი გავსინჯეთ მაშინ — 2016 წლის 7 ივლისს. ასე დავიწყეთ და მას შემდეგ არ გავჩერებულვართ.

მაშინ დაიჯერეს ჩვენებურებმა, რომ ჩაფიძის კლინიკაში მკურნალობა ყველასთვის ხელმისაწვდომია.

ვუმკურნალეთ. ოპერაციები გავუკეთეთ (რაც ძვირი სიამოვნებაა) სრულიად უფასოდ... ფეხზე დავაყენეთ.

### „ნინოწმინდის ღამე“ რეანიმაციაში

„ერთხელ აფხაზეთშიც გათენდება საქართველო“, — ლექსის ეს სტრიქონი წარმოსცდა **მანანა როსტიაშვილს**, ინტენსიური თერაპიის ექთანს, რომელსაც ლექსების კოცონის დანთება შეძლებია თურმე ნინოწმინდის ღამეს საქართველოს ლექსის მეხანძრეთა კვალზე.

იუარა.

ლექსი კი არა, თავისი შრომითი ბიოგრაფიის ფრაგმენტები ძლივს ამოღერღა.

19 წელიწადია, ექთნად მუშაობს კლინიკაში. სამსახური არ გამოუცვლია, თუმცა არაერთხელ შესთავაზეს უკეთესი პირობები სხვაგან.

— თბილისის მესამე სამედიცინო ტექნიკუმი რომ დავამთავრე, პირდაპირ აქ მოვედი. ეს 5 წელიწადია, ინტენსიურის ექთანიც ვარ და რითმოლოგიისაც.

გავიგეთ, რომ გითხრათ მანანას (მანჩოს) პროფესიული მიხვეულ-მოხვეულების სპეციფიკა, მოგატყუებთ, მაგრამ დამსახურებული ავტორიტეტით რომ სარგებლობს, უეჭველია, რადგან ნიკა ექიმმა (რომელმაც გულის სტიმულატორი ჩამინერგა), ახლად ნაოპერაციები პაციენტი, ანუ ჩემი თავი სწორედ მას ჩააბარა.

## პანიკა, შინაგანი შფოთვა ოპერაციის თანმდევია: თითქოს მექანიკური სათამაშო ჩაგიდგეს გულის ნაცვლად, მომართეს, დაქოქეს და როდის გაჩერდება, ალაჰმა უწყის. აფორიაქდები, აბა, რა იქნება!

პანიკა, შინაგანი შფოთვა ოპერაციის თანმდევია: თითქოს მექანიკური სათამაშო ჩაგიდგეს გულის ნაცვლად, მომართეს, დაქოქეს და როდის გაჩერდება, ალაჰმა უწყის. აფორიაქდები, აბა, რა იქნება!

ამ დროს მანჩო შეუცვლელია.

— გამოჯანმრთელებულ პაციენტს რომ გავწერთ, ისეთ სიხარულს ვგრძნობთ, რომ ყველა დაძაბულობა გვეხსნება — მანჩო რითმოლოგიის ეპარტამენტის დედოფალია, — ჩამაწვეთეს.

— გულის რიტმი იგულისხმება, თუ პოეტური რითმა?

— ერთიც ეხერხება და მეორეც.

რამდენი ვეხვეწე, სტროფი ვერ დავაცდენინე:

— ბონდო იტყვის ჩემ მაგივრად! — იცინის.

ინტენსიური თერაპიის პაციენტებს ესმით, ბატონი ბონდო ჯერ ლადო ასათიანის „ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი“ რომ წაიკითხავს, შემდეგ მოაყოლებს „ერთხელ აფხაზეთშიც გათენდება საქართველო“, და სიცოცხლის ხალისი უბრუნდებათ.

და გაიხსენებს ბონო მაკარაძე, როგორ ჩამოიყვანა აფხაზეთიდან დევნილები, 150 საოპერაციო პაციენტი და როგორ შემოევლნენ მათ ქართველი ექიმები.

**ივანე ხოჭოლავა ინტენსიური თერაპიის განყოფილების ხელმძღვანელია.**

კლინიკაში მოღვაწეობის სტაჟი — 17 წელიწადი, განყოფილების გამგეობის — 4 წელიწადი.

— ამ კლინიკაში მუშაობა ერთგვარი თავგადასავალია. საინტერესოა ძალიან. ბევრი ადამიანი გადაგვირჩენია. ადრენალინიც არის, და მერე ველარ შეეშვები. ამ სივრცეში ყალიბდება ურთიერთობები პერსონალთან — კოლეგებთან, ექთნებთან, სანიტრებთან. ამდენ რაღაცას ერთად რომ გავივლით, ცალ-ცალკე არსებობა აღარ შეგვიძლია.

**— კოვიდის პანდემიამ დაგაბრკოლათ?**

— ყოველნაირად. ოჯახში, პროფესიულ საქმიანობაში ძალიან შეცვალა ყველაფერი. ადამიანს თავისუფლად ვერ ელაპარაკები: ეჭვი გეპარება — ინფიცირებული ხომ არ არის. კომუნიკაცია შეზღუდა, განსაკუთრებით — ექიმსა და პაციენტს შორის.

**— თქვენი პროფილის პაციენტების მომართვის დინამიკამ იკლო? იმატა? კოვიდმა ხომ არ გადაფარა?**

— თუ გადაფარვაში რაოდენობას გულისხმობთ, ძალიან იკლო. ძირითადი საზრუნავი ახლა კოვიდი გახდა, სხვა დანარჩენი — მეორეხარისხოვანია. პაციენტი, ძალიან თუ არ გაუჭირდა, არ მოდის პროფილაქტიკის ჩასატარებლად. მცირე ჩივილებით იშვიათად თუ ვინმე მოგვაკითხავს. სასწრაფოც კოვიდზეა ორიენტირებული.

ბევრი ვერ იღებს ადეკვატურ სამედიცინო დახმარებას, რომელიც სჭირდება და აუცილებელიც არის.

**— მაშასადამე, იცვლება ადამიანის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, ინტერესი უნელდება?**

— კოვიდმა ძალიან შეცვალა ყველაფერი, მათ შორის, პიროვნული აღქმაც.

**— როგორ უნდა ჩავაყენოთ კალაპოტში ნორმიდან ასეთი ამოვარდნა?**

**— ჯერ შიში უნდა დავძლიოთ. ადამიანი სოციალური ცხოველია. სოციალური ურთიერთობები თუ შეიზღუდება და მოისპობა, ევოლუციურად უკან წავალთ.**

**— მივდივართ?**

— მე მგონი, კი. არ გვაქვს უფლება, არ ვენდოთ მეცნიერებას, რომელიც თავის რეკომენდაციებს გვთავაზობს. მეცნიერებამ კაცობრიობა დღემდე მოიყვანა და ახლა რატომ უნდა განვუდგეთ?

ადამიანური რესურსი ამოწურვის კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება. გადატვირთულია სამუშაო გრაფიკი, შტატების შემცირება გვიწევს, ნაკლები რესურსით მუშაობა.

**მაგრამ დაძლიეს.**

**ფრონტის წინა ხაზზე დგანან ექიმები და ექთნები — პანდემიას შერკინებული პროფესიონალები. მათ შორისაა რეანიმაციის ექთანი როზეტა მსხილაძე, რომელიც აქ, 16 წელიწადია, მუშაობს ამ თანამდებობაზე: დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ შეამჩნიო პერსონალის ერთგულება ამ სამკურნალო დაწესებულებისადმი.**

**...რომელიღაც პაციენტი, ეტყობა, შეწუხდა და ქალბატონ როზეტასთან ინტერვიუ მოულოდნელად დამთავრდა. დაახლოებით ისე, ჩვენს ტელევიზიებში მიწვეულ სტუმრებს საუბარს შუა გზაზე რომ შეაწყვეტინებენ დიდი მადლობით: გმად-** ▶

# ადამიანი სუსტი არსებაა. თუ იგი არ ებრძვის ყოველდღიურ გამოწვევებს და ხვალინდელ დღეს ასპარეზს არ უსუფთავებს, კაცობრიობა ვერ განვითარდება ვერც ინდივიდის დონეზე, ვერც ქვეყნის დონეზე, ვერც მსოფლიოს მასშტაბით.

თანადგომა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



კარდიოლოგი მარი ბასილაშვილი



ივა ხოჭოლავა — კარდიოლოგი, გადაუდებელი დახმარებისა და ინტერვენციული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ექთანი მანანა როსტიაშვილი, ბონდო მაკარაძე და ექთანი ნათია ხინჩაგაშვილი

**◀ლობთ, გმადლობთ, მაგრამ ჩვენი დრო ამოიწურაო. ჩემი დროც ამოწურვაზე იყო. უკვე იმაზე ვფიქრობდი, ჭკვიანური რა უნდა მეთქვა უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ. ამ დროს პალატაში გამომეცხადა კარდიოლოგი მარი ბასილაშვილი, რომელიც ჩემს მკურნალ ექიმად გამეცნო. მასთან საუბრის შემდეგ დამიბრუნდა ასე თუ ისე ლოგიკური მსჯელობის უნარი. თითქოს განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, მაგრამ იმ ოჯახური სითბოთი, რომელსაც ასხივებდა, თანაგრძნობის გულწრფელობით და რამდენიმე პროფესიული რჩევით კალაპოტში ჩამაყენა. ამქვეყნად დამაბრუნა:**

**— გამარჯობა, ქალბატონო მარი!**

## როცა ექიმი საიქიოდან გამოგიყვანს

მახინჯი ქარონის ჯინაზე, რომელსაც ბერძნული მითოლოგიის მიხედვით თავისი ნავით მიცვალებულები მდინარე ლეთეზე საიქიოში გადაჰყავს.

ისლამში ეს ფუნქცია აზრაილს აკისრია.

**აზრაილი — დესპანი ალაჰისა — მიცვალებულებს გზას უკვალავს და ალაჰთან მიაცილებს. ეს აზრაილი (თუ ჯიბრაილი) ისეთი საშინელი შესახედაობისაა, რომ თვით სატანა შეშინდა მის დანახვაზე, ხოლო წინასწარმეტყველმა მუჰამედმა კინაღამ სული განუტევა.**

**ამ თემაზე საუბრით დავიწყე ინტერვიუ ნიკა ექიმთან, ქურიძესთან, რომელმაც სტიმულატორი ჩამიდგა, ერთი მინიშნების დამატებით:**

**— ამქვეყნად ვინ აბრუნებს, ვის გამოჰყავს მზისქვეშეთში საიქიოსთვის გამეტებული ადამიანები?**

შეკითხვის ქვეტექსტი მყისიერად ამოიცნო. ცოტა კი გაუკვირდა პაციენტის ასეთი შეთამამება და მითოლოგიის მოხმობით მადლობის გადახდის ამგვარი ფორმა:

მხრები ოდნავ აიწურა და გაიღიმა...

მძიმე იყო წლევანდელი ზაფხულის სიკვდილაკიდებული დღეები.

რეზო გაბრიაძის ორმოცზე მთაწმინდის პანთეონის აღმართს რომ შევუდექი, ათიათასობით ჭრიჭინის ისეთ გამაყრუებელ გვირაბში აღმოვჩნდი, რომელიც ურმის ბორბლების ჭრიალის მსგავსი აკაპელათი ჩემთვის დაკვეთილ რეკვიემს ასრულებდა. შუა გზაზე, იქ, საიდანაც უშორეს ბავშვობაში ვაჟთა I საშუალო სკოლიდან შატალოზე გამოპარული ბიჭების მიერ გაკვალული ბილიკი (ძალადქართველები საცალფეხოსაც რომ ამატებენ) იწყებოდა, ბუჩქებიდან ბინძური ჭინკა გამოვარდა, თმააბურძგნული, გალეშილი, „სტაიანშჩიკის“ ჭაობისფერ ჟილეტში აცაბაცა მკლავებგაყრილი, და სიგარეტი მთხოვა.

— არ ვეწევი-მეთქი.

ერევანში სომეხთა გენოციდის მსხვერპლთა მემორიალის გაშლილ სივრცეში სიგარეტის გაბოლება უკულტურობისა და უპატივცემულობის ნიშანია. აქ კი, ჩვენი „წმინდა ალაგის“ *(იეთიმ გურჯი)* მისადგომებს საერთო სარგებლობის ტუალეტის ყროლი ასდის ასეთი „სტაიანშჩიკების“ მიზეზით.

ცუდად მენიშნა: რამდენიმე დღეში აქ ინგლისურის მასწავლებელ ქალს მოკლავენ... დაიწყება დამპალი წვიმების კვირეულები. მე კი ჩაფიძის კლინიკაში აღმოვჩნდები.

**— ოპერაციის წინ პირჯვარს გარდაისახავთ? — ვეკითხები ნიკა ექიმს.**

— აუცილებლად.

**— და რას სთხოვთ უფალს?**

— ღმერთო, მშვიდობით გამოგვიყვანე.

ამის შემდეგ ფიქრებსა და ემოციებს გვერდზე გადავდებ და მთლდიანად ვერთვები იმ საქმეში, რომელსაც იმ მომენტში ვაკეთებ. ბრძოლაში ვარ — ექიმი ამ ბრძოლიდან ყოველთვის გამარჯვებული უნდა გამოვიდეს. ამას გვავალდებულებს პაციენტი, მისი ოჯახი და, რა თქმა უნდა, გვიბრძანებს ჩვენი პროფესია.

**— გიყვართ კითხვა?**

— კითხვა ძალიან მიყვარს — სპეციალურისაც და მხატვრული ლიტერატურისაც, მაგრამ ამ ბოლო დროს სულ უფრო ნაკლები დრო მრჩება მხატვრული ლიტერატურისთვის, თეატრისთვის და, საერთოდ, კულტურისთვის, ხელოვნების ახალი ნაწარმოებების გასაცნობად. მედიკოსობა ისეთი პროფესიაა, რომ, თუ ბოლომდე თავით არ გადაეშვი ამ საქმეში, თუ შენი პირადი სურვილები გვერდით არ გადადე, ვერაფერს შეძლებ.

**— მედიკოსების მიდრეკილება ხელოვნებისადმი საყოველთაოდ ცნობილია. ფილმებშიც გადაუღიათ, ესტრადაზეც გვინახავს, პოეტობაც უცდიათ... სად პოულობენ დროს თქვენი კოლეგები საკუთარი გატაცების დასაკმაყოფილებლად?**

— *(ეცინება).* ლექსებს მეც ვწერ, მაგრამ მხოლოდ მე ვკითხულობ.

**— შეგიძლიათ, ერთი მაინც წამიკითხოთ?**

— *(სიცილით)* არა, არა. ეს უკვე ჩემი მხრიდან თავხედობა იქნება.



ნიკა ქურიძე — ნიკა ექიმი

**— სად იღებს სათავეს თქვენი შემოქმედება?**

— ალბათ, გაქცევაა ყოველდღიური მძიმე პასუხისმგებლობისგან. ექიმი რომ მღერის, ხატავს, ლექსს წერს და ასე შემდეგ, ვფიქრობ, თავდაცვითი რეაქციაა, განტვირთვის ერთგვარი საშუალება. შეიძლება ვცდები. დაბეჯითებით ვერ გეტყვით...

**სულ რამდენიმე წუთის წინ მეგონა, რობიკო სტურუას დადგმულ სპექტაკლს ვესწრებოდი — „კავკასიურის“ და „რიჩარდის“ გაერთიანებულ წარმოდგენას. მეტიც — ვმონაწილეობდი... დეკორაციის როლში. სახელდებით ვერ გეტყვით, რამ შემიქმნა ეს ალუზია, გნებავთ, განწყობა...**

**ჩემ გარდა ვერავინ ხედავდა, როგორ აჰყავდათ ავტორებს „რუტინული“ ქირურგიული ჩარევა ხელოვნების დონემდე.**

**ასეთი შეფასება ნიკა ექიმმა მაინცდამაინც არ გაიზიარა:**

— მე უფრო შევადარებდი ორკესტრს, როცა მუსიკოსების ყოველმა რგოლმა იცის თავისი პარტია და ვირტუოზულადაც ასრულებს.

დირიჟორი ჩვენ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ექიმია, რომელიც სრულად არის შეთვისებული თავის კოლექტივს: მისი ნებისმიერი სიტყვა თუ ჟესტი ყველასთვის გასაგებია, რაც საბოლოო ჯამში ოპერაციის წარმატების საწინდარია.

ჩვენ დღეს გვაკლია ბატონი **კახა ეცადაშვილი,** რომელიც არითმოლოგიური განყოფილების, ჩემი და ჩვენი გუნდის ხელმძღვანელია. მასთან ერთად მართლაც ერთი ორგანიზმი ვართ. მისი ნებისმიერი მინიშნება, სიტყვა, ჟესტი საკმარისია, რათა გავაკეთოთ ის და ისე, რაც იმ მომენტში აუცილებელია და ადამიანის გამოჯანმრთელობის წინაპირობაა.

ეს მოაქვს გამოცდილებას, დროს, პროფესიონალიზმს.

**აბა, თუ ასეა, ახლა აქეთ გამოიხედეთ-მეთქი და საოპერაციოში კონტრაბანდად შეტანილი ფოტოაპარატით სურათი გადავუღე ოთხივეს, ნიკა ექიმის მეთაურობით (ყველა პროფესია სპეციფიკური გამოცდილებით გამოირჩევა).**

(აი, ისინიც: **ნიკა ქურიძე,** ექთანი **მანანა როსტიაშვილი,** უმცროსი ექიმი **ბექა რუხაძე,** ექთანი **ნათია ხინჩაგაშვილი** **ოპერაციის დამთავრებისთანავე. ასეთი რამ, მგონი, პაციენტთაგან აქამდე არავის გაუკეთებია. თუ იცით სხვა მაგალითი, ნუ იტყვით — ცოტა ხანს მაინც ვიგრძნო თავი გამორჩეულად).**

ჩემი გადასახედიდან ასე ჩანს: თუ ადამიანი წარმატებულია, გამოცდილია და თავდაჯერებული, გნებავთ, მედიცინის ან სხვა დარგში, ალბათ, შეიძლება „გათავხედდეს“ და პატარ-პატარა ნაბიჯები განზე გადადგას საკუთარი ჰობის დასაკმაყოფილებლად.

**— მით უფრო, თუ „გარე-გარე სიარული“ წარმატებულია.**

— მე ახლობლობაში არავინ მყავს ექიმი, არც ერთ თაობაში, მაგრამ, რაც თავი მახსოვს, მინდოდა, ექიმი ვყოფილიყავი. თავიდან შეიძლება გაუაზრებელი სურვილი იყო, მაგრამ დრო სჭირდება რეალიზაციას — გააზრებასაც და დამწიფებასაც. თუ სურვილის მარცვალმა ვერ ჰპოვა ხელშეწყობა, ერთ დღეში ექიმობას პროფესიად ვერ აირჩევ.

მე გურიაში დავიბადე, ქალაქ ლანჩხუთში. იმ უბანში ყოველ საღამოს ვიკრიბებოდით 30-40 ბავშვი. ბევრნი. ვთამაშობდით, ჩვენებურად ვერთობოდით. ხშირად ყოფილა, რომ კიბეზე ჩამომჯდარი წიგნს ვკითხულობდი, მაშინ, როცა ჩემი თანატოლები ფეხბურთით იყვნენ „დაკავებული“.

ექიმობა ის პროფესიაა, რომელიც მოითხოვს იღბალს და თავდადებას ნებისმიერ დროსა და შემთხვევაში. მხოლოდ კითხვითა და ინფორმაციის მიღებით ექიმი ვერ გახდები.

ერთსაც ვიტყვი: ბოლო დროს, როცა პანდემიამ ისე შემოგვიტია, რომ რეტროგრადი სკეპტიკოსებისთვისაც კი ექიმისა და ექთნის პროფესიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა, ხშირად გაიგონებ — ექიმები გმირები არიან, ექთნები გმირები არიან.

უდავოდ ასეა, მაგრამ ცოტათი ზეაღმატებულია, ჩემი აზრით, და გადაჭარბებული ასეთი შეფასება.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ჩვენ ადამიანის სიცოცხლესთან გვაქვს საქმე. ჯანმოს მიერ ჯანმრთელობა შეფასებულია, როგორც ფიზიკური, სულიერი, ემოციური, ფინანსური და ა.შ. კეთილდღეობა. მაშასადამე, ექიმის ერთმა მცდარმა ნაბიჯმა შეიძლება არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ბევრი სხვა პრობლემა შეუქმნას ადამიანს.

ჩემი აზრით, გმირია ყველა, ვინც დაკისრებულ მოვალეობას პატიოსნად ასრულებს. ის არქიტექტორი, რომელიც 35-40-სართულიან შენობას უშეცდომოდ, ზუსტად აპროექტებს, გმირი არ არის?! სკოლის ავტობუსის მძღოლი, რომელსაც ყოველდღიურად უდიდესი სიფრთხილით დაჰყავს სხვისი შვილები, გმირი არ არის?! ის სპორტსმენები, რომლებიც სამშობლოს სადიდებლად იღვწიან, გმირები არ არიან?!

მათ სრულად აქვთ გაცნობიერებული, რა დონის პასუხისმგებლობას არიან შეჭიდებულნი.

ადამიანი სუსტი არსებაა. თუ იგი არ ებრძვის ყოველდღიურ გამოწვევებს და ხვალინდელ დღეს ასპარეზს არ უსუფთავებს, კაცობრიობა ვერ განვითარდება ვერც ინდივიდის დონეზე, ვერც ქვეყნის დონეზე, ვერც მსოფლიოს მასშტაბით.

შენი ცხოვრების განმავლობაში ვილაცა თუ არ გაგიხარებია (მაინცდამაინც ექიმობას არ ვგულისხმობ), ჩათვალე, რომ ამაოდ გაგიფლანგავს ამქვეყნად შენთვის გამოყოფილი დრო. უკან რომ მოვიხედავთ, უნდა დავინახოთ, რომ რაღაც წვლილი გვაქვს შეტანილი სხვა ადამიანის ცხოვრებაში.

ვფიქრობ, რომ ჩვენი ვალია, კეთილი საქმით, პროგრესის გზით წარვმართოთ საქართველო, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის ორგანული ნაწილია.

შეიძლება ცოტა ამბიციურია ჩემი განცხადება, მაგრამ სურვილი სწორედ ასეთია.

ჩემი პროფესია წარმოუდგენელია ემფატიის (თანაგრძნობის) გარეშე, რომელიც იყო და მარადიულად დარჩება ადამიანის გადარჩენის იმედად.

**— ოპერაციის დაწყების წინ რა სიტყვას ამბობთ?**

— *(ეღიმება. ეუხერხულება)* ვერ ვიტყვი...

**— ძალიან რომ გთხოვოთ?**

— რომ გითხრათ, დაწერთ?

**— აუცილებლად!**

— *(გულიანად იცინის. პაუზა. და გაბედავს, გამიმხელს).* უფალი ღმერთი ჩემთან იყოს, რაის მეშინოდეს!

**ღმერთო, უსმინე ნიკა ქურიძეს, მის ყველა თანამდგომს, მასწავლებელსა და ხელმძღვანელს!**

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. რეზო გაბრიაძე თავის უკანასკნელ წიგნში „GEDEVANI, პორტრეტი საუკუნის ფონზე“ წარსულის გენიალური ქართველი ექიმების გვარებს იხსენებს და ასე ახასიათებს მათ:**

**ისინი „უკეთილშობილესი ადამიანები იყვნენ“ — საერობო ექიმების თაობა.**

**„თავდაუზოგავად ემსახურებოდნენ ხალხს**
**ნებისმიერ ამინდში! წვიმაში და პაპანაქება სიცხეში!**
**თოვსა და ქარიშხალში! სოფლებსა და ქალაქებში!**
**მთასა და ბარში! თვითონ ხშირად ავადმყოფები!**
**სიცხიანები! ღიმილიანები, წყნარები ჭკვიანები!**
**ნუგეშის მომცემნი და უანგარონი! ზრდილნი!**
**სუფთად, ლამაზად ჩაცმულები!**
**გამოხუნებული ქოლგით! ფერდაკარგული საკვოიაჟით! ლატკიან კალოშებში!..**

**ნუ დავიზარებთ, წავიდეთ და აუცილებლად დავუნთოთ ჩვენი მშობლების, ბებია-ბაბუების და დროში დაკარგულ, გაბნეულ-გამობნეულ ჩვენს მკურნალებს სანთელი. ეს მადლიერების სანთელია!**

**გვახსოვდეს, უმადურობა ყველაზე დიდი ცოდვაა!“**

**დასტურ ასეა.**

**ა.ს.**

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენ სამყაროს დედამიწიდან შევცქერით და გვაქვს შესაძლებლობა, რომ მის მხოლოდ მცირე ნაწილს დავაკვირდეთ. სამყაროს დიამეტრი, რომელსაც შეიძლება დავაკვირდეთ, 92 სინათლის წლით განისაზღვრება. ფიზიკოსებმა ეს რიცხვი გამოთვალეს სამყაროს წლოვანებიდან, რომელიც 13,8 მლრდ სინათლის წელს შეადგენს. სწორედ მაშინ შექმნა დიდმა აფეთქებამ ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით.**

# 6 მოვლენა, რომლებსაც ფიზიკოსები ვერ ხსნიან

**მეცნიერება სასარგებლო ინსტრუმენტია გარემომცველი სამყაროს ასახსნელად. დაკვირვებები, ექსპერიმენტები და, ნაწილობრივ, ინტუიცია ეხმარება ადამიანს, გაარკვიოს, როგორ მუშაობს ყველაფერი და რატომ. მეცნიერება არ არის რელიგია, ის, უბრალოდ, გვიხსნის ამა თუ იმ მოვლენასა და საგანს, მაგრამ ყოველთვის არის რაღაც, რის ახსნაც მას არ ძალუძს, და ეს გამოწვეულია ინფორმაციის ნაკლებობით.**




## მაგნიტორეცეფცია

თქვენ, ალბათ, გსმენიათ, რომ ფრინველების მიგრაციის პროცესი მაგნიტური ველის გავლენით ხდება. სწორედ ამის გამოა, რომ ფრინველები ყოველწლიურად ჩნდებიან ერთსა და იმავე ადგილზე და ამისთვის ასობით და ათასობით კმ-ს ფარავენ. ეს საკმაოდ საინტერესო თეორია ხსნის ფრინველების უცნაურ ქცევას, მაგრამ მეცნიერებს აქამდე ვერ აუხსნიათ, როგორ მუშაობს ეს მოვლენა. და კიდევ უფრო საოცარია, რომ არ არის გამორიცხული, ჩვენც გვქონდეს ისეთივე უნარი, როგორიც ფრინველებს. წლებია, მაგნიტური გზებით ფრინველების გადაადგილებაზე მსჯელობენ მეცნიერები. თავდაპირველად ისინი ვარაუდობდნენ, რომ რკინა, რომელსაც შეიცავს ნისკარტი, ფრინველებს მაგნიტურ ველზე ორიენტაციაში ეხმარება. შემდეგ გაჩნდა იდეა, რომ მაგნიტური ველის დანახვაში მათ ეხმარება თვალებში არსებული ცილა. არსებობს საფუძველი იმისა, რომ ეს ასეა, მაგრამ საბოლოო ვერსია მაინც არ არის. რეცეპტორი, რომელიც დაეხმარებოდა ფრინველს მაგნიტურ ველზე გადაადგილებაში, იდენტიფიცირებული არ არის, ამიტომ ამ მოვლენის მექანიზმი კვლავ გამოცანაა.




## რატომ მიდის დრო წინ?

ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ დრო ულმობელია და სწრაფად გარბის. ამის მიუხედავად, ფიზიკოსები უაზრო იდეად მიიჩნევენ დროის სვლას. ყველაფერი, რაც მოძრაობს, ამას ამა თუ იმ სიჩქარით აკეთებს. და როგორია დროის სიჩქარე? ეს კითხვა თავისი არსით ოქსიმორონია. როგორ შეიძლება დროს სიჩქარე ჰქონდეს, თუ სიჩქარე გულისხმობს ცვლილებას დროის მიმდინარეობისას? მაგრამ ვერავინ უარყოფს, რომ დრო მართლაც წინ მიდის. ჩვენ ვერ ვბრუნდებით უკან და ხელახლა ველარ განვიცდით წარსულ მომენტებს. ასე რომ, დრო მართლაც მიდის წინ, მაგრამ როგორ? რატომ? ფიზიკაში არ არსებობს კანონი, რომელიც დროის სვლას მართავს, რაც აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემას უკიდურესად ართულებს.

დრო წინ მიდის, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რატომ.



## რამდენი განზომილება არსებობს?

განზომილებების კონცეფცია მით მეტად რთულდება, რაც უფრო ღრმად იქექები მასში. ადამიანების უმრავლესობამ იცის 3 განზომილება — სიმაღლე, სიგანე და სიღრმე. ყველაფერი, რასაც გარშემო ვხედავთ, ამ განზომილებაშია.

გასაცნობიერებლად უფრო რთულია მეოთხე განზომილება — დრო. ჩვენ არ შეგვიძლია დავაკვირდეთ მას ისე იოლად, როგორც პირველ სამს, მაგრამ მისი გაგება შეიძლება. მეხუთე განზომილება კი ადამიანებს თავგზას ურევს.

## რატომ არის გრავიტაცია ასეთი სუსტი?

ელექტრომაგნეტიზმსა და ატომურ ძალასთან შედარებით გრავიტაცია საკმაოდ სუსტია. გრავიტაცია ერთ-ერთია 4 ფუნდამენტურ ძალას შორის, მაგრამ, როგორც ჩანს, ტრილიონჯერ სუსტია დანარჩენებზე და ეს მეცნიერებს რთულ მდგომარეობაში აყენებს.

ერთ-ერთი თეორია ეხება განზომილებას, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ, იდეა არის ის, რომ შეიძლება არსებობდეს სხვა კვანტური განზომილებები, რომელთა შესახებაც ჩვენ არაფერი ვიცით. თუ ამ განზომილებებში არსებობს გრავიტაცია, შესაძლოა, სახელდობრ, იქ ავლენდეს თავისი სიმძლავრის უდიდეს ნაწილს. ამ თეორიის პრობლემა არის ის, რომ, უბრალოდ, თეორიად რჩება და ჯერჯერობით მისი დამტკიცება შეუძლებელია.





## შავი მატერია

შავი მატერია სამყაროს უდიდესი გამოცანაა. საინტერესოდ ისმის, არა? მაგრამ რა არის შავი მატერია?

მეცნიერებმა კარგა ხნის წინათ ივარაუდეს, რომ სამყარო სავსე უნდა იყოს შავი მატერიით, სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას მისი მასა? ის, როგორც იქცევა გრავიტაცია, ნიშნავს იმას, რომ სამყაროში ბევრი მატერიაა, რომელთა დანახვაც არ შეგვიძლია, ამიტომ დაარქვეს მას შავი მატერია. ის ისე ბევრია, რომ მოიცავს გალაქტიკებს. ყოველ შემთხვევაში ასეთია თეორია. სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია იმის ახსნა, რასაც ვერ ვხედავთ. მეცნიერთა სხვა ჯგუფის აზრით კი, შავი მატერია არ არსებობს.



## რამხელაა სამყარო?

სამყაროს შესაცნობად მეცნიერებმა შეიმუშავეს ე.წ. სიმების თეორია, რომელიც აერთიანებს კვანტურ მექანიკასა და ფარდობითობის თეორიას, მაგრამ სიმების თეორიამ რომ იმუშაოს, ჩვენ გვჭირდება 11 განზომილება ან 10 განზომილებას პლუს დრო. ამ თეორიის თანახმად, დამატებითი განზომილება მდებარეობს კვანტურ თეორიაში, ისეთ პატარაში, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვუყუროთ მას ისევე იოლად, როგორც პირველ სამ განზომილებაში. ბოზონის სიმების თეორია კიდევ უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ განზომილება 26-ია. მიზეზი, რომლის გამოც ჩვენ ვერ ვხედავთ ამ განზომილებებს, არის იმ უნარების არარსებობა, რომლებითაც მათი დანახვა შეიძლება. ერთ-ერთი პოპულარული მაგალითია ელექტროსადენი. თუ მას ქვემოდან, მიწის ზედაპირიდან შევხედავთ, გამოჩნდება, როგორც ბრტყელი ხაზი A წერტილიდან B-მდე. მასთან მიახლოების შემდეგ კი შევამჩნევს, რომ ის მრგვალია და აქვს გარკვეული ზომები.

ჩვენ სამყაროს დედამიწიდან შევცქერით და გვაქვს შესაძლებლობა, რომ მის მხოლოდ მცირე ნაწილს დავაკვირდეთ.

სამყაროს დიამეტრი, რომელსაც შეიძლება დავაკვირდეთ, 92 სინათლის წლით განისაზღვრება. ფიზიკოსებმა ეს რიცხვი გამოთვალეს თვითონ სამყაროს წლოვანებიდან, რომელიც 13,8 მლრდ სინათლის წელს შეადგენს. სწორედ მაშინ შექმნა დიდმა აფეთქებამ ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით.

92 მლრდ სინათლის წელიწადი უზარმაზარი რიცხვია, რომელიც აჩენს მარტივ კითხვას: რა ხდება, რა არსებობს 91 მლრდ სინათლის წლისა და 1 სმ-ის იქით? ესეც ჯერ კიდევ სამყაროა თუ მალე გახდება სამყარო, როცა გაფართოვდება? და რა მოხდება, თუ გაფართოების შემდეგ კიდევ ერთ სმ-ის დავუმატებთ ან 1 სინათლის წელიწადს?

პრობლემა არის ის, რომ გაფართოება, როგორც ჩანს, მუდმივი არ არის. ბევრი მეცნიერის აზრით, სამყაროს გაფართოება ნელდება, რომლის შედეგადაც შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს მისი ზომები, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემაა ის, რომ სამყარო ფართოვდება უსასრულო სივრცეში. ასე რომ, სამყაროს ზომის განსაზღვრა 92 მლრდ სინათლის წლის იქით პრაქტიკულად შეუძლებელია.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მიხაელმა თავი უკეთესად იგრძნოს და კომფორტულად იყოს. მიხაელი შეიცვალა. უკვე სხვა გახდა, მაგრამ ჩვენთან არის და ეს ძალას გვმატებს. არასდროს მისაყვედურებია უფლისთვის იმის გამო, რაც მოხდა. ეს უიღბლობაა. ნებისმიერს შეიძლება არ გაუმართლოს ცხოვრებაში“.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ის არ მომკვდარა, მაგრამ ურთიერთობა არ შეუძლია»

## ახალი დეტალები მიხაელ შუმახერის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ



**კომპანია „ფერარის“ ვიცეპრეზიდენტი წინააღმდეგია, საზოგადოებამ წარსულ დროში ილაპარაკოს „ფორმულა-1“-ის 7-გზის ჩემპიონზე, მიუხედავად იმისა, რომ მიხაელ შუმახერის ჯანმრთელობის მდგომარეობა არასახარბიელოა.**

„ფორმულა-1“-ის ლეგენდარულ პილოტ მიხაელ შუმახერზე ახლახან გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში მისი ვაჟი **მიკ შუმახერი,** რომელიც ამჟამად გუნდ „ჰაასის“ წევრია, ამბობს, რომ ბევრ რამეს დათმობდა, ოღონდ მამას დალაპარაკებოდა ავტოსპორტზე.

„წითელი ბარონი“ (ასე შეარქვეს თავის დროზე მიხაელ შუმახერს), უკვე თითქმის 8 წელიწადია, საწოლს არის მიჯაჭვული და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საზოგადოებამ ბევრი არაფერი იცის. ასე სურს მიხაელის ცოლს — **კორინა შუმახერს,** რომელმაც დოკუმენტურ ფილმშიც კი არ მოჰფინა ნათელი ქმრის დიაგნოზს და მკურნალობის პერსპექტივას. შედეგად საზოგადოებისთვის ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი.

იტალიური საავტომობილო კომპანია „ფერარის“ ვიცეპრეზიდენტმა **პიერო ფერარიმ** (კომპანიის დამფუძნებლის — **ენცო ფერარის** ვაჟმა) რამდენიმე დღის წინათ ილაპარაკა „ფორმულა-1“-ის ლეგენდარულ გერმანელ პილოტზე.

### ცხოვრებაში შეიძლება ნებისმიერს არ გაუმართლოს

— მენატრება მიხაელი, — მოჰყავს 76 წლის ბიზნესმენის სიტყვები Gazzetta Delo Sport-ს. — წარსულში ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ჩემს სახლში და ვსვამდით წითელ ღვინოს. ის ტკბებოდა ასეთი მომენტებით. მიხაელი კარგი ადამიანია. მე არ მომწონს მასზე წარსულ დროში ლაპარაკი, თითქოს გარდაცვლილია. რა თქმა უნდა, ის ჯერ კიდევ ჩვენთან არის, ოღონდ ურთიერთობა არ შეუძლია.

რომში გამართულ ერთ-ერთ ცერემონიაზე პიერო ფერარის გამოსვლიდან ჩანს, რომ, ხანგრძლივი მკურნალობის მიუხედავად, მიხაელს არ აღუდგა მეტყველება, ხოლო შუმახერის ოჯახის ახლო მეგობრის, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ **ჟან ტოდტის** მონაყოლი, როგორ უყურებდა ის ტელეეკრანზე ავტორბოლას მიხაელ შუმახერთან ერთად, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, მაინცდამაინც ოპტიმისტურად არ უნდა აღვიქვათ.

კორინა შუმახერი დოკუმენტურ ფილმში ამბობს ფრაზას: „ადრე მიხაელი გვიცავდა ჩვენ, ახლა ჩვენ ვიცავთ მიხაელს“. ლეგენდარული პილოტის მეუღლის თქმით, **„მიხაელი ცხოვრობს ოჯახთან ერთად ერთ სახლში და მასზე ახლობლები ზრუნავენ: მიხაელი ყოველდღე მაჩვენებს, რა ძლიერია ის“.** „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მიხაელმა თავი უკეთესად იგრძნოს და კომფორტულად იყოს. მიხაელი შეიცვალა. უკვე სხვა გახდა, მაგრამ ჩვენთან არის და ეს ძალას გვმატებს. არასოდეს მისაყვედურებია უფლისთვის იმის გამო, რაც მოხდა. ეს უიღბლობაა. ნებისმიერს შეიძლება არ გაუმართლოს ცხოვრებაში“, — ამბობს კორინა Nettlix-ის მიერ გადაღებულ ფილმში.











### წელიწადში სამი მილიონი მკურნალობისთვის

შარშანდლამდე მიხაელ შუმახერი „გრან-პრის“ 91-ჯერ მოგებით ყველაზე წარმატებული პილოტი იყო „ფორმულა-1“-ის ისტორიაში, მაგრამ 2020-ში ეს მაჩვენებელი **ლუის ჰემილტონმა** გააუმჯობესა. თავისი პირველი ორი საჩემპიონო ტიტული მიხაელმა „ბენეტონთან“ ერთად მოიპოვა 1994 და 1995 წლებში, 2000-2004 წლებში კი „ფერარისთან“ ერთად ზედიზედ 5-ჯერ გაიმარჯვა.

2013 წლის 29 დეკემბერს მიხაელ შუმახერი თავის ვაჟსა და მის მეგობრებთან ერთად კურორტ მერიბელის (საფრანგეთი) სამთო-სათხილამურო ტრასაზე სრიალისას მოსახვევში ტრასიდან გადავარდა, თოვლით დაფარულ ქვას შეეჯახა და თავი მძიმედ დაიზიანა. ის ქალაქ გრენობლის საავადმყოფოში გადაყვანისას კომაში ჩავარდა. 2014 წლიდან კი მისი ტვინი აქტიურ მდგომარეობაშია. არაოფიციალური მონაცემებით, შუმახერი აცნობიერებს ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება, ცნობს ახლობლებსა და მეგობრებს, მაგრამ საკუთარ თავს ვერ ემსახურება და გარშემო მყოფებს ვერ ელაპარაკება. შუმახერის ჯანმრთელობის მდგომარეობას გამუდმებით თვალყურს ადევნებს ფიზიოთერაპევტთა ბრიგადა, რომელიც მის უმწეო სხეულს სხვადასხვა პროცედურას უტარებს, ეს სამედიცინო მომსახურება ოჯახს ყოველწლიურად 3 მლნ უჯდება.

**2019 წელს შუმახერს პარიზის ჟორჟ პომპიდუს სახელობის კლინიკაში ღეროვანი უჯრედები გადაუნერგეს, მაგრამ ზუსტად არ არის ცნობილი, რომელ ორგანიზმზე უმკურნალეს — თავის ტვინზე თუ გულზე — და გამოიღო თუ არა ოპერაციამ დადებითი ეფექტი.**

შუმახერი დიდი ხნის განმავლობაში შვეიცარიაში (ქალაქ გლანში) ჟენევის ტბის ნაპირზე თავის მამულში ცხოვრობდა, მაგრამ ცოტა ხნის წინათ ის ესპანეთის კუნძულ მაიორკაზე ოჯახის კუთვნილ სახლში გადაიყვანეს, გლანის ვილა კი გასაყიდი უძრავი ქონების სიაში შეიტანეს. მანამდე კორინამ გაყიდა უძრავი ქონება ოსლოსა და დუბაიში, აგრეთვე, მიხაელის პირადი თვითმფრინავი და ავტომობილი. აღსანიშნავია, რომ ლეგენდარული სპორტსმენის მეუღლე არაერთხელ გაუკრიტიკებიათ მეტისმეტი ჩაკეტილობისა მიხაელ შუმახერის ჯანმრთელობის ნიუანსების საჯაროდ ლაპარაკზე უარის თქმის გამო, რადგან მისი გამოცდილება შეიძლება დახმარებოდა მსგავსი ტრავმის მქონე ადამიანებს. მაგალითად, შუმახერის ყოფილმა მენეჯერმა **ვილი ვებერმა** თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში დაწერა, რომ ოჯახი კატეგორიულად ეწინააღმდეგება მის მცდელობებს, როგორმე მოინახულოს ძველი მეგობარი. „კორინამ მომკვეთა თავისი ცხოვრებიდან. არადა, მე მხოლოდ იმის გაგება მინდოდა, როგორ მიდის მიხაელის საქმეები, ხელი ჩამომერთმია მისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას კორინა ეწინააღმდეგება. როგორც ჩანს, ეშინია, რომ მე შევიტყობ, რაც ხდება სინამდვილეში და ადამიანებს სიმართლეს მოვუყვები“, — აღნიშნა ვებერმა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# აზერბაიჯანი და სომხეთი მოსკოვში ორ ახალ დოკუმენტზე მოაწერენ ხელს



**აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მოსკოვში 9 ნოემბერს ორი ახალი დოკუმენტის გაფორმება იგეგმება. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, დოკუმენტებს ხელს მოაწერენ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და სომხეთის პრემიერმინისტრი ნიკოლ ფაშინიანი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მონაწილეობით.**

პირველი დოკუმენტი აზერბაიჯანი-სომხეთის სახელმწიფო საზღვრების დემარკაციის საკითხს ეხება, მეორე — საკომუნიკაციო დერეფნისა და აზერბაიჯანსა და ნახიჩევანს შორის გზის გახსნას.

დოკუმენტები აზერბაიჯანის, რუსეთისა და სომხეთის ვიცეპრემიერებს შორის გამართულ შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე შემუშავდა.

# დიმიტრი პესკოვი: ეჭვი არ მეპარება, რომ უკრაინისა და ნატოს დაახლოების გაგრძელების შემთხვევაში, რუსეთი გააკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა



**რუსეთს არ შეუძლია, ხელი შეუშალოს უკრაინისა და ნატოს დაახლოებას, მაგრამ გააკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა შედეგების მინიმიზებისთვის. განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა.**

„ჩვენ არ შეგვიძლია ამას შევეწინააღმდეგოთ და ეს შეუძლებელიც არის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ასეთი ნაბიჯების მინიმიზაცია ჩვენი ქვეყნისთვის. ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალში უკრაინისა და ნატოს დაახლოების გაგრძელების შემთხვევაში, რუსეთი გააკეთდებს ყველაფერს, რაც საჭიროა“, — განაცხადა პესკოვმა.

**ipn.ge**

# ბაიდენის რეიტინგი კატასტროფულად დაეცა

**პრეზიდენტობის პირველი 9 თვის შემდეგ ჯო ბაიდენის პოპულარობა აშშ-ის სხვა სახელმწიფო მეთაურებზე მეტად არის დაცემული მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან დღემდე. ამას მოწმობს Gallup-ის გამოკითხვა.**

ბაიდენის რეიტინგი 11,3%-ით დაეცა და 56%-იდან 44%-მდე შემცირდა. რეიტინგმა დაცემა დაიწყო ივლისში, როდესაც აშშ-ში მოიმატა კორონავირუსით დაავადების შემთხვევებმა. ვითარება დაამძიმა ავღანეთიდან ამერიკის ჯარების გაქცევამ. ბაიდენის რეიტინგი მისი წინამორბედი 10 პრეზიდენტის რეიტინგებზე მეტად არის დაცემული. მან მოხსნა **ბარაკ ობამას** რეკორდი, რომლის რეიტინგიც აშშ-ის პრეზიდენტობის პირველი 9 თვის განმავლობაში 10,1 პროცენტით შემცირდა.

ოქტომბერში ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ბაიდენის რეიტინგი კატასტროფულად დაეცა, რაც თეთრი სახლის არასწორი პოლიტიკის შედეგია.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



# ჯეიმს ბონდი თბილისის ქუჩებში

**თბილისში უცნობმა პირებმა ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებლის, მსახიობ დენიელ კრეიგის გამოსახულებიანი პლაკატი გააკრეს.**

კრეიგის პორტრეტს აქვს მინაწერი: **„უსაქმურობის დრო არ არის“.** ეს მითითებაა ბრიტანელი სპეცაგენტის შესახებ ბოლო ფილმის სათაურზე „სიკვდილის დრო არ არის“.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**




# ერდოღანმა აშშ-ისა და კიდევ 9 ქვეყნის ელჩები პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა

**10-მა ქვეყანამ თურქეთს მოუწოდა, ციხიდან გაათავისუფლოს ოსმან კავალა, 2017 წელს დაპატიმრებული უფლებადამცველი. ადამიანის უფლებების ევროპის სასამართლომ თურქეთს კავალის გათავისუფლება მოსთხოვა.**

18 ოქტომბერს უფლებადამცველის გათავისუფლების შესახებ მიმართვა გამოაქვეყნეს **აშშ-ის, კანადის, გერმანიის, საფრანგეთის, ფინეთის, დანიისა** და **შვედეთის** საელჩოებმა. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ **ნიდერლანდების, ახალი ზელანდიისა** და **ნორვეგიის** დიპლომატიური მისიები. ამის შემდეგ ამ ქვეყნების ელჩები გამოიძახეს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში და ისინი თურქეთის საშინაო საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულეს. ამას გარდა, თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** საგარეო საქმეთა მინისტრს ზემოაღნიშნული ქვეყნების ელჩების პერსონა ნონ გრატად გამოცხადება დაავალა.




ოსმან კავალა 2017 წელს დაადანაშაულეს მასობრივი პროტესტების ორგანიზებასა და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში. 2019 წელს ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კავალას ბრალის დამამტკიცებელი სამხილები არ არსებობს. მიუხედავად ამისა, უფლებადამცველი კვლავ საპყრობილეშია.

**topnews.ru -ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



# ლუქსემბურგში კანაფის შინ მოყვანა და გამოყენება ლეგალური იქნება

**ლუქსემბურგის მთავრობამ კანონში კანაფის შესახებ შესატან ცვლილებებზე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ მისი შინ მოყვანა და გამოყენება ლეგალური იქნება.**

ერთ ოჯახში მოზრდილ ადამიანებს პირადი მოხმარებისთვის ოთხი ძირი კანაფის მოყვანის უფლება ექნებათ, გარდა ამისა, დაშვებული იქნება კანაფის თესლის მაღაზიებში რეალიზაცია, მათ საზღვარგარეთიდან შემოტანასთან ერთად. შესაძლებელი იქნება კანაფის თესლის შიდა წარმოება კომერციული მიზნებისთვის.

მოხმარება და კულტივაცია დასაშვები იქნება მხოლოდ საცხოვრებელში. სამ გრამამდე კანაფის ტრანსპორტირება ან მოხმარება აღარ განიხილება სისხლის სამართლის დანაშაულად და კლასიფიცირებული იქნება, როგორც სამართალდარღვევა.

**ipn.ge**

# «ევროკავშირის დღეები დათვლილია»

**დიდ ბრიტანეთში მიაჩნიათ, რომ ევროკავშირმა, როგორც გაერთიანებამ, თავი ამოწურა. ჟურნალისტმა შერელ ჯეიკობსმა The Telegraph-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ამ გაერთიანებას „სამართლებრივი მზაკვრობით შეფუთული დისნეისეული ზღაპარი“ უწოდა.**

ბრიტანელმა ჟურნალისტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მისმა ქვეყანამ დროულად მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირის დატოვების შესახებ. მისი თქმით, ყოველდღიურად ხედავს ნიშნებს, რომ ლონდონი მართებულად მოიქცა, როცა გაქცევის შესაძლებლობა მიიღო და გამოიყენა.

ჯეიკობსის თქმით, ევროკავშირი ამჟამად გლობალური კრიზისის წინაშეა და ეს კრიზისი ისეთი მძლავრი დარტყმა იქნება, რომ ევროკავშირის არსებობას ეჭვქვეშ დააყენებს. ამას გამოიწვევს რამდენიმე შეცდომა, რომლებსაც ბრიუსელი რეგულარულად უშვებს. ევროკავშირი ძალიან ხშირად ერევა თავისი წევრი ქვეყნების ეკონომიკაში. ამით ის მათ ზრდას ანელებს. ამასთანავე, ევროკავშირს გაუჩნდა ამბიციები და პრეტენზია აქვს, რომ გლობალური მნიშვნელობის მოთამაშეა, მაგრამ რეალურ ლიდერებთან (როგორიცაა, მაგალითად, ჩინეთი) კონკურენცია არ შეუძლია. ბოლო დარტყმა კი პანდემია აღმოჩნდა. სწორედ პანდემიამ წარმოაჩინა, როგორი არასრულყოფილია ევროკავშირის სტრუქტურა. მისმა ხელმძღვანელობამ ბევრი არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, რომლებიც დააჩქარებს ევროკავშირის დაშლას.



ევროკავშირი, დიდი ხანია, არაეფექტურ და მოუქნელ მანქანად იქცა. ბოლო წლებმა აჩვენა, რომ მისგან სარგებელი ძალიან ცოტაა.

**news.front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894